

825
1986

I S S N : 0763 - 7247



កម្មាធិបតេយ្យ

ក្រសួងពេទ្យ នគរណីយ៍ និង ក្រសួងពេទ្យ នគរណីយ៍ និង ក្រសួងពេទ្យ នគរណីយ៍

៣១៦០៨០ N° 8 PARIS

០១៩៨១៩៦០ 1986 JANVIER



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, ურთიერთობის
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარზე ურთიერთობის
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა კვეტისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!“ — ი ლ ი ა

რ ა ს გ ი ლ მ ც ა ვ თ ?

მზემ დაჰკარგა მცხუნვარება,
გათოშილა მინდორ - ველი,
დეკემბერი იწურება
და ახალ წელს ტრფობით ველი.

ბავშვი მკითხავს : ბაბუ, ნეტავ
მოუთმენლად რას მოელი?
ნუთუ იმას ვეღარ ხედავ,
გემატება კიდევ წელი?

ჩუ, იყუჩე, გეტყვი მერე.
ოხრად დამრჩეს ჭელა წელი!
რას დაგიდევ ავ სიბერეს,
თუ ამიხდა, რასაც ველი!

62

შუალამის დაჰკრა, ძველო!
მივეგებოთ ახ ალს ყანწით.
ერთხმად შევსვათ სადლეგრძელო,
სასმისები მაღლა ასწით!

ქართველებო, ჭელას ძმურად
ამ ახალ წელს მოგილოცავთ,
საჭიროა განა გიოხრათ,
გულის ძგერით რას გილოცავთ?!

პერევისელი



საქართველოს კულტურის
მინისტრის მიერ დამტკიცებული

კიდევ ერთხელ გვეძლევა ბეჭნიერება, სულითა და გულით მოგილოცოთ ახალი წლის დადგომა. ფიდი ილიასი არ იყოს: „რა გითხრათ? რით გაგიხაროთ, ქართველნო?“ რა გვეთქმის იმ 1985 წელზე, რომელიც უკან გვიჩება?—ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი არაფერი, რასაც შეეძლოს მაღამოდ მოეცხოს ჩვენს მამულიშვილთა დამწვარ-და-დაგულ გულთ. მართალია: გვუას ჭადრაკის მსოფლიო დედოფალი მაია ჩიბურდანიძე, გვუას იგივე ჭადრაკის დედოფალ-ჭაფილი, წელს მეხუთედ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი; ამ ორი მანდილოსნის გარდა გვუანან სხვა ბევრი ორივე სქესის სახელოვანი და საამაზო თანამემამულენი მეცნიერებისა და ხელოვნების, ტექნიკისა და სპორტის ჟალა დარგებში და სახელმწიფო... მაგრამ, „რაღაც ივი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“ ისინი არ ამშევნებდენ ქართველი ხალხის თვითხელმწიფებას! ქართველთა სახელმწიფოს დროშები კვლავ არ ფრიალობდენ საერთაშორისო ფორუმებზე, სადაც ირჩეოდენ და წყდებოდენ ერთა ბედი! როგორც უასაკოს, ქართველ ხალხს ისევაც მიჩნილი ჰყავდა უცხო ძალით-მაცხონე „მეურვეები“ და „მცველეები“! აკაკის სატრფო ისევ ცხრაკლიტურში იჯდა და, არსაიდან ჩანდენ გმირნი: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და შეფიცულნი მათნი, ჩვენი ტურფა ნესტანდარეჯნის ქაჯთა ტკიერიდან გამომხსნელნი.

1985 საბჭოებისთვის იყო მიხაილ გორბაჩივის გახელმწიფების წელი. საყველთაოდ აღიარებული ფაქტებია: ბრეუნევის ზეობის აპოთეოზს წარმოადგენს .70-ანი წლების დასაწყასი, როცა საბჭოთა მთავრობამ მიაღწია დასავლეთისთვის მიეღებინებია მისი „დეტანტი“ და 1975 წელი, როცა ხელმოწერილი იქნა ეგრედ წოდებული ჰელსინკის ხელშეკრულება, რომებიც ბრეუნევის ხელისუფლებამ იშვიათად გამოიყნა საბჭოთა სამხედრო პორტუნიალის უკველმხრივი გაძლიერებისა და საერთაშორისო ექსპანსიის გაფართოებისათვის.

1978 წლიდან ბრეუნევი უკურნებლად სნეულდება, რაც, საზოგადოებისათვის გაუმხელად, ოთხი წელიწადი გრძელდება. ასევე სკლეროზულად და ხანგრძლივი აგონით მთავრდება იური ანდროპოვისა და კონსტანტინე ჩერნენკოს ეფემერული.

ხელმწიფებანიც. საბჭოთა სახელმწიფოს მესაჭეთა ეს დამბრა-
დაცემულობა თითქოს მთელ სახელმწიფოზე გავრცელდა. რესად
ცენტრალიზებული მმართველი აპარატის სკლეორზე
რესად ცენტრალიზებული მმართველი აპარატის სკლეორზე
გამოიწვია, შიგნით კრიზისი გაძატონდა, გარედ კი-უმოქმე-
ლობა. საბჭოთა მესვეურებისათვის საშური იყო, სახელმწიფ-
ოს მესაჭედ გმიონახათ უფრო ახალგაზრდა, ენერგიული და
ჯანმრთელი პირი და ასეთად მათ მიხაილ გორბაჩოვი შამოა-
ჭნეს, მაგრამ ამას შინაპარტიულ ბრძოლის გარეშე არ ჩა-
უვლია, როგორც შემდეგ დავინახავთ, და ის ჯერაც დამთა-
ვრებულად არ ჩაითვლება.

მაშ, გორბაჩოვმა მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. მისთვის კვა-
ლაზე უფრო საშური იყო: 1. სახელმწიფო გემის ეკიპაჟის
გმიოცვლა (ეს მის პირად ინტერესშიც შედიოდა), 2. საბჭოთა
ეკონომიკის საფუძვლიანი რეფორმა და 3. საბჭოთა დიპლომა-
ტიის გააქტიურება. ამ წლის დამდევისათვის გორბაჩოვმა მი-
სი პირველი საშური ამოცანა უკვე ამოხსნა. გორბაჩოვის
საბჭოთა მთავრობა მზადაა. მას უფრო კოლეგიალური შეხე-
დულება აქვს. გორბაჩოვთან ერთად სახელმწიფო ეტელში გა-
ბმულია ძველი თაობის სახელმწიფო ვეტერანი ანდრეი გრი-
მიკო, როგორც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე,
გორბაჩოვის თაობის, კრემლში ცოტა ხნის დაწინაურებული
ნიკოლოზ რიკინვი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
და ციმბირში კარიერაგავთებული იგორ ლიგაჩოვი, როგორც
პარტიული იდეოლოგიის პასუხისმგებელი პოლიტბიუროელი და
მით გენერალური მდივნობის პრეტენდენტი. ოთხივე ველიკო-
რუსია და მათ გვერდით აზერბაიჯანელი გეიგარ ალევი და
ქართველი ედუარდ შევარდნაძე შხირშაა, საბჭოთა და
მსოფლიო ხალხთა თვალის ასახვევად.

რაღაც ჩერნენკოს სიკვდილის გამოცხადების შემდეგ გო-
რბაჩოვის გენერალური მდივნობაც მაღე გახდა ცნობილი, ამ-
ან საბჭოთა პროპაგანდას გაუადვილა დასავლეთის საინფორმა-
ციონ საშუალებები დაერწმუნებია, რომ გორბაჩოვის არჩევა
ერთსულოვნად მოხდა და, რომ გორბაჩოვის ირგვლივ მონოლი-
თურადა დარაზმული მთელი პარტიული და სახელმწიფო კად-
რიო. ასეთ იდილიურ მდგომარეობას არ ადასტურებენ საბჭო-
თა ხელისუფლების სათავეში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაგ-
ტები. მაგალითად, კომპარტიის ც.კ. ჯერ კიდევ ივლისის პლე-
ნუმზე გამოცხადდა გრიგორი რომანოვის პენსიაზე გასვლა.



ზედმეტია იმის მტკიცება, რომ გრ. რომანოვი თავის წერილები პენსიაზე არ გასულია, არამედ აიძულეს წასულიყა, რომანოვის საშიში პირი მ. გორბაჩივის ხელმწიფებისათვის. რომანოვი ჯერ 65 წლისაც არ იყო და საერთოდ, როგორც წესი, პოლ-იტბიუროდან ხნის გამო არ ანთავისუფლებენ, რასაც უდაოდ ადასტურებს 76 წლის გრომიკოს მაგალითი. გრ. რომანოვი მეტად გავლენიანი ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი იყო. ჩერნენკოს სიცოცხლეში ის ითვლებოდა გენერალური მდივნობის ჟალაზე უფრო სერიოზულ კანდიდატად, მაგრამ, როგორც ჩანს, უკანასკნელ წუთში ლელო გორბაჩივმა გაიტანა.

წლის უკანასკნელ დღეებში, კერძოდ 24 დეკემბერს „ტასის“ სააგენტომ გამოაცხადა ვიქტორ გრიშინის „პენსიაზე გასვლის“ ცნობა. ვ. გრიშინი,- ქალაქ მოსკოვის კომპარტიის პირველი მდივანი, ცენტრალური კომიტეტის წევრი 1952 წლიდან, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი 1961 წლიდან და წევრი 1971 წლიდან, ერთ-ერთი დიდი გავლენის მქონე საბჭოთა ხელისუფალი იყო და, როგორც კრემლიდან მომდინარე ხმები ირწმუნებიან, გენერალური მდივნის ამრჩევთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით კი ხელისუფალთა ძველი გვარია ვიქტორ გრიშინის კანდიდატურას უჭერდა მხარს. ამრიგად, სულ რაღაც 8-9 თვის განმავლობაში ხელისუფლების ხელში აღებიდან, მ. გორბაჩივი ხელისუფლებიდან აძევებს მის ორ ჟალაზე ძლიერ მეტოქეს. მარტი ის ფაქტი, რომ გორბაჩივი იძულებული იყო ასეთ უკიდურეს საშუალებისათვის მიემართა, მოწმობს იმას, რომ ბრძოლა ხელისუფლების შიგნით მძაფრი იყო და არა ისე იდილიური, როგორც ამას საჯაროდ აცხადებენ გრომიკო და სხვა გორბაჩივის მთავრობის წევრები.

გორბაჩივი დაჩქარებული ტემპით აწარმოებს პარტიულ და სახელმწიფო კადრების შეცვლას. კადრების შერჩევა ჭაველთვის არ უპასუხებს გაახალგაზრდავებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, როგორც ეს დასავლეთის სოვეტოლოგებს ჰეონიათ. საერთოდ საბჭოთა რეჟიმისათვის და მათ შორის გორბაჩივისთვისაც მთავარია ნდობის საკითხი და მისი ცვლილებები, როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებსა და მხარეებში, უპირველესად ჭავლისა ნდობის ნიშნით მიმღინარეობს.



გორბაჩივის ავტორიტეტს უეჭველად მხარს უმაგრებს „კ.გ.ბ.“, მაგრამ ეს საკმარისი არ უნდა იყოს, რათა აუცილებელი საბჭოთა წესშეზღილების მეორე მთავარი დასაჭირები-წითელი არმია, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მისთვის მთლად სანდო არ უნდა იყოს და ამიტომაც ის დასაწყასშივე შეუდგა სამხედრო უწყბის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა მისთვის სანდო კადრებით შეცვლას.

გორბაჩივის ავტორიტეტის უკმარისობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ის მხოლოდ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია და არა თავმჯდომარე, როგორც ეს ბრექნევმა და-აკანონა და მისმა უშუალო მემკვიდრე ანდროპოვმა და ჩე-რენენკომ თითქოს ურჩვ წესად აქციეს. არც ის ჩვენი ვარაუდი გამართლდა, რომლის მიხედვითაც შეიძლება გორბაჩივს არ სურდა ბრექნევის გზის გაგრძელება, არამედ სტალინის მსგავსად-მთავრობის თავმჯდომარის პოსტის დაპატ-რონება, მაგრამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედაც აირჩიეს ნიკოლა რიკოვი და არა გორბაჩივი. ახლა კი ცხადია: გორბაჩივს მისი კოლეგები არ ენდობიან, პარტიასთან ერთად სახელმწიფოს სადაცებსაც არ ანდობენ.. ერთი სიტყვით, დღევანდელი საბჭოთა ხელისუფლება კოლექტიური ტი-რანიაა, საბჭოთა ტერმინოლოგიით კი-კოლეგიალური მმართველობა.

საბჭოთა წესშეზღილების მთელ ისტორიაში კოლეგიალური და ერთპიროვნული დიქტატურები მონაცევეობენ. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ტირანია თანდათან შეცვალა ლენინის პიროვნულმა ტულტმა. ლენინის სიკვდილის შემდეგ ისევ ცენ. კომიტეტის კოლეგიალური მმართველობა აღსდგა, მაგრამ სტალინმა მისი კოლეგები პოლიტიკურად და ფიზიკურად გაანადგურა და საკუთარი ტირანია დაამტარა. სტალინის სიკვდილის შემდეგ იშვა მალენკოვ-ბერია-მოლოტოვ-ხრუშჩივის კოლეგია, რომელიც მალე ბერიას მკვლელობით, მალენკოვ-მოლოტოვის პარტიიდან გაძევებით და ხრუშჩივის ერთპიროვნული დიქტატურით შეიცვალა. სასახლის შეთქმულებამ ხრუშჩივი ხელისუფლებიდან გააძევა და შეთქმულებმა ბრექნევ-პოდგორნი-კოსიგინის კოლეგიალური სამეული გააძა სახელმწიფო ეტლში. ბრექნევმა ნელნელა პოდგორნი გააძევა ხელისუფლებიდან, კოსიგინი დაიქვემდებარა და ბოლოს თავის კულტზე აღოცა კომუნის-



ტური სამყარო. ამჟამადაც საბჭოთა რეჟიმის ციკლურმუნიციალურობა, ახლდება. ბრენევის კულტს ცვლის კოლეგია და მართველობა, რომლის გადაუდებელი ამოცანა ჯერ-ჯერობით არის შინაპარტიული ოპოზიციის დაძლევა-ალაგმვა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ფართო საზოგადოებისათვის დამალული ბრძოლა გორბაჩივის პიროვნული კულტისათვის. ამ გზაზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გორბაჩივისათვის საერთაშორისო ფაქტორს. მას ესა-კიროება, რაც არ უნდა დაუჯდეს, წარმატებებს მიაღწიოს საერთაშორისო არენაზე. წარმატებლობის შემთხვევაში მას ემუქრება ნიკიტა ხრუშჩივის ბედი:-კრემლის შინაური შეთ-ქმულებით დამხობა.

ხაზი გაუსცით რა დღევანდელ საბჭოთა ხელისუფლებაში შემჩნეულ შინაპარტიულ ქიშიშობის, და კიდევ მეტი, ბრძოლის ფაქტს, ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არაა, თუ რომ მელია მათ შორის უფრო პროგრესიული და რომელი-უფრო რეაქციული, რადგანაც, გარდა ოპოზიციის ლიბერალის ცო-დნისა, ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით თუ რით განსხვავდება გრიშინის ან რომანვის პოლიტიკა გორბაჩივის მხარის-დამჭერთა პოლიტიკისაგან.

გორბაჩივის არჩევის თანავე დასავლეთში დაიწყო აზრის გავრცელება, რომ თითქოს ის უფილიფას გაზედული ეკონო-მიკური რეფორმების მომხრე და ლიბერალი. უნდა ითქვას, რომ დღემდე, არც სიტყვით და არც საქმით, გორბაჩივის ეს თვისებები არ შეინიშნება. პირიქით, უფლებების დარ-გში მას მიეწერება კანონი, რომელიც საბჭოთა ციხე-გულა-გთა აღმინისტრაციებს უფლებას აძლევს, რომ მათ განკარგულებაში მყოფ პატიმრებს პატიმრობის ვადა გაუგრძელონ. (1985 წლის ბოლოსათვის საბჭოთა პატიმრების რიცხვს რვა მილიონამდე ვარიაცია დაგენერირდა. მათ შორის უმრავლესობაა გაფლანგვის, მექრთამეობის, სპეცულაციის და სხვა ტიპიური საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ბოროტმოქმედების ბრალდებით. პოლიტპატიმრთა მიახლოებითი რიცხვის დასახელებაც კი შეუძლებელია. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს საკითხი სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და ის დაუინებით უმაღავს საზოგადოებას პოლიტპატიმრების არსებობას საბჭოთა სტატუსით.)

გორბაჩივის სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული ალკო-



პოლთან ბრძოლა და მასთან დაკავშირებული პოლიციური რეაქციული პრესიები. ლოთობა იყო და რჩება რუსული საზოგადოებრივი სენი. ბოლშევიკები იქადოდენ, რომ მათ მიერ აშენებულ საზოგადოებაში ლოთობა თავისთავად მოისპობოდა. მათი რევოლუციის 68 წლისთავზე გორბაჩივის პოლიციური მძვინვარება ლოთობის წინააღმდეგ, ერთხელ კიდევ ზედმეტად მოწმობს კომუნისტური სამოთხის დაირებათა გაკოტრებას. ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ერთი და იგივე პოლიტიკის წარმოება შიდა რუსეთში და მუსულმანურ რესპუბლიკებში, სადაც ლოთობის სოციალური პრობლემა საერთოდ არ არსებობს. მიგვანიშნებს აბსურდული ცენტრალიზმის უგუნურებაზე.

საქართველო ვაზის კლასიკური ქვეყნაა. აქ ჯერ კიდევ გუშინ პოეტები და მწერლები ქებათა-ქებას უძღვნიდენ ღვინისა და ბაზუსის კულტს. საქართველოში იყო და ახლაც იქნება ღვინის უზომო სმისაგან გამოწვეული უსიამოვნო და უბედური ერთეული შემთხვევები, მაგრამ ლოთობა, როგორც სოციალურად საშიში სენი-არასოდეს. საქართველოში ღვინის დაჭნების შემცირება, ყურძნიდან უალკოჰოლ სასმელების დამზადება და რესტორნებში ღვინის გაყდვის აკრძალვა ბრიფობასთან ერთად ძლიერ საზარალოცაა ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ეკონომიკურ რეფორმებში გორბაჩივის ნოვატორობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. საიჯარო სისტემა, რომელზედაც საბჭოთა პროპაგანდა დიდ იმედებს ამყარებს, არც ახალია, არც სოციალისტურია და არსებულ პირობებში ვერც მშრომელთა დაინტერესებას ვერ გამოიწვევს. მისი შედეგი იქნება ის რაც სტანციულის-მშრომელთა გამომუშავების ნორმების გაზრდა და მით სახელმწიფოს მიერ მშრომელთა გაზღევის კიდევ უფრო გაძლიერება.

ამ ზაფხულში ედუარდ შევარდნაძე კრემლში დაწინაურეს პოლიტბიუროს წევრად და საგარეო საქმეთა მინისტრად. ვვარაუდობდით, რომ მის მიერ საქართველოში დატოვებულ მმართველ ეკიპში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩევნი ვარაუდი არ გამართლდა და საქართველოშიც მასიურად მიმდინარეობდა პარტიული და სახელმწიფო აპარატების წმენდა: „პენსიაში გასვლის“, უვარგისი ხელმძღვანელობის, მექრთამების თუ სხვა ბრალდებე-



ბით. ქართველ ხალხს და არც საქართველოს სხვა ეროვნულ მცხოვრებთ ამ ცვლილებების შესახებ არაფერს ეკითხებოდნენ და მათაც ამის შედეგად არც უფრო ცხელოდათ და არც უფრო სცივოდათ. მათთვის 1985 წელს, გორბაჩოვის გაგე-ნერალსექტრონბას არ მოუტანია არავითარი გაუმჯობესება არც შრომის პირობებისა, არც პროდუქტებითა და სხვა ცხ-ოვრებისათვის საჭირო საშუალებათა მომარაგებაში, არც ბი-ნისა და სანიტარულ-საექიმო მომსახურებაში და არც სხვა ნებისმიერ სფეროში. სასმელი და სახმარი წყლიც კი სანა-ტრელი იყა თბილისელებისათვის, ისევე როგორც ელდენი და საწვავი გაზი. ქართველმა ხალხმა მხოლოდ იმით შეიძლება თავი ინუგეშოს, რომ სხვაგანაც ჯელგან, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, უკავთეს დღეში არ იყენ.

არასაკმაო ავტორიტეტი და ჩაკეტილი საშინაო მდგომარე-ობა, რომლის გასაღებიც, თვით იდეოლოგიის ტჟეობაში მჭ-ოფს არ გააჩნია, უავვალია გორბაჩოვს უბიძებს წარმატე-ბა და მით ავტორიტეტის განმტკიცება. ექებოს საერთაშორი-სო არენაზე, სადაც მას ორი ურთიერთ საწინააღმდეგო პოლი-ტიკა გააჩნია: 1. სამხედრო ძლიერების გამოყენებით მნიშ-ვნელოვანი გამარჯვების მოპოვება; 2. დიპლომატიური მეთო-დების და ხერხების შეცვლით მშვიდობის ხანგრძლივი უზრ-უნველყოფა. არის მორცხვი ნიშნები იმისა, რომ თითქოს გო-რბაჩოვს ეს მეორე გზა აერჩიოს, მაგრამ ეს რომ თვალსა-ჩინო გახდეს, ამას შეიძლება კიდევ ერთი წელიწადიც არ ეჲს.

1985 წლის ჯელაზე დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა გორბაჩოვ-რეიგანის შეხვედრა უენევაში 19-20-21 ნოემბერს. 6 წლის დაძაბულობისა და მტრული დაპირისპი-რების შემდეგ აქ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად შეხვდენ არა მარტო ორი შოქიშპე სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე ორი მტრული და ძნელად შესარიგებელი სამყროს-დემოკრა-ტიულ ერთა კავშირისა და კომუნისტური ბლოკის-უმაღლესი დონის წარმომადგენლები. საკითხი ეხებოდა მსოფლიო ომსა და მსოფლიო მშვიდობას და ამიტომ მსოფლიო საზოგადოე-ბის ინტერესიც გასაგებია.

უკანასკნელად 1979 წელში ვენაში შეხვდენ ერთმანეთს შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი და ს.ს.რ.კ. მეტაური ლ. ბრენდევი და მათ ხელი მოაწერეს სტრატეგიული

შეიარაღების შეზღუდვის მეორე თაობის ხელშეკრულების შედეგად რის რატიფიკაციაც ამერიკის კონგრესმა არ ინებული და მისი შასადამე, არც სავალდებულოა, მაგრამ ამერიკის მთავრობა, მისი ხელმოწერის პატივისცემის მიზნით, მაინც ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ვენის შეხვედრას იმ წელსვე მოყვა საბჭოთა ჯარების შექრა ნეიტრალურ ავღანეთში და 1980 წელში კომუნისტური პოლონეთის პოლიტიკური კრიზისი, სადაც ზაველ წუთს მოსალოდნელი იყო, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის უხეში მაგალითების მსგავსად, საბჭოთა ჯარების ინტერვენცია. ამ დიდნიშვნელოვანმა საერთაშორისო ამბებმა დეტანტის პოლიტიკა ცივი ომით შეცვალა დასავლეთსა და კომუნისტურ ბლოკს შორის. ამ პორიოდსავე დაემთხვა ამერიკის შ. შ. პრეზიდენტად რ. რეიგანის არჩევა, რომელიც თავის ხალხსა და მთელ თავისუფალ კაცობრიობას პირდებოდა, რომ ბოლოს მოუღებდა ამერიკის სამხედრო და დიპლომატიურ სისუსტეს და ზღვარს დაუდებდა საბჭოთა კავშირის სამხედრებანისიას. აქედან მოყოლებული, საბჭოთა პროპაგანდისათვის პრეზიდენტი რეიგანი გახდა ომის გამჩაღებელი უსაშინელესი მხეცი, რომელიც ზაველი საშუალებით, თუნდაც მკვლელობით, სახელმწიფო საჭეს უნდა მოეშორებინათ.

საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო გართულებებს დაემატა ხანგრძლივად ბრეჟენევ-ანდროპოვ-ჩერნენკოს ავალმყოფობა, რასაც მსოფლიოს არ უმხელდენ. ამან კი საბჭოთა ხელისუფლები ჰძულა შინ ჩაკეტვის პოლიტიკა და ბირთვული ომის აპოვალიპის მუქარა ეწარმოებინა. მიუხედავად დასავლეთის პაციფიკისტთა პანიკური მანიფესტაციებისა, რომლის დამფინანსებელი და ლირიკორი იგივე საბჭოთა ხელისუფლება იყო, საბჭოების ეს „ცარიელი სკამის“ პოლიტიკა მარცხით დამთავრდა, „ოტანის“ სახელმწიფოთა მიერ წარმოებული ზაველგვარ პროვოკაციებისაგან დაზღვეული, მაგრამ მტკიცე პოლიტიკით, რომელიც გამოიხატა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში წინასწარ დაგეგმილი საშუალო სიშორის ახალი ტიპის ბირთვული იარაღის განლაგებაში.

უკვე ჩერნენკოს სიცოცხლეში აშკარა იყო, რომ საბჭოთა მთავრობა ეძებდა მიზეზს ამერიკის მთავრობასთან შეწყვეტილი დიალოგის განსაახლებლად. გორბაჩოვმა ამ ჭალი საბჭოთა პოლიტიკის მატერიალიზაცია მოახდინა უენეგაში.



პრეზიდენტ რეიგანთან შეხვედრით. ამ შეხვედრის მოაწერები მიზანი იყო საერთოდ შეიარაღების და კერძოდ ბირთვული იარაღის საკითხში პრეზიდენტ რეიგანის პოზიცია დიდი ხანია, რაც ცნობილია: ის მზადაა ნოლამდე შეამციროს, ე. ი. უკვე დამზადებული ბირთვული ბომბები სრულიად გაანადგუროს თუკი სხვა სახელმწიფოებიც და პირველ რიგში საბჭოთა კავშირი ასევე მოიქცევა სათანადო კონტროლის გარანტიების მიღებით. გორბაჩივმა წამოაჭნა **50%**ით შემცირების წინადადება. ოფიციალურად ის კონტროლს არ უშევებდა, ხოლო ოფიციოზური ხმებით ის თანახმა იქნებოდა კონტროლზედაც, თუკი მთავარ საკითხში—სტრატეგიული იარაღიდან თავდაცვის პროექტი(I.D.S.)-ზე ამერიკა ხელს აიღებს. ცნობილია, რომ საბჭოებსა და ამერიკას იმდენი ბირთვული ბომბები აქვთ თავიანთ არსენალებში, რომ თითოეულს შეუძლია ოთხჯერ და ხუთჯერ მოსპოს სიცოცხლე დედამიწის ზურგზე. ასეთ პირობებში მათი **50%**ით შემცირებას არავითარი პრაქტიკული შეღავათი არ მოყვება, თუნდაც კონტროლის პირობებში. მაგრამ, როგორც პირველ ნაბიჯს ურთიერთი ნდობის დამყარების გზაზე, ამ შეთანხმებასაც შეიძლება კარგი შედეგი გამოეღო, რომ ამის წინაპირობად გორბაჩივს არ მოეთხოვა ამერიკის მთავრობისაგან I.D.S.-ზე ხელის აღება, რაც უკანასკნელისათვის მიუღებელი იყო.

უნევის შეხვედრის მთელ წინა პერიოდში საბჭოთა მთავრობამ მთელი თავისი დიპლომატია—პროპაგანდის არტილერია მიმართა სწორედ I.D.S.-ს წინააღმდეგ რომელიც შათ „ვარსკვლავთა ომად“ და „პირველი ბირთვული დარტჭის“ იარაღად მონათლეს და მთავრობებსა და საზოგადოებრივ აზრს უმტკიცებდენ, თითქოს ამერიკის მთავრობის ეს განზრახვა ყაფილიყას ჟელაზე საშინელი ბირთვული ომის გაჩაღების საშუალება და თუ პრეზ. რეიგანი მასზე უარს არ იტყოდა, გორბაჩივი სხვა შეთანხმებებზე არ წავიდოდა. ჩევნის აზრით, გორბაჩივის ორპიზიცია ორმაგად უმართებულოა და მის საფუძვლიანობას მხოლოდ სუსტი გონების ხალხს თუ დააჯერებს. პირველ რიგში, საერთაშორისო გარიგებების დროს სასწორის თეფშებზე თანაბარი სიმძიმეები უნდა დაიდგას. თუკი ამერიკა დათანხმდებოდა ბირთვული



იარაღის თანაბარ შემცირებაზე, მას დამატებით საჩუქრად რატომ უნდა მიეცა გორბაჩივისათვის დარჩენილი სამუშავებელი ბომბების მუქარიდან თავდაცვის ჟაველგვარი საშუალებების ძიების სამუდამოდ ხელის აღების ხელშეკრულობაც?! მეორე რიგში უნდა ითქვას, რომ ამერიკის მთავრობის პრო-ეჭტი სტრატეგიული იარაღიდან თავის დაცვის საშუალება-თა ძიებისა. არც ისეთი საშინელებაა კაცობრიობისათვის, როგორც ამას საბჭოთა მთავრობა ქადაგობს. მას შეგიძლიათ უწოდოთ „ვარსკვლავების ომი“ თუ ნებისმიერი სხვა სახე-ლი ფიქციური ომების ლიტერატურიდან, მაგრამ შინაარსი მისი ერთია და უბრალო: შორს მტყურცნი ბირთვული იარა-ღისაგან თავდაცვის საშუალებების ძიება. თუ ეს გეგმა ამ-ერიკამ მართლაც განახორციელა მაშინ, როგორც ამბობს პრეზ. რეიგანი, ბირთვულ ბომბების გაუთავებელ დამზადე-ბას აზრი გამოეცელება. და კაცობრიობა განთავისუფლდება მისგან მოსპობის საშინელებისაგან. იქნებ ბატონი რეიგ-ანი გადაკარგებული ოპტიმისტი იყოს, მაგრამ განზრახვის კეთილშობილებას ვერ წაართმევთ და ისტორიულ პერსპექტი-ვაშიაც ის სრულიად გამართლებულია. მართლაცდა, აღამი-ანმა საომრად ნაჯახი და ხმალ-ხანჯალი როგორც კი გამო-ჭედა, მაშინვე დამზადა მათგან დასაცავი ფარიც. უფრო ახლო წარსულში, საპაერო დაბომბვისაგან თავის დასაცავად სახელმწიფოებმა შექმნეს საზენიტო არტილერია; თუ ფარის, მუზარადის, ან საზენიტო არტილერიის გამოგონება-დამზა-დება თავის დროზე არავის დაუგმია, მაშ, დღეს როგორღა შეიძლება იგივე ხასიათის გადაწვერილების დაგმობა-აკრძა-ლვა ბირთვული იარაღის შემთხვევაში? მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობილია, მეორე, საბჭოთა მხარე ამავე მიზანზე გაფაციცებით მუშაობს მალულად?! ამერიკის მთავრობა რომ ასეთ დათმობაზე წასულიყო, ეს იქნებოდა მისი თვითმკვლე-ლობა და ღალატი მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიო-ბის.

მართლაც, ასეთ დამობას არც შეხვედრის წინ და არც შეხვედრის დროს ადგილი არ პქონებია და, საბჭოთა მხარის ულტიმატუმის მსგავსი წინაპირობის გამო, არ შეიძლებოდა შედეგი მნიშვნელოვანი ყაფილიყა მოისა და მშვიდობის სა-კითხში, რასაც ელოდა მსოფლიო საზოგადოება. აღსანიშნა-ვია: მიუბედავად დაუძლეველი დაბრკოლებების არსებობისა,



გორბაჩივ-რეიგანის შეხვედრა-მოლაპარაკება მთნც უძრავია მათ, კიდევ მეტი, იგი ერთი დღით კიდევაც გაგრძელდება ვიდრე ეს წინასწარ იყო გადაწყვეტილი, არავითარი მნიშვნელოვანი ორმხრივი ხელშეკრულობით ის არ დაგვირგვინებულა, პირიქით, მათი ერთობლივი განცხადება წარმოადგენს ჩამოთვლას იმ საკითხებისას, რომელშიც ისინი ვერ შეთანხმდენ, მანც უმაღლესი დონის ეს მოლაპარაკება უნდა ჩაითვალოს პოზიტიურად ორი ანტაგონისტური ბლოკის უმარი თანაარსებობის თვალსაზრისით. რეიგანმა და გორბაჩივმა მიზანშეწონილად და შესაძლებლად დაინახეს ერთმანეთს სიმპატიურ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში დაშორებოდენ; ერთად აღიარეს: ბირთვული ომიდან ვერც ერთი მხარე გამარჯვებული ვერ გამოვა და, აქედან გამომდინარე, არც ერთმა მხარემ ის პირველმა არ უნდა დაიწყოს; შეთანხმდენ, რომ ჭაველწლიურად შეხვედენ ერთმანეთს, რათა ეძებონ გზები სადაო საკითხებზე შეთანხმებისა, შეთანხმდენ აგრეთვე, რომ გაგრძელდეს შეიარაღების შეზღუდვის კომისიების მუშაობა უენევასა და ვენაში, და ბოლოს, ხელმოწერილი იქნა ზოგიერთი ეკონომიკური და კულტურული ხასიათის ხელშეკრულებებიც. უკვე ის ფაქტიც, რომ უენევის მოლაპარაკების შემდეგ საბჭოთა პროპაგანდამ საერთოდ მკვეთრად შეცვალა ტონი პრეზიდენტ რეიგანისა და მისი მთავრობის მიმართ და, რომ ამ აუკანასკნელს საშუალება მისცეს, ამ ახალ წელს საბჭოთა მოქალაქეებისაღმი მიემართა, უკვე ბევრი კარგის მეტყველია მშვიდობის ძიების ეკლებიან და ბურუსიან გრძელ გზაზე.

თუ საბჭოთა მთავრობას, როგორც იგი ირწმუნება, მართლაც მშვიდობა სწადია, მაშინ მას შეუძლია კაცობრიობას თავიდან ააცდინოს გამანადგურებელი ომი. მსოფლიო მშვიდობისა და ნდობის დასამტარებლად გორბაჩივსა და მის მთავრობას არ ეყაფათ მათი ნაცადი ტუილი და ლიტონი სიტუაციი, არამედ დასკირდებათ სერიოზული პოლიტიკური გარდაქმნები, როგორც შიგნით, ისე გარეთ; მათ სიტუაციი საქმედ უნდა აქციონ; ექვსი ათეული წლის დაპირებები დემოკრატიასა და თავისუფლებაზე ცხოვრებაში უნდა გაატარონ. თუ რუსებს კომუნიზმი ეოცნებებათ, მათ არავინ არ უშლის ამ გზით იარონ, ოლონდ, მათ თავი უნდა დაანებონ, რომ ის სხვა ხალხებს ძალით თავზე მოახვიონ.

მაშინ, და მხოლოდ მაშინ, მსოფლიო მშვიდობის მოვალეობის აფრენა დიახაც შესაძლებელი გახდება. ვისურვებოთ კავკასია 1986 წელი ყაფილიყოს ასეთი გარდატეხის წელი.

ა რ დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა

ამ 1986 წლის დამდეგს „გუშაგს“ თავის მოვალეობად და ღირსებად მიაჩინია, მკითხველების ყურადღება გაამახვილოს იმ ჩვენი თანამემამულების მიმართ, რომლებიც ჩვენი ხალხის ეროვნული და პიროვნული უფლებების დაცვის გამო უწყლო ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას განიცდიან ტირანული საბჭოთა ხელისუფლების დამსჯელი ორგანოებისაგან. ყველა პოლიტიკურ რეპრესირებულთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია, ცნობილთაგანაც ყველასი აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, დავტმაყფილდეთ მხოლოდ ზოგიერთებით და მათი სახით ყველა მათ ბეჭდი მყაფთ გამოვუცხადოთ ჩვენი მამულიშვილური გულმოწყლება და სოლიდარობა.

1. ც ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა, 46-47 წლის მუსიკოლოგი, „აღა-მიანის უფლებათა“ და „პელსინკის ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების“ დაცვის კომიტეტების წევრი თბილისში, ქართული „თვითგამოცემების“ ერთ-ერთი რედაქტორი. ზვიად გამსახურდიასთან ერთად 1977 წლის 8 აპრილს ის დაპატიმრა კაგებეს ორგანოებმა და 1978 წლის მაისში მას მიუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გადასახლება. მას შემდეგ ის იტანჯება შორეულ ციმბირის გულაგებში. 1981 წლის ბოლოს მას პროგოკაცია მოუწჹეს, „გაასამართლეს“ და მიუსაჯეს კიდევ 5 წლის პატიმრობა, ხოლო გასულ წელში ბანაკის აღმინისტრაციამ ცუდი ყაფა-ქცევის მოტივით ორი წლის პატიმრობაც დაუმატა. ცხადია, რომ უშიშროების ორგანოები მას სამშობლოს და თავისუფალ ცხოვრებას არ აღირსებენ, რადგანაც ნებისყოფა მისი ვერ გატეხეს და პატიოსნება ვიზ შეუბლალეს.

2. ნ ი კ ო ლ ო ხ ს ა მ ხ ა რ ა ძ ე, 70 წლის ექიმი და ისტორიკოსი, რომლის დევნა იწყება 1957 წლიდან, როცა ის პირველად წინ აღუდგა ხელისუფლების პოლიტიკას დედა-ენის ხარჯზე რუსული ენის სწავლების გაძლიერებაზე და



ქართველი ხალხის ისტორიის ცალკე საგნად სწავლული უფლებაშე. მას შემდეგ ის სისახურიდან მოხსნული უფლებაში... აპატიმრებდენ, ამზედევდენ ფსიქიატრულ საპატიმროებში... უკანასკნელად ის დაპატიმრეს 1980 წლის 23 სექტემბერს. მისი ვაჟის—თამაზის განცხადებით, მას შემდეგ ნ. სამხარა-ძე იმყოფება ქ. ორიოლის ფსიქიატრულ დაწესებულებაში, ის გონებრივად სრულიად ჯანსაღია, მაგრამ მას ტანჯავენ იმიტომ, რომ ის მოითხოვდა სსრკ-ს კონსტიტუციური უფლე-ბების ცხოვრებაში გატარებას საქართველოსთვის.

3. ვალენტინა ფაილოძე, დაბ. 1923 წ., 3 შევი-ლის დედა, ღრმად მორწმუნე მანდილოსანი, სიონის ტაძრის ყაფილი მგალობელი, რომელმაც სამოცდაათიანი წლების და-მდეგს ამხილა კაგებეს აგენტების ძირგამომთხრელი საქმია-ნობა საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის მაშინდელ საკათა-ლიკოსობაში. მას შემდეგ ის იმყოფება შეუწყებელ დავნა-პატიმრობაში ხელისუფლთა ცილისწამების ბრალდებით. უკა-ნასკნელად, 1983 წ. 25 მაისს სასამართლომ მას მიუსაჯა 8 წ. თავისუფლების აღკვეთა და 5 წ. გადასახლება.

4. ვაჟა ჭლენილი, დაბ. 1938 წ. ქ. რუსთავის საზოგა-დოება „ცოდნას“ მდივან-მმართველი, ზურიკო გოგია, დაბ. 1946 წ., გაზ. „სამგორის“ კორესპონდენტი, ვახტა-ნგ ჩიტავა, დაბ. 1939 წ., ქ. რუსთავის ტექნიკური სკო-ლის დირექტორის თანაშემწე, გასამართლებული იუვენ 1980 წლის ოქტომბერში „ანტისაბჭოა აგიტაციის“ ბრალდებით, რომელც გამოხატებოდა ფრანგების გავრცელებაში, რომე-ბიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნ. მათ მიე-საჯათ: ვ. ულენტს 6 წლით მყაცრ ბანაკში პატიმრობა და შემდეგ 3 წლით გადასახლება, ზ. გოგიას 5 წლით მყაცრ ბანაკში პატიმრობა და 2 წლით გატასახლება, ხოლო ვ. ჩი-ტავას 5 წლით მყაცრ ბანაკში პატიმრობა. მათ შესახებ ვიცით მხოლოდ, რომ ვ. ჩიტავას 1982 წლის 28 აგვისტოს ბანაკის აღმინისტრაციის აგენტმა სასიკედილოდ სცემა, რის შემდეგაც კიდევ ის ჩააგდეს იზოლატორში ოცი დღე-ღამით.

5. ვაქარია ლაშქარაშვილი, დაბ. 1954 წ., ტ-ქსის მძღოლი, ტარიელ დვინიაშვილი, დაბ. 1960 წელს, მუშა მექანიკოსი, გურამ გოგაძანძე, დაბ. 1949

წელს, დაპატიმრებულები 1983 წლის ზაფხულზე, კავკაციუმი კის ტრაქტატის 200 წლისთავის ზემთან დაკავშირდებულების საპროტესტო მანიფესტაციებში მიღებული მონაწილეობის გამო და გასამართლებული 1984 წლის თებერვალში ანტი-საბჭოთა პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსების ბრალდებით, რაც გამოიხატებოდა „საქართველოს ეროვნული განთავისუფლების“ პარტიის დაარსებაში. სასამართლომ მათ მიუსაჯა: ზ. ლაშვარაშვილს-5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით გადასახლება და ტ. ლვინიაშვილსა და გ. გოგბაიძეს -4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. ჩვენმა მკითხველებმა კარგად უწყან, რომ 1984 წლის აგვისტოში, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გაარჩია, 1983 წ. 19 ნოემბერს საქართველოდან სამგზავრო თვითმფრინავის გატაცების მცდელობაში მონაწილეთა საქმე და უმაღლესი სასჯელი-დახვრეტა მიუსაჯა: 33 წლის მღვ-დელ თეომიტრაზ ჩიხლაძეს, 29 და 27 წლის ექიმ ძმებს პაარა და კახა ივერიელებს (ლექიშვილი) და კინომსახიობ გერმანე კობაძიძეს. მის შემდეგ მათი ბედის შესახებ არა-ვითარი იფიციალური ცნობა არ არის. ხმები კი დაღის ხან მათი შეწყლების და ხანაც სასჯელის სისრულეში მოყვანის შესახებ.

*** *** ***

როგორ ხვდებიან საქართველოს
მაღაზიები ახალ წელს?

ამ კითხვაზე პასუხისათვის ყველას ჯობია სიტუა მივცეთ საქართველოს სსრ-ს კომპარტიის ცენ. კომიტეტის ზოვალდ-ლიურ გაზეთ „კომუნისტს“, რომლის 25 დეკემბრის ნომერში, სათაურით „უხალისო საახალწლო სამზადისი“, სიტუა-სიტუ ვით შემდეგს ვკითხულობთ :

„ერთი კვირაც და შემოაბიჯებს ახალი წელი. მისი მოლოდინი იმედით და ხალისით ავსებს ადამიანს. მაგრამ „ცხინვალვაჭრობის“ ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობის გამო ხალისდაკარგული დაღიან ცხინვალები მაღაზი-იდან-მაღაზიაში, —იქნებ, საღმე წააწყდნენ სურსათ-სანოვა-გეს საახალწლო სუფრისთვის.

შემოვიარეთ ქალაქი და დიახაც, რომ მაღაზიები და მათი



„მუშაკები დაღვრემილად გამოიყურებიან. რესპუბლიკური ცინასახალწლო ვაჭრობა, ჩვენთან კი...“

სტალინის ქუჩის ბოლოში №21 სასურსათო მაღაზიაში, რომელიც ემსანურება ქალაქის ახალ შიკრორაიონს და რომელიც „ცხინვალვაჭრობის“ სანიმუშო მაღაზიად ითვლება, გუშინ საღამოს დიდი რიგი იდგა. — რაზე დგის რიგი? — ჩვენს შეკითხვას რამოდენიმე მოქალაქემ ერთდროულად უპასუხა. — კარაქზე... — დილის 10 საათიდან ვდევვართ რიგში და მაღაზიის გამგე ვ. სანაკოვეგმა ახლა გამოვიტხადა: ხვალ მოდით, დღეს ვერ მოვახერხეთ კარაქის შემოტანაო.

— მთელი დღე მოვცდით, ვინ გამანთავისუფლებს ხვალაც სამუშაოდან?! ამბობს ახლავაზრდა მუშა ქალი ნატაშა ქუმარიტვა. ჩვალოვის ქუჩაზე მდებარე №11 მაღაზიაში კი კარგა ხანია არც კარაქი უნახავთ თვალით და არც მარგარინი. ასეთი მდგომარეობაა ქალაქის ცენტრში მდებარე №8 და №14 სასურსათო მაღაზიებში. მთელი თვეა რძის სპეციალურ №58 მაღაზაში არაუანი არა აქვთ. დიდი სამამულო ომის ვერერანთა სპეციალურ მაღაზიას წელს 11000 მანეთი ფონდირებული რძე დააკლეს. საოლქო სამომხმარებლო კონპერაციული მაღაზიები სულ დაცარიელებულია. ამჟამად აქ აქვთ მხოლოდ წერილი, უხარისხო ორასიოდე კილოგრამი კარტოფილი, რომლის ღირებულება 35 კაპიკია. გაუგებარია, ხილბოსტნეულით მაღაზიების მომარაგება მაინც რატომ არ ხერხდება!..“ (წერილს ხელს აწერენ „კომუნისტის“ რეიდის მონაშილენი: ნინო ხოდოვა, ანა ბოჭორიძე, ი. ბაგაევი, გ. მკელიძე და გ. თელევი.)

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის უცოდინარ მკითხველს არ ეგონს, თითქოს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ამ მხრით გამონაკლისი იყოს, არა, სამშუხაროდ ასევეა ნებისმიერ სხვა მხარესა და კუთხეშიც. კველგან პროდუქტების მაგივრად, დაპირებებით კვებავენ ჩვენ ხალხს!.. ვკითხულობ ამ ცნობებს და მეყვსეულად მაგონდება დიდებული ილიას ბოლო თქმა „მგზავრის წერილებში“: „...ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყლო, მომეც ამის პასუხი!..“

ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი გაზეოთ „ალია საქართველოდან“ თავის 1985 წლის 31 დეკემბრის ნომერს იწყებს მიმართვით : „მზიურ საქართველოს შვილებს გილოცავთ ახალ წელს! უფილიყოს ის ბედნიერი და სისარულის მომტანი თქვენთვის. კაცობრიობის ისტორიაში შესულიყოს ეს წელი, როგორც საყველთაო მშვიდობის დამყარების წელი, ისრაელ-საქართველოს კეთილურთიერთობის გაფურჩქვნის წელი.“

რომელი ქართველი არ მოაწერს ხელს ამ სიტყვებს, რა სარწმუნოების აღმსარებელიც არ უნდა იყოს იგი! და „გუ-შაგიც“ სიამოვნებით უერთებს მას თავის ხმას. მან, საქართველოს ებრაელებო, რომლებმაც ამ უკანასკნელი 15 წლს განმავლობაში მასიურად დატოვეთ ჩვენი სამშობლო და ოქვენს ისტორიულ სამშობლოს მიაშურეთ, მაგრამ ოქვენი გულის ერთი ნაწილი მაინც იქ დარჩა, სადაც ოქვენს მამა-პაპათ ოცდახუთი საუკუნე უცხოვრიათ და, სადაც მათი ძვირფასი საფლავებია გათხრილი, მოგილოცავთ ამ ახალ 1986 წელს; და, მას თქვენთვის აე-სრულებიოს თქვენი უზენაესი ნატევრა-მშვიდობა თავისუფლებაში.

საქართველო-ისრაელის კეთილურთოერთობას მხოლოდ საქართველოს უთავისუფლობა უშლის ხელს და, როგორც კი ის რესთა მპტობელობიდან განთავისუფლდება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: საქართველოს და ისრაელის სუვერენული სახელმწიფოები ძმურად ხელიხელჩაკიდებულნი ივლიან წინ, უკეთესი და უკეთესი მომავლის გზაზე.

ვინაიდან ეს ჩვენი და თქვენი საერთო ინტერესია, მოღით, ამ ახალი წლიდან უფრო მტკიცედ მივცეთ ხელი-ხელს, რათა ჩვენს სამშობლო საქართველოშიც იზეიმოს მშვიდობამ თავისუფლებაში.

შალომ, შალომ, მეგობრებო !

8588c





პრივილეგირებულთა სასურსათო მომარაგება
საბჭოთა საქართველოში

ვინც კი მეტ-ნაკლებად გარკვეულია საქართველოს პარტიულ-სახელმწიფოებრივ და სხვა ხელმძღვანელ ორგანიზაციათა აპარატების მუშაკთა მომარაგების სტრუქტურაში, აღბათ კარგად იცის ის, რომ მათი ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობების შესაქმნელად არსებობს სპეციალური სამსახურები. ჩემი მიზანია აქ, იმ მყითხველებს, რომლებიც, შესაძლოა ჯერ კიდევ მოლიანად არ არიან გარკვეულნი კომუნისტური საქართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა კვების პროდუქტებით მომარაგების ორგანიზაციაში, მოკლედ გავაცნო ამ სისტემის ზოგიერთი ასპექტი.

ყველამ კარგად ვიციო, რომ დღევანდელ საქართველოში პირველ ხელმძღვანელ როლს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თამაშობს; მას მოჰყებიან: უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი. ძირითადად ამ ხუთი ორგანოს ხელში იმყაფება საქ – ს მართვის ბერკეტები და, რასაცვირველია, სწორედ მათ აქვთ უპირატესობა შედარებით უკეთესი ყაფა-ცხოვრების შექმნისა, საბჭოთა კანონის ფარგლებში. რაში გამოიხატება ეს? დღეს, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, სურსათ-სანოვაგის დიდი ნაკლებობაა, ამ ორგანოთა მუშაკებს საშუალება გააჩნიათ, სახელმწიფო ფასებში შეიძინონ, როგორც პირველი მოხმარების, ისე დეფიციტური საქონელი. ამისათვის საქ – ს კპც კომიტეტს, თბილისში ძერუინსკის ქუჩაზე მოწყობილი აქცს სპეციალური მაღაზია, სადაც ცენტ. კომიტ. ბიუროს წევრების, ბიუროს წევრობის კანდიდატების, ცენტ. კომიტ. აპარატის მუშაკების და ზოგიერთი სხვა წამყვანი პარტიული ხელმძღვანელის გარდა, შესვლის უფლება სხვას არვის გააჩნია. ს ასეთივე მაღაზია არსებობს მთავრობის სახლის ქვეშ, რუსთაველის გამზირზე, რომელიც ემსახურება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატების, საქ – ს პროფკავშირულ-კომკავშირულ და სხვადასხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელ მუ-



შაკებს. აქაც, ოოგორც ცენტ. კომიტეტის მაღაზიაშეულებული და ამ კატეგორიის მუშაკებისა, შესვლის უფლება არაფინანსურის არ გააჩნია, რისთვისაც ამ მაღაზიებში შესასვლელად და-წესებულია სპეციალური საშვები.

რა პროდუქტები იყდება ამ მაღაზიებში და ოოგორ სწა-რმოებს მათი გაცემა?

საქ. კ.პ. ცენტ. კომიტეტში ამ საქმეს განავებს სამეურ-ნეო სამმართველო. გარდა ც.პ. ბიუროს წევრებისა, რომლე-ბიც განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ მომარა-გების მხრივ, აპარატის სხვა მუშაკებს,—განყოფილებათა გა-მგებებს, მათ მოადგილებს, ცალკეულ სექციათა გამგებებს, ინსტრუქტორებსა და სამეურნეო-ტექნიკურ მუშაკებს, და-კავებული თანამდებობის შესაბამისად,— უფლება ეძლევათ ამ მაღაზიაში შეიძინონ სხვადასხვა არალიმიტირებული სა-სურსათო საქონელი, ისეთები როგორიცაა: ბოსტნეული, ხი-ლი, თევზისა და ხორცის კონსერვები, მინერალური და ხი-ლეულის წყლები, მაკარონი, ბრინჯი, საკონდიტრო ნაწარმი, სიგარეტი და ზოგიერთი სხვა წვრილმანი პროდუქტი. რაც შეეხება დეფიციტურ კვების პროდუქტებს, ისინი გაი-ცემა სპეციალური ზოგელთვიური ტალონების მიხედვით, სა-დაც განსაზღვრულია ცალკეული დეფიციტური პროდუქტის რაოდენობა. დეფიციტურ პროდუქტებს მიეკუთვნება: ხორცი, სხვადასხვა სახის თევზეული და ძეხვეული, ჭველი, შავი და წითელი ხიზილალა, იმპორტული საქონელი, მათ უორის სას-მელი,— შამპანური, ღვინო, ვისკი, ლუდი და სხვა.

იმის მიხედვით თუ ვის რა თანამდებობა უკავია, დეფი-ციტური საქონლის ასორტიმენტი და ოდენობა იცვლება და, შესაბამისად, ტალონიც სხვანაირია. მაგალითად, თუ ცენ. კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილეს ან ინსტრუქ-ტორს თვეში ნახევარი კილოგრამი რომელიმე ძვირფასი თე-ვზი ეძლევა, ტექნიკურ მუშაკს ამ თევზის რაოდენობას ან შეუმცირებენ, ან უფრო დაბალი კატეგორიის თევზით შეუ-ცვლიან, ან კი საერთოდ არ მისცემენ.

ასეთივე წესით ხორციელდება კვების პროდუქტების გაცემა საქ. მინისტრთა საბჭოს მაღაზიაშიც, იმ განსხვავებით რომ დეფიციტური პროდუქტების ასორტიმენტი აქ ბევრად ღარი-ბია, ვიდრე ცენ. კომიტეტის მაღაზიაში. გარდა ამისა აქ პირველ რიგში უპირატესობა ეძლევათ უმაღლესი საბჭოსა



და მინისტრთა საბჭოს აპარატების მუშაკებს, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახალხო კონტაქტის კომიტეტის მუშაკებს და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკურ როგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს.

როგორც ცენტ. კომიტეტის ისევე სხვა ხელმძღვანელ ორგანიზაციათა აპარატების ნომენკლატურულ თანამდებობათა მუშაკებს, რომელთაც ეს მაღაზიები ემსახურებათ, შეუძლიათ ტელეფონით შეუკვეთონ მათთვის საჭირო საკვები პროდუქტები, რომლებიც სამეურნეო სამსახურის სპეციალური მანქანით მიაქვთ დამკვეთის ბინაზე, სადაც დამკვეთის ოჯახის რომელიმე შევრი იხდის ამ პროდუქტების ღირებულებას და სატრანსპორტო ხარჯებს; რის შემდეგ მიღებული პროდუქტების დასახელება და ოდენობა აღირიცხება.

ერთი შეხედვით საქ. ხელმძღვანელი ორგანიზაციების მუშაკთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე თითქოს მოგვარებულია, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ ორგანიზაციათა მაღაზიებიც კი, განსაკუთრებით მინისტრთა საბჭოს მაღაზია, ხშირად განიცდიან სხვადასხვა პროდუქტების დეფიციტს. მაგალითად, მინისტრთა საბჭოს მაღაზიაში, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში იშვიათად შეხვდებით ხორცს, ყველს, თევზეულს, ძეხვეულს, ხიზილალაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ამ მაღაზიაში შემოტანილი ფრინველის ხორცი კი, რომელიც პერიოდულად მაინც შემოდის, ისეთი უფერული და უხარისხმოა, რომ ხშირად, კვების პროდუქტების მწვავე ნაკლებობის პირობებშიც, ხალხი არ ყადულობს მას.

უნდა ნახოთ რა ხდება მაღაზიაში, როცა რომე დეფიციტური პროდუქტი შემოაქვთ. ჩესპუბლიკური მაღალი თანამდებობების მუშაკები ხშირად თავმუდმოგლეჯილები გარბიან, რათა ერთი კილოგრამი ხორცი, ყველი, ძეხვი ან თევზი შეიძინონ! რომ შეხედოთ ამ ხალხს გაგიკვირდებათ: როგორკარგავენ ისინი ადამიანურ თვისებებს იმისთვის, რომ პროდუქტები შეიძინონ! რა ქნან, მათაც ოჯახები გააჩნიათ. ხშირად ამ ხალხს შორის ისეთებს ნახავთ, რომლებიც დღეს რომ ხორცის რიგში დგანან და ზოგჯერ ვერც ხვდებათ ეს ხორცი, ხვალ მაღალ ტრიბუნიდან, მართალია ზოჯერ იძულებით, მაგრამ მაინც ქადაგებენ კომუნისტური წეს-წუბილების უპირატესობაზე. პირდაპირ სასაცილოა!

ჟელაზე ცუდ მდგომარეობაში კი საქ – ს რიგითი მოქალაქეები იმყოფება, რომელსაც არავითარი უწყაბრივი მაღალი მატერიალური გააჩნია, საღაც იგი ზოგჯერ მაინც შეძლებდა შეძლებული შეძენას. იგი დამოკიდებულია ჩვეულებრივ სახელმწიფო სასურსათო მაღაზიაზე, საღაც დეფიციტურს რომ თავი დაგანებოთ, ხშირად ელემენტარული საკვები პროდუქტებიც კი არ არის. ასეთ პირობებში ის იძულებულია მიმართოს საკოლმეურნეო ბაზარს, საღაც ფასები პროდუქტებზე ისეთი მაღალია, რომ ხელფასზე მცხოვრებ ადამიანისათვის, თუ მას არამე გარეშე შემოსავალი არ გააჩნია, მიუწდომელია. სწორედ აქედან იწყება ის ბოროტმოქმედებანი, რომლებსაც ადგილი აქვთ როგორც საქართველოში ისევე მთელ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ხელისუფალნი სამხედრო-პოლიციური ძალის ვამოუნებით ჯიშტად დღილობენ კომუნისტური წესწყაბილების შენარჩუნებას, რომლისთვისაც სწორედ ასეთი მეურნეობრივი ქაოსია დამახასიათებელი. ხალხი გაოგნებულია. მან აღარ იცის როგორ მოიქცეს. რა ძნელია, როდესაც პატიოსანი შრომით ცხოვრება არ შეიძლება, ხოლო ნორმალური ცხოვრების შესაქმნელად ბოროტმოქმედების ჩადენის შემთხვევაში კი ადამიანებს მკაცრად სჯიან. რა ქნას ხალხმა? იგი სასოწარკვეთილებაშია ჩაგარდნილი! ამავე დროს კი კომუნისტური პარტია გამოყენებამდე ქადაგებს, რომ ვითომდაც იგი ხალხის ინტერესების დამცველია. ხომ წარმოადგენს ეს უმაღლესი კატეგორიის ცინიზმს, ხალხის აბუჩად აგდებას?!?

გურამ გელოვანი (1984 წელი)

შრომის ანაზღაურება და „ბრიგადული ფორმა“

ბოლშევიკური გადატრიალებისთანავე დაიწყო ხალხის მონური ექსპლოატაცია. კომუნისტი დიქტატორები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ჟელა პერიოდში ყველმხრივ ცდილობდნენ, რომ ხალხი ეკონომიკურად წელში არ გაშლილია. თავიდან მათ დაიწყეს ქალაქად და სოფლად შეძლებული ხალხის დევნა და მათთვის ქონების ჩამორთმავა. შემდეგ კი, სწორედ ხალხის სრული გაპარტაცების მიზნით, რაც კომუნისტურ ხელისუფლებას განმტკიცების საშუალებას აძლევდა,

სოფლად დაიწყო ძალისმიერი მასობრივი კოლექტივიზაცია, რასაც გლეხობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრავისა ბჭოთა სახელმწიფოს ძალამ გაიმარჯვა მაინც და დღეს საბჭოთა სოფელი გაპარტიანებულ საბჭოურ მეურნეობას წარმოადგენს, რომელსაც არ შესწევს მოსახლეობის კვების პროდუქტებით მინიმალური დაკმაყოფილებაც კი.

ასეთივე ძალზე დაბალეფექტურია საბჭოური მრეწველობაც და, აქედან გამომდინარე, შედეგი კი ის არის, რომ საბჭ. ხელისუფლების დამყარების 68 წლისთავზე იქ ხალხმა ვერა და ვერ მოითქვა სული. ან არის კი მოსალოდნელი, რომ იგი ოდესმე მოიღვამს სულს? ალბათ არა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფალთ მხოლოდ ხალხის მაქსიმალური ეჭსპლოატაციით შეუძლიათ განიმტკიცონ თავიანთი პოზიციები.

ამის ერთ-ერთი ხელის შეგწყვბი პირობა კი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საბჭოური სისტემაა. ამ სისტემის მანკიერების გამოა, რომ დღეს, როგორც მუშა-მოსამსახურეთა, ისე კოლმეურნე გლეხობის შრომის ანაზღაურება ისე დაბალია, რომ იგი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რითაც საბჭოთა ხელმძღვანელობა ხალხს შევნებულად უკიდურეს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს უქმნის და უბიძგებს დანაშაულობების ჩადენისაკენ.

მე მსურს ჩვენს მკითხველს შევახსენო, რომ ყველა ღონისძიება, რომელიც კი ოდესმე გატარებული ყოფილა და ტარდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ შრომის ანაზღაურების საკითხში,— თვალისამხედვი იჭა და არის. ამით საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა და ცდილობს ხალხის დარწმუნებას იმაში, რომ ვითომდაც ყველა ისინი მიმართულია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. სინამდვილეში კი ხალხი მუშაობისაგან წელში წყდება და გასამრჯელოდ კი თითქმის არაფერს იღებს.

ჩვენ, რომ აქ შრომის ანაზღაურების საკითხზე დეტალურ-
ად შევჩერდეთ, ეს ძალზე შორს წაგვიჭანს და ამიტომ მე
მსურს გაგაცნოთ მხოლოდ საბჭ. ხელისუფლების უკანასკნე-
ლი წლების ერთი ღონისძიება, რომელიც ვითომდაც მოსახ-
ლეობის შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებას ითვალისწი-
ნებს. ამ ღონისძიებას ისინი უწოდებენ „ბრიგადულ ფორ-
მას“. თავდაპირველად ამ მეთოდით მუშაობა, პარტელმდრ-
ვანელთა მითითებით, დაიწყო მოსკოველ მშენებელთა ერთმა



ბრიგადამ, რომელსაც ვინმე ზღლობინი ხელმძღვანელობდა და ამიტომ ამ მეთოდს მშენებლობაში „ზღლობინის ბრიგადული იჯარის“ სახელი შეერქვა. ამ მეთოდის არსი უბრალოა. ბრიგადა ყალიბდება **10 - 20** კაცისაგან. თუ მუშაობის ამ მეთოდზე გადასვლამდე ესა თუ ის ბრიგადა ცალკეულ კონკრეტულ ოპერაციებს ასრულებდა, ახალ მეთოდზე გადასვლის შემდეგ ასეთი ბრიგადა უკვე გარკვეულ კომპლექსურ ან სპეციალიზირებულ სამუშაოებს ასრულებს. ბრიგადის წევრებს კი ხელფასს თვით ბრიგადირი ურიცხავს, იმის მიხედვით თუ ბრიგადის ცალკეულმა წევრმა რა წვლილი შეიტანა მის მუშაობაში, რა სტაჟი გააჩნია და რა კვალიფიკაცია. ეს ძირითადი მაჩვენებლებია, რის საფუძველზეც გაიანგარიშება თითოეული მუშის შრომითი მონაშროების კოეფიციენტი, რაც შემდგომში საფუძვლად ედება ხელფასის განსაზღვრას.

გარდა ამისა მუშებს ასწავლიან მომიჯნავე სპეციალობებს, იმ ვარაუდით, რომ მატერიალურ - ტექნიკური საშუალებების მიწოდების შეფერხების შემთხვევაში, რაც ძალზე დამტასიათებელია საბჭოთა გეგმიანი მეურნეობისათვის, ან სხვა მიზეზის გამო, ისინი სამუშაოზე არ გაცდნენ.

მაგრამ, როგორც გამოცდილებამ უჩვენა, მუშები ასეთ ბრიგადებში გაერთიანების მონდომებას არ იჩენენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მნიშვნელოვნად იზრდება მათი შრომითი დატვირთვა, ხელფასის სათანადო გადიდების გარეშე. მაგალითად, ასეთი მეთოდით მრეწველობაში მომუშავე მუშაოვეში **180 - 250** მანეთს იღებს, რაც ჩვეულებრივ მეთოდთან შედარებით მხოლოდ **15 - 20** მანეთით მეტია, იმ დროს, როცა მათი შრომითი დატვირთვა თითქმის ერთი ორად იზრდება. ამ მეთოდის მეორე უარყოფითი მხარე ის არის, რომ ასეთი ბრიგადების შექმნა, სპეციფიურობის გამო, შეუძლებელია ჯელა დარგში, როგორც ამას საბჭოთა ხელმძღვანელობა მოითხოვს; და ბოლოს, ამ მეთოდის უშედეგობის გამო, სადაც კი ასეთი ბრიგადები შეიქმნა, ისინი ფორმალურ-რეკლამურ ხასიათს იღებენ და ზოგჯერ კი უქმდებიან კიდეც, მაგრამ მიუხედავად ასეთი მეთოდის უპერსპექტივობისა, საბჭ. ხელმძღვანელები უკვენაირად ცდილობენ იმის-თვის, რომ ის მაქსიმალურად გაავრცელონ. ეს იმისთვის, რომ ეს მეთოდი ხელფასის უმნიშვნელო ზრდით, ხალხის უფრო მეტი ექსპლოატაციის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა



ამ მეთოდის გავრცელების მცდელობით მათ სურთ აჩვენები ხალხს, რომ ვითომ ისინი ხალხზე, მის მატერიალურ და უსაფრთხოებულ დღეობაზე ფიქრობენ.

საბჭ. ხელმძღვანელები წარმოების ზრდის მიღწევას მოგონილი, არაცხოვრებისეული, მუშაობის კომუნისტური მეთოდებით, სხვადასხვა სახის ეშმაკობითა და ხრიკებით ფიქრობენ, მაგრამ, რაც უფრო შორს მიღიან ისინი ამ მიმართულებით, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ხელოვნური მეთოდებით, ხალხის რეალური მატერიალური დაინტერესების გარეშე წარმოების ეფექტურიანობის მიღწევას ვერ შეძლებენ. მხოლოდ მეურნეობის გაძლოლის არარაციონალურ სოციალისტურ სისტემაზე უარის თქმა მთელ ქვეყნას უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას მისცემს. კომუნისტურმა ხელმძღვანელებმა ეს კარგად იციან, მაგრამ სოციალისტური სისტემის უარყოფა მათ არ აწყოფთ, ვინაიდან ხელმძღვანელი პოზიციების დაკარგის ეშინიათ, რამაც შეიძლება შემდგომ ძალა-უფლების დაკარგვაც გამოიწვიოს, და მაშინ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, გაოგნებული ხალხი მათ მკაცრ დასჯას მოითხოვს, მრავალი ათეული წლის მანძილზე მისი აბუჩად აგდებისა და ჟელა აღამიანური უფლების წართმევის გამო.

გურამ გელოვანი (30.04.1985)

საბჭოთა რეფიმი მანკიერების
წყაროა

რატომ არის საბჭოთა კავშირში ასე ფართოდ გავრცელებული კორუპცია? საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის ერთპარტიული კომუნისტური რეჟიმის სახელმწიფოს პირობებში, როდესაც მმართველ პარტიას არ ყვს გამკრიტიკებელი, კორუპცია ასეთი ტიპის სახელმწიფოს განუზაფელი ნაწილია კორუპცია პარტიული ორგანოების სათავეში, მოსკოვში იწყება და საზოგადოების ჟელა ფენებში ვრცელდება. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მაღალი აღმინისტრაციული ან პარტიული პოსტის დასაკავებლად იძლევიან ქრისტიან სახით ას და მეტ ათას მანეთს, ვინაიდან მათ კარგად იციან, რომ ამ მაღალი თანამდებობის დაკავების შემ-



თხვევაში ისინი, ქრთამებისა და საჩუქრების მიღებით, შედარებით დაბალი თანამდებობების გაფალვით, ამ თანამდების შვენელოვანი მეტობით დაიბრუნებენ. პარტიული ტუშების გამოაშვარავების შემთხვევაშიც კი, ისინი მკაცრად არ ისჯებიან, ვინაიდან ან სასამართლოს ისყადებენ ან კი მათ რომელიმე უფრო გავლენიანი ხელმძღვანელი აფარებს ხელს, რომელსაც ხელები ასევე „ჭუჭუანი“ აქვს.

საბჭ. კავშირში გავრცელებული უზარმაზარი მასტაბის კორუპცია მიუთითებს არა მარტო მისი ეკონომიკის უსუსრობაზე, იგი ამრავლებს უკანონობას, ღრღნის ადამიანის სულს. ზოგჯერ ადამიანი კარგავს მეუღლეს ან ბავშვს იმისათვის, რომ მას ქრთამის მისაცემი სათანადო თქნა არ გააჩნია ჩასატარებელი მკურნალობისათვის; მშობლებს, რომლებსაც ფული არა აქვთ ვერ აწყაბენ შვილებს უმაღლეს სასწავლებლებში; ოჯახი, რომელიც ათი - თხუთმეტი წლის განმავლობაში ბინის მიღების რიგში დგას, მას ვერ იღებს, ვინაიდან არაიმასკომში ქრთამის მისაცემი ფული მას არ გააჩნია. ყველა ეს ადამიანები თავს მოტყუებულად სთვლიან, შეგნებული აქვთ, რომ სახელმწიფო მათ ანგარიშს არ უწევთ, რომ საბჭოთა საზოგადოებაში მორალს არავითარი ფასი არ აქვს და რომ სახელმწიფოს ადამიანთა არსებობაც კი არაფრად მიაჩნია.

კორუპციის სენი თავდაპირველად ლოკალიზირებული იყო, ახლა კი ფართოდ გავრცელდა მთელ საბჭოთა სისტემაზე. ხალხი ხელმძღვანელი ფენების წარმომადგენლებს პარაზიტებად თვლის, რომლებიც თავის თანამდებობრივ მდგომარეობას პირადი ინტერესებისათვის იუნებენ. ასეთი მდგომარეობა ხალხში მთავრობისადმი უპატივისცემლობას იწვევს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, რომლის საზოგადოებრივი პასიურობა და პესიმიზმი ჭაველდღიურად იზრდება.

საბჭოთა რეჟიმი პერიოდულად პრესის საშუალებით ცდილობს შთააგონოს ხალხს, რომ ვითომდაც იგი კორუპციის წინააღმდეგ იბრძვის. გაზეთ „პრავდის“ 1982 წ. 27 პარილს გამოქვეყნდა დიდი სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო თევზის მრეწველობის მინისტრის მოადგილის რიტოვის სიკვდილით დასჯის შესახებ, რომელიც ხიზილალით კონტრაბანდას ეწეოდა. ბინების განაწილებისას ქრთამების აღების გამო სიკვდილით დაისაჯა აგრეთვე თბილისის 26 კომისრის სახე-

ლობის რაიალმასკომის თავმჯდომარე კობახიძე, ხოლო საქ. ფინანსთა მინისტრი ანანიაშვილი ქრთამების აღებისას უსწორდები ხანგრძლივი პატიმრობით დაისაჯა და სხვა. შემთხვევაში ხანგრძლივი პატიმრობით დაისაჯა და სხვა.

ამ ერთეული შემთხვევების გამოაშეკარავებით საბჭოთა რეუიმი ცდილობს ხალხს თვალი აუხვიოს და შთაბეჭდილება შეუქმნას მას, რომ ვითომდაც იგი კანონიერების საღარაჯოზე დგას, მაგრამ სად არის კანონი? კანონს, რომ მივმართოთ, ასეთ შემთხვევაში, საბჭ. სხვა ჩეგიონებს რომ თვი დავანებოთ, დღეს საქართველოში კორუპციაში მონაწილეობისათვის უნდა დაპატიმრდეს ჯელა სფეროს რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელები; პირველ რიგში კი უველგვარი გამონაკლისის გარეშე ჯელა რანგის პარტიული ხელმძღვანელი, რომლებიც თვით უბიძებენ ხალხს კორუპციისაკენ და ეწევიან წარმოუდგენელ მასშტაბის მექრთამეობას.

სოფლის მეურნეობის პრობლემა ერთ-ერთი მთავარია, რომელიც მწვავედ დგას საბჭ. კავშირში. საბჭ. ხელმძღვანელები უველთვის ცდილობენ განსაკუთრებული ურადღება დაუთმონ ამ დარგის განვითარებას, მაგრამ საბჭ. პოლიტიკურ-ეკონომიკური უხერხემლო სისტემის გამო საბჭ. კავშირის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მაღაზიებში, მათ შორის ზოგჯერ მოსკოვშიც კი, არ არის ხორცი, რაის პროდუქტები, ხილი და სხვადასხვა ბოსტნეული. დღეს საბჭ. კავშირში ადამიანის კვების ლირებულება ძალზე ძვირია იმ შემთხვევაშიც კი თუ პროდუქტების შეძენა სახელმწიფო ან კონკრეტულ ვაჭრობის მაღაზიებში ხდება, საკოლმეურნეო ბაზარს რომ თავი დავანებოთ. მაგალითად, იმისთვის, რომ მოსკოვში მცხოვრებმა მუშამ თავისი ოჯახი, რომელიც 4 სულისაგან შესდგება, ძირითადი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოს კვირაში საშუალოდ 53,5 საათი უნდა იმუშაოს. მოსკოვის მაგალითი იმიტომ მომზადს, რომ ეს ქალაქი სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით უფრო კარგად მარაგდება. შედარებისათვის, ვაშინგტონელმა მუშამ 18,6 საათი უნდა იმუშაოს, პარიზელმა-22,2, მიუნხენელმა-23,3, ხოლო ლონდონელმა-24,7 საათი.

ცნობილია: იმისთვის, რომ ადამიანმა ბინა მიიღოს, შეიძინოს კარგი ტანსაცმელი, ვევჯი ან უბრალოდ ხორცის კარგი ნაჭერი, რომ კარგი სამედიცინო დაზმარება მიიღოს,

ისწავლოს ინსტიტუტში, ან სასამართლოს ჭეშმარიტიული წევეტილება მიიღოს – ქრთამის მიცემა ცხოვრების ჭარბობის ღიურობას წარმოადგენს. საბჭ. საზოგადოებაში ეს პრობლემები იარსებებენ მანამდე, ვიდრე მოსახლეობას ინიციატივის თავისუფლება არ მიეცემა. მაგრამ კომუნისტური რევიმი არ წავა ამაზე, ვინაიდან მან იცის, რომ თუ ხალხს სახელმწიფოს თავისუფლალი მართვის საშუალება მიეცემა, ის ვეღარ შეინარჩუნებს თავის ძალაუფლებას. საბჭ. ხელისუფლება არ ენდობა თავის ხალხს და ამიტომ სახელმწიფოს მართავს ტირანული ფორმებით. მართვის კი ტირანული ფორმების მთავარი არსი კი, ხალხის მორალურ-ფსიქოლოგიური და სულიერი დეგრადაციაა. ყველაზე საზარელი საბჭ. ხელმძღვანელთა მოქმედებებში, ეს მათი უსაზღვრო ცინიზმია. ყველა და ყველგან ცდილობენ სიცრუე თქვან. ისინი გამუდმებით ქადაგებენ, რომ ვითომდაც ქვეყნა პროგრესისაკენ მიდის, მაგრამ ვისაც თვალი აქვს ყველა ხედავს, რომ ქვეყნა იხრწნება. ისინი ამბობენ: მატერიალური პროგრესი და ხალხის კეთილდღეობა, ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს და, რომ მთავარი ადამიანის სულიერი თავისუფლება და მორალური სრულყოფაა, მაგრამ სწორედ ეს - კომუნისტური - სისტემა აფუჭებს ადამიანს სულიერად და მორალურად. მთელი ქვეყნა ისეთ დაძაბულობაშია, თითქოს საკონკრეტრაციო ბანაკი იყოს! ხალხი ყველდღიურად სულ უფრო მეტად ვარდება სასოწარკვეთილებაში. დღეს ადამიანთა სახეზე იშვიათად თუ ნახავთ ღიმილს. მათ სახეზე უიმედობაა აღბეჭდილი.

გურამ გელოვანი

„მარადისობის კანონი“

და მიხეილ ჭავთარაძე

(დასაწყისი იხ. წინა ნომერში)

იქნება ჩვენ ცცდებოდეთ და ბატონ ქავთარაძეს პქონდეს სხვა, ჩვენთვის უცნობი საბუთები მშერალ ნოდარ დუმბაძის პატრიოტობას რომ უცილოდ ღალადებდენ. თუ ჩვენ ის ამაში დაგვარწმუნებდა, მაშინ ჩვენ უკან წავიღებით ჩვენ სიტყვებს და უცოდინრობით დაშვებულ შეცოდებისათვის ბოლიშს მოვითხვდითგანსვენებულის ხსოვნის წინაშე, მაგრამ მანამდე, იმ ცნობების მიხედვით, რაც ჩვენ მის



შესახებ ვიცით, არც „მარადისობის კანონი“ და არც სხვა მისი ცნობილი ლიტერატურული თხზულებანი, იმის უსახლის არ იძლევიან, რომ ნოდარ დუმბაძე „პატიოსანი ქართველი პატრიოტის“ მისაბად მაგლითად ვაღიაროთ, როგორც ამას მიხეილ ქავთარაძე გვთავაზობს.

ნოდარ დუმბაძეს ენა მჭრელი ჰქონდა, მაგრამ ის ენა გაბატონებულ ძალმომრეობას როდი ჰყიცხავდა, დარიუხებულ-თა და დაჩაგრულთა საქომაგოდ, არამედ მონური სიყვარული-თად გამსჭვალული მშობელი ერის დამპტობი რეეიმისადმი და ქადაგებს იმ კომუნისტური პარტიის იდეების გამარჯვებას, რომელსაც მიზნადა აქვს დასახული მისი მშობელი ხალხის ეროვნული მკვლელობა.

ნოდარ დუმბაძე ბოლომდე, სიკვდილამდე იარაღი დარჩა საბჭოთა რეიიმისა, კომპარტიისა. თვით ისეთ მომენტშიც, როცა ჩვენი ახალგაზრდობა დედაენას მკერდით იცავდა, ხელი-სუფლების მიერ გაგზავნილი ნ. დუმბაძე მას მორჩილებისა-კენ მოუწოდებდა და, როგორც ჩვენ ვიცით, დემონსტრანტებმა მას სიტყის გაგრძელება არ დაანებეს. საქ. სსრ მწე-რალთა კავშირის თავმჯდომარეობა უაღრესად პოლიტიკური თანამდებობაა. იგია ქართველი მწერლების მთავარი უანდარ-მი. როცა ეს პოსტი ნ. დუმბაძეს შესთავაზეს, ის უკვე სახელგანთქმული მწერალი იყო საბჭ. კავშირის მასშტაბით და მსოფლიოშიც საკმაოდ ცნობილი. ამავე დროს, ის უკვე მძი-მედ იყო დასნეულებული გულით. თუნდაც ამ ავადმყოფობის მომიზეზებით, უკველგვარი ჩისკის გარეშე, მას შეეძლო უა-რი ეთქვა ამ ოფიციალურ თანამდებობაზე. მიიღო და გარ-დჟიცალა რა ამ პოსტზე, ნ. დუმბაძემ დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა რეუიმს და მი უკრასნელმაც მას სათანა-დოდ დაუფასა.

ის ფაქტი, რომ ლიტერატურულ თხზულებებში ნ. დუმბაძე ამჟღავნებს არაკომუნისტურ იდეებს, ეს საკითხს არ ცვლის მის პატრიოტობისას. საკითხს არ ცვლის არც ის ფაქტი, რომ მის ნაწარმოებებში გვხვდება საბჭოთა სინამდვილის ცალკეული ეპიზოდების ნიჭიერი მხილება. საბჭოთა შესვეურე-ბი არც აცხადებენ პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მათი საზოგადოება უნაკლო იყოს. მთავარი საბჭ. რეუიმისითვის ის არის, რომ ნ. დუმბაძის მთავარი დადებითი გმირები, მიუხედავად რეპრესირებული მშობლებისა, მიუხედავად მწარე

ომლობისა და დუხშირი ახალგაზრდის ცხოვრების პირობებისა, ერთგული და მხურვალე დამცველები არიან, მაგრა უკრ ვრების ჯელა ეტაპებზე, საბჭოთა წესწყობილების უროვნების გადამწყვეტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის და სწორედ ამიტომაც ის წყალობას არ აკლებს მწერალ დუმბაძეს და არა ის მიყიბულ-მოკიბული აზრები, რომლებსაც ამ საგანზე მ. ქავთარაძე გვთავაზობს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ნ. დუმბაძის ნაწარმოებები ქვეყნდებოდენ სტალინის განგვირვენების შემდგომ პერიოდში, როცა სტალინის დროინდელ კრიმინელურ რეპრესიების მხილებას ხელს უწყაბდა თვით არსებული რეჟიმი და, მაშასადამე, თვით მხილების ფაქტი ამით ჰქონდავს ღირებულებას. ის აღარ გვიჩვენებს ავტორის გმრთედაობას. რუსულ ლიტერატურაში სოლუენიცინია ამის ჯელაზე სახელგანთქმული მწერალი. მას ხრუშჩოვმა შეუწყა ხელი მის პირველ მამხილებელ ლიტერატურულ ნაბიჯებში. მაგრამ სოლუენიცინი არ დაკმაყოფილდა ხელისუფლებისაგან ნაწყლობები ფარგლებით. მან უკომპარომისო კრიტიკა წესწყობილების სათავეებამდე გააგრძელა. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა რეჟიმმა ის ვეღარ და აღარ იგუა. ნოდარ დუმბაძე კი „ჭკუიანურად“ დარჩა ხელისუფლების მიერ ნაწყლობებ თავისუფლების ფარგლებში. ასეთი პირები კი ძლიერი პიროვნებები არ არიან. ისინი ღრმა კვალს ვერ ტოვებენ საზოგადოების განვითარებაზე.

ახლა გადავიდეთ მ. ქავთარაძის სტატიის „წმინდანები ჯოჯოხეთში“-ს წმინდა პოლიტიკური ხასიათის აღრუნდებზე. „კომუნისტურ იდეოლოგიაში აღმენია როგორც აღამიანისათვის ბედნიერების მომტან საშუალებისა იმათთან ერთად მოკვდა ვისაც ეს სწამდა სასაცილოა ვითიქროთ თითქოს დღევანდელი კადრი რუსეთის კომუნისტური პარტიისა ვერ ხედავდეს იმას რასაც ჩვენ ვხედავთ: კომუნისტურ იდეოლოგიის გაკოტრებას ეკონომიკურ სფეროში. მით უმეტეს რომ ისინი თვითონ განიცდიან ამის მძიმე შედეგებს. მაგრამ ეს იდეოლოთონ გია არ მომკვდარა რადგან მისი ცოცხლად შენახვა საჭიროა მართველ კლასისათვის და... რუსული პატრიოტული ინტელიგენციისათვის“, წერს მ. ქავთარაძე. („ივერია“ №28, გვ.18. აქაც და შემდეგაც „ივერიის სტილი დაცულია“) კეთილი და პატიოსანი, ამ ანალიზს ჩვენ სრულიად ვეთან-

ხმებით და დავუმატებთ კიდევაც, რომ არა მარტო ეკონომიკურში გაკოტრდა კომუნისტური იდეოლოგია, არამერიკული თვე სოციალურშიც, ზენობრივშიც და ეროვნულშიც, რაც ამ ჩერენთვის, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია მის მიერ ამ ანალიზიდან გამოტანილი დასკვნა: „რატომ, -კითხულობს ქავთარაძე და პასუხობს, - იმიტომ რომ: საბჭოთა კავშირს დღეს განავებს კოლექტიური ტირანია. ამ კოლექტიურობის მაღლით ეს ტირანია უფრო მძლავრი, თეორიულად უგადო, მეთოდით და კეუცით მოწყობილი მმართველობაა ვიდრე ოდესმე სხვა არსებულა საღმე. კომუნისტური იდეოლოგიის უკუგდებით ეს იმპერია უკეველად დაიმსხვრევა და უკელი მისი წევრი დაპკარგავს მის მიერ დაკავებულ ადგილს და მოპოვებულ პრივილეგიებს. და თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ტირანთა რიცხვს რომელიც რამდენსამე მილიონს უდრის და - იმასაც თუ როგორ გამოანგარიშებულად უკავიათ მათ ქვეჭის ცხოვრების ჟელა დარგის სამართი საჭერი, იმასაც მიცხვდებით რომ ისინი ამ იდეოლოგიას ვერ უარყოფენ.“

ამ გრძელ ამონაწერზე თავდაპირეველად უნდა შევნიშნოთ, რომ ის სრულ წინააღმდეგობაშია მის წინ მოხმობილი იგ-ივე ქავთარაძის ანალიზისა. მართლაცდა, როგორ შეიძლება, რომ ტირანია, რომლის იდეოლოგიაც გაკოტრებულა, რაღაც „კოლექტიურობის მაღლით“, „უფრო მძლავრი“, „თეორიულად უვადო“, „მეთოდით და კეუცით მოწყობილი მმართველობა“ იყას, „ვიდრე ოდესმე სხვა არსებულა საღმე“?! ამ საიდუ-მლოს თუ გავვიმხელს ბ. მიხეილი დიდათ დავუმაღლებთ. შემდეგ, ხალხთა ისტორიების ანალებში ჯერ არსად შეგვხვადრია, რომ კოლექტიური ტირანია პიროვნულზე უფრო მტკიცე, გამძლე, თანაც უვადო უფილიყოს. პირიქით, კოლექტიური ტირანია უვალოვის ხანმოკლე უფილა და მას ცელიდა ან ერთპიროვნული დიქტატურა, ანდა უფლებრივი ხელისუფლება.

უველ შემთხვევაში, ერთი უდავოა: მ. ქავთარაძის აზრი, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლება დაუძლეველია, მართალიც რომ იყას, მავნე და დამღუპველია, რადგანაც უიმედობასა და უსასონობას თესავს მის მკითხველებში. სამწუხაროდ, ამ სტატიის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ავტორს მიზნად ჰქონდეს დასახული, რომ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგობა უაზროდ წარმოგვიდგინოს. რუსებს

მ. ქავთარაძე გვიხასიათებს, როგორც ერთ მთელს და შეკვეთი დროებულს მასას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიმდევარი იყავს იმპერიის მთლიანობას. რეც შეკვეთი ბა ქართველებს, მათ ის გადაჭრით ეუბნება : „საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მიაღწევს გარეშე საბჭოთა კავშირის დაშლისა, წაქცევისა, რეეიმის დამხობისა ამის მოხდენა კი ჩვენ არ შეგვიძლია. ეს ჩვენი საქმე არ არის. (ხგ. ჩ., „ივ-ერია“ №28, გვ.21 - 22) საბჭოთა რუსეთის იმპერიის რომ მარტო ქართველი ხალხი ვერ დაამხობს, ამაზე შეგვიძლია დავეთანხმოთ „ივერიის“ რედაქტორს, მაგრამ ამ მოტივით, რომ მათ საზოგადოდ ხელი უნდა აიღონ განთავისუფლების ბრძოლაზე, ეს ისეთი უცნაური აზრია, რომლის, არამც თუ გაზიარება, არამედ გაგებაც კი ჩვენს გონს არ ძალუს. განა უფალმა ქავთარაძემ ამ იცის, რომ ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი მარტოდმარტო არ არის, რომ მისი პოტენციური მოყავშირებია ას მილიონამდე კავშირში მათსავით ძალით მომწყდარეული ხალხები და ამდენივე აღმოსავლეთ ევროპის ძველთაგველი ერები?! მათ გამანთავისუფლებელ ბრძოლას არ შეიძლება არ თანაუგრძნებოდენ ის ხალხებიცა და სახელმწიფოებიც, რომლებსაც ემუქრებათ კრემლის მრისხანე და ექსპანსიური იმპერია და ასეთები არც ცოტანი და არც სუსტი არ არიან.

არც ისაა მთლიან მართალი, რომ თითქოს რუსებში არ არსებობდეს სერიოზული ოპოზიცია საბჭოთა რეეიმისალმი. როგორც ემიგრაციაში ისე ადგილზე, საბჭოთა კავშირში, არსებობს რუსებში ფართო მიმდინარეობა, რომლისთვისაც საბჭოთა რეეიმი და მისი იდეოლოგია დამღუპველია თვით რუსი ხალხისათვის. ტირანულ რეჟიმთან ბრძოლაში მათ არ შეუძლიათ ზურგი შეუქციონ დემოკრატიულ პრინციპებსა და ერთა ემასიპაციის მოთხოვნილებებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობებში, თუ ემანსიპაციის მოთხოვნები აშკარად იქნებიან საჯაროდ გამოთქმულნი და ბრძოლით ბეჭედდასმულნი.

თუ ქართველი ხალხი ეროვნული ერთობისა და ეროვნული განთავისუფლების გზას უყოფანოდ და გადაჭრით დაადგებოდა, მისი ბრძოლის გამარჯვებით დაგეირგვინება არც ისე უნუგეშოა, როგორც ეს მ. ქავთარაძეს ჰგონია. მაგრამ თუ ქართველებმა მ. ქავთარაძეს დაუჯერეს, ეროვნული გან-



თვის უფლებისათვის თავგამოდებით არ იმოქმედეს, მაშინ არცერთი რეჟიმი რუსეთისა, რაგინდ დემოკრატიული მისა, საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას არ უწყობდებს.

ამ მის უცნაურ აზრს მ. ქავთარაძე შემდეგ კიდევ უფრო ამაგრებს: „საბჭოთა წყაბილების ვერც დამხობაში, ვერც გარდაქმნაში საქართველო როლს ვერ ითამაშებს (არც რევოლუციის მოხდენაში უთამაშნია.) პირველისათვის რიცხობრივ ვად ვართ უმნიშვნელონი, მეორესთან კი ე. ი. გარდაქმნასთან ჩვენ აღარ მიგვესვლება. სტალინ-ბერიას შემდეგ რუსები ქართველებს ცეცხლივით ერიდებიან და ასეთ საქმესთან არ მიუშვებენ“, გვეუბნება ის. (იქვე, გვ. 24)

საბჭოთა რეჟიმის გარდაქმნის საკითხში სტალინ-ბერიას მაგალითის დასახელება სწორედ არ არის მიზანშეწონილი. თუ ამგვარად ესმის მას საბჭოთა რეჟიმის გარდაქმნა, მაშინ მართლაც არაა საჭირო, რომ მისთვის ქართველმა ხალხმა თავი გამოიდვას, მაგრამ კურიოზული მაინც ისაა, რომ სინამდვილემ მ. ქავთარაძის ეს წინასწარმეტყველებაც არა-რაობად აქცია. მ. ქავთარაძის ამ აზრს ჯერ დღის სინათლეც არ ენახა, რომ რუსებმა ქართველი შევარდნაძე ხელისუფლების სენაკლში, კრემლში მიიწვიეს. ეს სხვათა შორის. მაშ ასე, მ. ქავთარაძის მიხედვით, ქართველებმა ხელი უნდა აიღონ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგობაზე, საბჭოთა წყაბილების ვერც დამხობაში და ვერც გარდაქმნაში ისინი მაინც ვერავითარ როლს ვერ ითამაშებენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა წესწყაბილების დარღვევა არც კი ყოფილა ქართველების საქმე. ასეთ აზროვნებაზე სამართლიანად იტყიან: „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.“

მ. ქავთარაძე თვით ბრძანებს, რომ ყოველ ბრძოლას აქვს შინაარსი და ფორმა. რა არის ჩვენი ბრძოლის შინაარსი? საქართველოს სუვერენობის აღდგენა, 1921 წლის იანვარ-მარტში საბჭოთა ჯარების მიერ დამხობილი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა. ამ ბრძოლის შინაარსი დღემდე არ შეცვლილა და არც შეიცვლება მანამ სანამ იგი საბოლოოდ არ განხორციელდება. სამაგიეროდ ბრძოლის ფორმები სხვადასხვა იჯენ წარსულში, დღეს განსხვავებულია, არ ვიცით როგორ სახეს მიიღებს მომავალში. აი, ამის შესახებ, თუ რა სახე უნდა მიიღოს ეროვნულმა ბრ-



ძოლამ ახლო მომავალში, შეიძლებოდა საუბარი და ქამათიცყლი
და ეს საზიანო არ იქნებოდა, მაგრამ ქავთარაძის კონფიდენციალურების
კურ დისერტაციაში ბრძოლის ფორმების ძიებასთან კი არ
გვაქვს საჭმე, არამედ ბრძოლის ხელაღებით უარყოფასთან
და თვით მტრის მხარეზე გადასვლასთანაც, რაღაც მისი
აზრით, ქართველი პატრიოტები კომუნისტურ პარტიაში უნდა
შევიდენ, ნოდარ დუმბაძის მაგალითზე. ეს კი ჯერ არნახული
და არგავინილი ამბავია, ერთა გართავისუფლების საკაცო-
ბრიო ისტორიაში და, რასაკვირველია, ჩვენი ერის ბრძო-
ლების ორი ათასზე მეტი წლის ისტორიაში.

კომპარტიასთან დამოკიდებულების საკითხს მ. ქავთარაძე
შემდეგი მსჯელობით გვიხსნის:

„მაცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთათვის, ვისაც საარსებო
სახსარი ჰქონდა, საგალდებულო არ იყო სახელმწიფო სამსა-
ხურში შესვლა. ახლა კი არა მხოლოდ საზოგადო საქმეში
ჩარჩონისათვის არის საგალდებულო პარტიის გზით შესვლა
სამსახურში, არამედ თვით საარსებო ლუკმის მოპოვებაც
სახელმწიფო სამსახურის გზით ხდება.“ აქამდე ყველაფერი
რიგზეა, მაგრამ უბედურება შემდეგ იწყება. „ასეთ პირო-
ბებში, აგრძელებს ის, ერთადერთი გზა „ჩვენი თავი ჩვენა-
დვე რომ გვეუღნეს“ ნაწილობრივად მაინც განხორციელე-
ბისა ისევ პარტიული გზით მოქმედებაა.“ სხვა გზებსაც
ახსენებს ქავთარაძე, მაგრამ არცერთი საიმედოდ არ მიაჩ-
ნია და ბოლოს ასკენის: „არადა ხომ დაუშვებელია, რომ
ქვეჭის მოვლა მარტო კარიერისტებს და პირადი გამორჩე-
ნით დაინტერესებულ პირებს დაეთმოს, ვინ იცის კიდევ
რამდენი ხნის განმავლობაში? და ასე მოხდება თუ ჯელა
პატრიოსანი პატრიოტი ქართველი უარს იტჟის პარტიაში
შესვლაზე!“ (ხგ.ჩ., „ივერია №28, გვ. 19)

მ. ქავთარაძის ეს აზრი წარმოადგენს მეტად მნიშვნელო-
ვან და საჭირობოროტო პოლიტიკურ საკითხს. მართალია: ამ
დასკვნამდე სტატიის ავტორი მიიჟანა ნოდარ დუმბაძის
„მარადისობის კანონმა“, მაგრამ, როგორც მოხმობილ ციტა-
ტიდან და სტატიის სხვა ადგილებიდან გამომდინარებს,
თვით ავტორიც, ე.ი. მ. ქავთარაძეც მას იზიარებს და თა-
ვისად ხდის.

გართლაც და, როგორი უნდა იყოს „პატრიოსანი ქართველი პა-
ტრიოტების დამოკიდებულება კომუნისტური პარტიის მიმართ?

ისინი კომუნისტური პარტიის წევრები უნდა გახდენ, როგორც ქავთარაძე მათ შეაგონებს, თუ პრიქით, მას ბრძოლის უნდა გამოუცხადონ, გაკიცხვის სკამზე უნდა დასვლოს. როგორც ქართველი ხალხის უზენაესი ინტერესების მოღალატე პარტია? ეს საკითხი ერთსა და იმავე დროს დიდმნიშვნელოვანიცაა და უაღრესად ფაქტიც. მასზე პასუხის გაცემა ორიოდე სიტყით გამოიწვევდა გაუგებრობებს და წამოჭრილა მასთან დამოკიდებულ მრავალ კითხვებს. ამ მოსაზრებით, ამ საკითხს, ესე იგი: „ქართველი პატრიოტის კომუნისტურ პარტიასთან დამოკიდებულების“ საკითხს ჩვენ ცალკე თემად გამოვყოფთ, მას ჩამოვაშორებთ მ. ქავთარაძესთან აღძრულ კამათს, რადგანაც მ. ქავთარაძე აქ მხოლოდ „დეტონატორის“ როლს ასრულებს, თვით კითხვა კი ისევე ძველია, როგორც კომპარტია და ჩვენ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მ. ქავთარაძის წერილი გამოქვეყნდებოდა, გვსურდა ამ საკითხზე ჩვენი აზრი გამოვგეთქვა, და, ვინაიდან აქ ამისთვის საკმარისი აღვილი არ გვაძეს, მას გადავდებთ „გუშაგის“ შემდეგი ნომრისთვის. აქ კი მ. ქავთარაძის სტატიით გამოწვეულ ჩვენს რეაქციას შემდეგნაირად დავამთავრებთ :

1. როგორც „ივერიის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, მ. ქავთარაძე მოწოდებულია ახსნა-განმარტება და პროპაგანდა აწარმოოს მისი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის იდეალების სასარგებლოდ და მის მყითხველებს მოუწოდოს მიაშურონ ამ პარტიას, გახდენ მისი აქტიური წევრები. როცა ის, პირიქით, კომპარტიის წევრობას ურჩევს მათ, ამით ის ზღვაში ძირავს თავის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გემს.

2. მ. ქავთარაძე აღძრულ სტატიაში მასხრად იგდებს, ამცირებს მთლიანად აღებულს ჩვენ ეროვნულ ემიგრაციას. ესევიც ქართველი ხალხის მტრების წისქვილზე ასხავს წყალს. მართალია: ჩვენმა ემიგრაციამ სამშობლო ვერ გაანთავისულა. განა ეს მისი ბრალია! მაგრამ ამის სურვილი და მონდომება ხომ ჰქონდა და არც გარჯა დაუკლია ამ ექვსი ათეული წლის განმავლობაში. შეიძლებოდა უკეთესად კეთებული საქმე? დიახაც შეიძლებოდა, მაგრამ არა იმ გზით და საშუალებებით, რომელზედაც მ. ქავთარაძე მიგვანიშნებს. უკველ შემთხვევაში მას ქვა და გუნდა არ უნდა მიეყრა უკელაფრისათვის, რაც ემიგრაციაში გადათებულა.

3. „დაპყობილი და არა თავისუფალი ერები თუ ეთნიკულური ერთეულები საბჭოთა კავშირის გარედ ბევრად მეტია მოგვარებული.“ ბოძანების პრობლემა თვით ევროპაშიც არაა მოგვარებული. მ. ქავთარაძე და ამით თითქოს გამართლებას აძლევს რუსების მიერ ჩვენი ქვეჭის დაპყობას. რად დასჭირდა მ. ქავთარაძეს ეს საბჭოთა პროპაგანდის არსენალიდან ყურით მოთრეული არგუმენტი? განა უძველესი ქართული სახელმწიფო-ებრიობის მოსპონა ეთნიური საკითხია! დასავლეთ ევროპა-ში თუ მართლაც შემორჩია ზოგიერთი ჯერ მოგვარებელი ეთნიური პრობლემები, კოლონიალიზმის და იმპერიალიზმის ხანა აქ საბოლოოდ დასრულდა პორტუგალიის რევოლუციით და მისი კოლონიების ემანსიპაციით, რომელთაგან, სხვათა შორის, ბევრმა კომუნისტურ კაბალაში გაჰყა თავი.

4. „იგივე ითქმის ეგრეშოდებულ განვითარებად ქვეჭების პრობლემაზეც. მათი განვითარება კუს ნაბიჯით მიღის. კომუნისტები კი სწრაფ დაძვრის რეალურ საშუალებას აწვდიან მათ.“ გვასწავლის მ. ქავთარაძე და იქვე უმატებს: „წარმოების გასავითარებლად გამოყენებულ ზომებს, რომელთაც კომუნისტები მიმართავენ, თუმცა მოჩვენებითი, მაგრამ მაინც ერთგვარი უპირატესობა აქვთ ლიბერალურ ეკონომიაზე. მათ შეუძლიათ დიქტატურის, ზევიდან ბრძანების, დაგეგმვის და კაზარმული დისციპლინის მეოხებით აჩქარებული ტემპით განავითარონ მრეწველობა.“ დასავლეთში მცხოვრებ ინტელიგენტს ასეთი შეხედულობა ეპატიებოდა ამ 20 - 30 წლის წინად, მაგრამ არა ამჟამად. დღეს გქონდეს ასეთი აზრი, ნიშნავს იყ თვალებდახუჭული არსებული სინამდვილისადმი.

თავი დავკებოთ სტკოთა კავშირს, სადაც, მიუხედავად ზღაპრული ბუნებრივი სიმდიდრისა, მრავალრიცხოვანი კვალიფიციური მუშახელისა და ხელისუფალთა დიდი მონდომებისა, კომუნისტურმა მეთოდმა კატასტროფამდე მიიჟანა. ქვეჭის ეკონომიკა, რასაც თვით ქავთარაძეც აღნიშნავს ამ თავის წერილში, — და უკანასკნელი უდავო მონაცემებით ვიმსჯელოთ დანარჩენ კომუნისტურ სამყაროზე. ჟელგან, თვით მას ჩინეთის ჩათვლით, ეკონომიკური განვითარება, გამონაქლისის გარეშე, შორს უკან ჩჩება დასავლეთის ლიბერალური ეკონომიკის ქვეჭების ეკონომიკური განვითარების დონეს. მარტო ის ფაქტი, რომ დასავლეთი



გერმანია და იაპონია, მიუხედავად ნედლი მასალის და ეს ერგიის დიდი სიმცირისა, სწორედ ლიბერალური ეკონომისტული კის წყალობით, მსოფლიოს უმძლავრეს ეკონომიკურ უკონფიდენციალურ ბაზ იქცენ, უდავოდ მეტყველებს ლიბერალური ეკონომიკის უპირატესობაზე, კომუნისტურთან შედარებით. ამას დაუმატეთ ლიბერალური ეკონომიკის მქონე პატარა ტაივანი (ფორმოზა) და სამხრეთ კორეა, რომელიც ჩვენ თვალწინ განვითარებული და მსოფლიო აღებ-მიცემობაში მნიშვნელოვან სახელმწიფონი გახდენ, მაშინ, როცა კომუნისტური კუბა, ეთიოპეა, მოზამბიკა, ვიეტნამი სრული ეკონომიკური განუვითარებლობის და თვით მწვავე შიმშილის ქვეჭებია. ის, ვინც კომუნისტური ბაცილით მთლად დაბრმავებული არ არის, ამის დაუნახობა მეტად ძნელი ასახსნელია.

5. მორალის გაკვეთილის შესახებ.

„საქართველოს დღევანდველ ვითარებაში კი არის პრობლემა და არის სამუშაო რომლის კეთებაც შესაძლებელია და რომელიც ადრე უნდა გაკეთდეს ვიდრე თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობას მოგვიტანდეს ჩვენგან დამოუკიდებელი მდგრმარეობის დამყარება. ეს პრობლემა მორალური ხასიათისა გახლავთ.“ (გვ.22 ლ) – გვიხსნის მ. ქავთარაძე და უფრო შორს აგრძელებს: „მცდარია მათი აზრი ვინც ამბობს – ქურდობა გაჭირვებამ გამოიწვიაო.“ „...იტყვიან, მორალური დაცუმა მხოლოდ შედეგია კომუნისტური რეჟიმისა და როგორ შეიძლება შედეგთან ბრძოლა თუ მის მიზზსაც არ ვებრძოლეთო. ეს თეორიულად სწორია მაგრამ თეორია და პრაქტიკა ყაველთვის როდი ემთხვევიან ერთმანეთს.“

სულ პირველად მ. ქავთარაძეს შევნიშნავთ, რომ ის თეორია, რომელიც პრაქტიკაში არ ხორციელდება, არც არის ცხოვრებისეული თეორია, მაგრამ მის მიერ აღნიშნული თეორია სწორედ ცხოვრებიდან მიღებული სიბრძნეა და მის მეტი ჯერ არავინ შობილა, ვისაც ეს სადაოდ გაეხადოს. არცერთ ჭკუათმყაფელს აზრად არ მოუვა, რომ ამღვრეული მდინარის წყლის წმენდა, მდინარის ბოლოში ან შუაწელში დაიწყოს და არა იქ სადაც მდინარე ჭუჭანდება. მართლაცდა, რომ დავუჯეროთ მ. ქავთარაძეს და ჯვარუსნული ომი გამოვუცხადოთ ჩვენს ხალხში არსებულ კორუპციას, როგორ გნებავთ მისი იერუსალიმი გავანთავისუფლოთ, თუ მისი ბალდადი და მექა არ დავამხეთ?! მაგრამ ამ საკითხის მავ-



წებლობა სულ სხვაში მდგომარეობს. საკითხავია: ჰარტიული ჭირდა მ. ქავთარაძეს კორუფციის ბრალდებისაგან უკომისებული სტური წესწყბილების განთავისუფლება და მის აღვილას ქართველი ხალხის დასმა საბრალმდებლო სკამზე? ვინც კურში არ ზის და კურის თავი აყალო მიწით არა აქვს გადაგლესილი, მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ მექრთამეობის, სპეცულიაციის, ზომა-წონაში ქურდბაცაცობის და სხვა საბჭოური კორუფციის მონოპოლია ქართველ ხალხს არ ეკუთვნის. ის ერთგარად არის გავრცელებული საბჭ. კავშირის ფერა ხალხებში, „უფროსი ძმა“ რუსების ჩათვლით. ეს რუსი მაღალი ჩინონგიკები არიან, გულუბრჯილო უცხოელ კორესპონდენტებს რომ ჯერებენ, თითქოს ქართველები განსაკუთრებული ცულლურები, ეშმაკები, ზარმაცები და კომბინატორები იყონ. განა გვმართებს ჩვენც მათ ანკესზედ წამოვევოთ!?

სამწუხაოროდ სხვაგანაც შეინიშნება მ. ქავთარაძის მცდა-რი შეხედულება ქართველი ხალხის ეროვნულ ხასიათზე, ფსიქიკაზე, ზნეობაზე. მაგალითად, როცა მან „ივერიის“²⁷ ნომერში გაარჩია ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთა-შხია“, იმისათვის რომ ახსნას შვილის მიერ მამის მკვლე-ლობის აქტი, ის პარალელს აკეთებს მეჩვიდმეტე საუკუნის სამეგრელოში მომხდარ შეუმოწმებელ ამბავთან, რომ თით-ქოს ერთმა დამთხვეულმა თავადმა მკვდარი მანდილოსანი გააუცატიურა. ამის ახსნას ის პოულობს იმაში, რომ მეგრე-ლები ძველი რაფინირებული კულტურის ხალხიაო და ამრიგ-ად ერთეული საძაგელი ბოროტმოქმედება მთელი ხალხის სა-ერთო თვისებად აქცია რაც არც მართალია და არც სასა-რგებლო. ასე არ ხდება ერის მორალური აღზრდა, განსაკუ-თრებით საუკუნეებით დაპყრობილ ერისა, რომელსაც ისედაც შხამივით აწვეთებს დამპყრობელი, რომ ის სრულფასოვანი ერი არ არის. ამ მოსაზრებით იყა, რომ დიდმა ილიამ ისე სასტიკად შეუტია „ქვათა ღალადში“ იმ ფსევდო-მეცნიერე-ბსა და ყლოთაბანდ ისტორიკოსებს, რომლებიც ისტორიას და მით ეროვნულ სიამაყს ართმევდენ ქართველობას.

განსაკუთრებით ეროვნულმა ემიგრანტმა, რომელმაც თავისი სიცოცხლის სამი მეოთხედი თავისი ხალხიდან შორს გაატარა, თავი უნდა შეიკავოს მორალის ლექციები უკითხოს იქ ჯოჯოხეთურ პირობებში მცხოვრებ ჩვენ ხალხს. ამით



ଶ୍ରୀପଦାମଣି ମାତ୍ର ଗୁଣି ଗାସୁରୀକେ
ରୁହି, ଶ୍ରୀପଦାମଣି ଶ୍ରୀପଦାମଣି,

დასკვნა. ერთი საერთო მეცნიერო მუშაობის მწერს მ. პ. გურგელი მის შესახებ: „...მასში ეჭვის შეტანა, რომ ის ჩვენ საერთო მტერს „შეურიგდეს“, ჩემის აზრით, არ შეიძლება. მისი ნარკევეზი ნიჭით არის დაწერილი, მაგრამ ანალიზი ჩემ-თვის საოცარია და არაჩვეულებრივი.“ ღიახ, ჩვენ ამ აზრს მთლიანად ვიზიონებთ. მ. ქავთარაძის პატიოსნებასა და პა-ტრიოტიზმში ეჭვიც არ შეიძლება შეგვივიდეს, მაგრამ სტა-ტია „წმინდანები ჯოჯოხეთში“ გამოთქმული მისი აზრები საოცარიცაა და მეტად მავნეც ჩვენი წმინდა საქმისათვის და ამიტომ მისი ასეთი გამოსვლა ჩვენთვის საწყნია. იმ-ედს არ ვკარგავთ, რომ „ივერიის“ მომავალ ნომერში საჭი-რო ახსნა - განმარტებას მოგვცემს.

გიორგი წერეთელი

三

三

水 水 水

Հ Ա Յ Ց Ո Յ Տ Ե Ց Ա Յ Վ Ա

ଗୋଟିଏ କ୍ଷାତ୍ରିକାନ୍ତି

შეკილად ვიჟუათ, კენტად დამტოვა,
მისუარს მე შენი ღვთიური სახე,
მოჩვენებები ჯერ არ ნახული
გიუსურ სიზმრებში რომ გამონახე.

შენ მოელოდი დღეებს მღელვარეს,
შეხვდი ჭალარას, წლებისგან დაღლილს;
გინდოდა, მაგრამ ვერ შეიჭვარე,
დარჩი ზალასი, გრძნობებით სალი.

პოეზიაშიც კი შევეუღლეთ,
ზიარებაში გრძნობებში შეველა;
ერთად ვეტრფონდით რითმებს, მამულეთს,
მაგრამ პარნასმიც ველარ გვიშველა.

၃၀၃၀၆၀, ၁၉၈၀ နှေ့။

ՑՈՉՈՐՃՈ ԾՐԱԳՈՆՈՒՅ

Ց Ա Ց Ա

Մամա ցարտապետությունու կամ զարևագլացումը հայուս մելոդիա է հետո. մաս ամ գարշան սակմառ նայութեած է վյոնքա. աղմա-
ցածությունու կամ զարևագլացու սակմառ մոժիառնու. մաս ոչխա-
րճա լամե՛շու մոժմենդու կուս արշա զարևագլացուն պյերա. մելո-
մանարք գուրեանս, գուրու պարագանեած տաղալս ագեցնեթճա
կուս նաեւար սոյերուն մոժիազ զարևագլացուն սամարոս.
մոխեթլությունու կամ „աղջեթարանուն“, „որոնոնուն“ դա սեցա զարև-
ագլացուն եռմլուրու մոժիառնու, թիգեթօնդա մատու պյերու,
հոմելու հյալուր պատուրեածու ուս ումալլեսու արսուն սոյե-
թանցուալուննուն սոյլս եցագալճա. ոչասի եթորագ ոչխարճա ամ
սակութիւ մթցուու սասպարու դա պացելու ասետու սասպարուն գո-
սասրուլս ութագալճա եռլմբեց: „գաուլուռու լմերուն սաելու, յը
պացելուց մուսու պացագալու սոյլուն յմնութեած, հոմելունուպ մուսու
մարագությունու մշցենութեածուն սոնամգացուն հիանս.“

* * *

Ըրությունու չեցամ չեց գչյուրա ցանցեածուն,
ացեցնեթլուն ցրմենցու յացեփուն մուսնուր յուղունանս,
սոյնեսուն օսմուլնու, հոմ գայեց սոյլուն մթցութօնանս,
նոստրամուսուցուն մեռպենցեց, գուղմուն յուրութիւն.

Ցուտ პոլոցրունու դա մլուցելու ցրպել ֆուգուցեած
մուշտիւն շենու սոյլուն տրտուռա პորամութլուն,
յալդեաս բանց մոցացու տաղալու ցագմոցութլուն,
ցիցաց պացագացուն սաօդումլու ցապելուն սոամեց.

Հուպա լամե՛շու պրու զարևագլացուն, ցուտ որդիյուն մոցացուն,
ցանցուն մաշուն էպուր կուս սոլրմենցու սամարոս սոնհենց,
շուշուն սոցրուց մուրմասնունու մցինեարք ժոյցուու.

Անուշան մոտունուու. პոտացուրաս, յածալուն մուսնուն
ութմուն թիգեցացագ, հոմ ցուռու լուցուն սամոսուու,
լուցուն ցրմենցեցնու շեն ունու սոյլուն յուսմոսուու.

Վահան, 1956.

წ ა მ ე ბ უ ლ ი მ ა მ ა !
 მისი უკანასკნელი წერილი

უდანაშაულოდ წამებული ტირანული რეჟიმის მიერ, რომ-
 ლის სახელია ბოლშევიზმი, საღიზმისა და ამორალობის პო-
 ლიტიკური სამყარო, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრ-
 ჰძოლი, მრავალჯერ დატყვევებული და ჩეკისტებისაგან ნატ-
 ანჯ - ნაწამები, ბოლოს მტარვალ ქართველ ბოლშევიკების
 მიერ შეპტობილი და შორეულ ციმბირის ყანულოვან მხარე-
 ში გადასახლებული, სადაც ის სიკვდილის მთესველ ჯალათე-
 ბისაგან მოკლული იქნა, — მარად დაუვიწყრი ჩემი საყვარე-
 ლი მამა!

ბენებით კეთილშობილი და გულმართალი ადამიანი, ყელა
 მაღალი და სათნო გრძნობების პატივისმცემელი და ერთგული,
 ის იყო კაცომოყვარეობის და სამართლიანობის გრძნობათა
 მტკიცე დამცველი, სამშობლოს თაყვანისმცემელი, შემბრალე
 და გულმხურვალე ქრისტიანი, მოწყვლე, გაჭირვებულთა და
 ხელმოკლეთა მეგობარი, მოყვარული პოეზიისა და ცხოვრების
 სიბრძნისა, ყელა ჰუმანური იდეალების და მოძღვრებათა
 მოტრფიალე და მიმდევარი, ძალმომრეობისა და ჭველგვარი
 უსამართლობის შეუპოვარი მოწინააღმდეგი.

პატივცემული საზოგადოების მიერ, ნაცნობ-მეგობრების
 საყვარელი ადამიანი, ისევე როგორც ოჯახისათვის. უდროოდ
 წამებული მამა მრავალრიცხოვან ოჯახისა, უკვე სიბერეში
 შესული, დაუნდობლად იქნა მოკლული, რუსთა მოერთგულე,
 სამშობლოს მოლაპტე ქართველ ბოლშევიკების მიერ.
 ქართველი ბოლშევიკები მუდამ გამოიჩინდენ და გამოირ-
 ჩევიან დღესაც, საბჭ. კავშირის სხვა ეროვნებათა ბოლშე-
 ვიკებისაგან, თავიანთი დაუზოგველობით და მტარვალობით,
 ადამიანის ზნეობრივ სამყაროს უარყოფით, სინდისისა და
 თავისუფლების გრძნობათა უხევში გათელვით, უსამართლობ-
 ით, ველური ძალმომრეობით.

უსაშინელეს სულიერ ტკივილებს იწვევს ჭაველ შეგნებულ-
 სა და გრძნობიერ ადამიანში მათი ბარბაროსული დამოკი-
 დებულება ქართველი ერის მიმართ. ის კანიბალიზმი და სა-
 ღიზმი, რაც ქართ. ბოლშევიკებმა გამოხატეს ქართველი ერ-
 ისაღმი, ძნელად საპოვნელი მაგალითია კაცობრიობის ისტო-
 რიაში.

1924 წლის აჯანყუბული ქართველი ერის ეროვნული ფილმი ცეკვის გრძნობას, მისი დამარცხების შემდეგ, ქართველი ლშევიკებმა ტერორის არნახული სადიზმი დაუპირისპირეს. იმ დღიდან, ჩაც საქართველო მოსკოვის მიერ იყო დაპყრობილი, ქართ. ბოლშევიკებმა, „მუშათა კლასის“ სახელით, რიცხობრივად იმაზე მეტი ქართველები დახოცეს, რამდენსაც ერთად აღებული ქართველი მუშები არ ითვლიდენ.. რა არის ეს, თუ არა გეგმით გათვალისწინებული აქტი ქართველი ერის ფიზიკურად გაწყვეტისა და მისი სრული მოსპობის! უსაზღვროა მათი მძღლვარება ქართველი ერისა, მისი ეროვნული მეობისა და მისი ისტორიული ყაფიერების მიმართ. განა ამისთვის არ შექმნეს მათ ყავლად უსაშინელესი და სასიკვდილე ფორმულა: „მე დედას მოვკლავ, მამას დავახრჩობ თუ კი მიბრძანებს რევოლუცია?“ ისტორია-შიც ისინი ამ სიტყვებით დარჩებიან...

* * *

ვით ხატება თან დამჭება აქ მუდამ
შენი სახე სათნოებით ნაფერი;
ამოვიღე და გავხსენი დღეს ფუთა,
რომ მენახა შენი ხელის ნაწერი.

ოცმა წელმა გაიარა მას შემდეგ,
რაც მივიღე შენგან მე ეს ბარათი;
ველოდები სხვებსაც, მაგრამ ის დღემდე
არ მოსულა, ვდარდობ დღე-ღამ მარადის.

გულს ჩავიკრავ და ღამეში ფიქრებით
შინ მოვდივარ, ერთი წუთით ვბრუნდები;
მაგ ურჯულო მტერი დღესაც უძლევი,
ტანჯავს მამულს და ადგია ხუნდები.

გადვიკითხავ, თითქოს შენს მშობლურ ხელებს
ვეხებოდე, როგორც სამი წლის ბავშვი:
„შვილო თვალში მე დამაკლდა სინათლე,
უშენობით მწარე ცრემლთა ფრქვევაში.“

„როცა ზეცას გაექრება ცისკარი
და დაწვება მთა-ველებზე მზე- ქალი,



მგონია, რომ მოდიხარ და მიხარის,
რომ ვერ გხედავ გულს მესობა ეკალი.“

„მიღამდება ეს ცხოვრება სიმწარით,
შენს ბავშვობის მე ვიგონებ ბალაჯარს;
თუთქავს მამულს მტრის ვაების ჭინჭარი,
ჩვენს ბინებთან მკვლელებია დარაჯად.“

„ვინ გაუძლებს ამ სისხლიან ჩაფარებს,
ღვთის მშობელიც შეგვიბილწეს მოწყვლე;
აქ მოყვასნი დაგვიღუპეს ცივ მხარეს,
არვინ გვრჩება ოჯახებში ცოცხალი.“

„ტკბილ ქართულსაც შეუნგრიეს ფარგალი,
ვინ წარმოსთქვამს დღეს ყაბახზე „იარაღს“?
რუსთაველსაც არ ინდობენ მარგალიტს,
ფხა შეუხმეს თამარ მეფის იარაღს.“

„მზიან დღეში გვიმიზნებენ გზად თოფებს,
ღამის სივრცეს დახვრეტილის სისხლი რწყავს;
ბაბუ გიგოც არ დაინდეს გათოკეს
და მიგვარეს საწამებლად წითელ სვავს.“

„ვინ მოსთვალოს ჟელაფერი, რასაც აქ
ჩვენ განვიცდით ცრემლებით და იებით;
ბატონია დღეს მკვლელი და ბაცაცა,
მოვარდნილი ჩვენზე შურისძიებით.“

„წმინდა გრძნობას, საონოების შვენებას
გულმოღინეთ გაუთხარეს სამარი;
მოსპეს სულის სიღიადის ხსენებაც,
მის სამეფოს მკვდრის სუდარა აფარეს.“

„ასკრეს ტჰუც და ბარიც გიატიალეს,
ისმის ჟელგან კვნესა, გლოვა უსრული;
ვინ განკურნავს ჩვენს წამების იარებს,
არვის ახსოვს მტერი ესრეთ ურჯული.“

„მაგრამ ჩემ გულს უფრო ტანჯავს, როცა რეზიდენცია
მე აქ ვხედავ მტრის ერთგულებს ჩვენს შველებს;
ო, განვებავ, ნუთუ შენ საოცარო,
ივერთ აქცევ ესრეთ შენ გაყოფილებს.“

„სისხლის წვიმამ ჩვენი მხარე დათვილა,
დასძრა ტანჯვად მაჯაგი და უნარი;
დღეს ქართველი თავის მოძმეს ადვილად
მტერს ანაცლებს, ქვეჭად გაუგონარი.“

„ეხლა, შვილო, ჩემი თხოვნა ეს არი,
არ დაკარგო შენ მამულის ხატება,
ეულობით არ გამიხდე მკვნესარი,
ბრძოლისათვის არ დატოვო მზადება.“

„წინაპრების შენ გხიბლავდეს გმირობა,
გულს დაკქონდეს ალავერდი და გრემი;
დაიხსომე, შვილო, ჩემგან პირობად:
გძულდეს მტერთან მოღალატე, გამცემი.“

პარიზი, 27.04. 1956.

*** *** ***

როზა აბნერაშვილი

საახალწლო სულიონთან

ილალობე, ჩემო მუზავ,
ახალი წლის სუფრიონთან;
მოილხინე, აღმაფრენით,
როგორც ნეფის მაყრიონთან.

არ მოაკლო ახლის სხივი
ძეობებს, ასულთ დღეობებს,
რომ აფრევიო სიხარულის
ნათელი ალალთა გულებს.

დავლოცავდეთ წრფელის გულით
კეთილ ნაცნობთ თუ უცნობებს; შეგვაგებებს ხვალის აისს:

დე, თუნდ ვიდგეთ შორი-შორად,
ოღონდ სული სულსა სცნობდეს.

რომ ამ შუქით გარმოსილნი
ერთ ოცნებით ვზეიმობდეთ,
ვულოცავდეთ წელთა მრავალთ
სულ ახალ-ახალ თაობებს!

ვიდღეგრძელებთ, თუ მერმისიც
ჩვენით ასწევს ახალთ სასმისს
და ამ „მრავალუამიერით“
შეგვაგებებს ხვალის აისს:

„ჰე, ამაღლდი სახლის ჭერო, სიყვარულით, სიხარულით;
შენ კი ისე იყავ, მტერო, როგორც ჩვენ გვისურვებ მუსიკით?
მაშ, ნათელ გქონდეს სავალი, მეგობრობის დროშირ ტაფიალს,
რომ უმღერდე თაობებში იმის გალაღებულ ფრიალ!

ბათ იამი, 15.12.1985.

დიმიტრი მახარაშვილი

ძ მ ა ნ ი კ ო ს წ ე რ ი ლ ი

აი, რასა მწერს ძმა ნიკო ამ ათი წლისა წინადა:

„დე, გაგხდე შენთვის ბედკრული, საქმეც გამიხდეს ჭირადა,
ჩემს გზით შენ ნუღარ გაივლი, გულს ნუღარ მისცემ წყნასა;
თუ გულიც უკან იხემდეს, თავსაც ნუ მისცემ ნებასა.

ნუღარ მიბაძავ ჩემს გზასა, ვეშაპთა მიმავალია;

იცოდე მაინც ჩაგლაპავს, სულაც არ გქონდეს ბრალია.

ციდან, რომ იყო მოსული, მაინც გიპოვის ბრალსამ;

თუ კი ბრჭყალებში ჩაგიგდო, ვეღარ უშველი თავსამ.

თუ შენით მიხვალ ვეშაპთან, მეც მაწყნიებ, ღმერთსაცა
და შენი დიდი შეცდომა, გულსა დაუშვავს ერსაცა.

მე მაინც ისეც მკვდარი გარ, შენ დამრჩი ბედნიერადა;

ნუ დაამწუხებ კარგ ოჯახს, ნუ მოვისპობით სულ მთლადა.
გავიგე საღლაც მიღიხარ. გადავიქეცი წყნადა.

ძმამ რომ ძმის სიტყა გატეხოს, ის არ გამოვა მშვენადა.“

რომ წავიკითხე წერილი, გულსა მიეცა ელდამ,

ტირილი მოვრთე ქალივით და გამიმრავლდა სევდამ.

რით ბედაგს ასეთ სიტყებს, ვით იჭრის დანით ყულსამ;

ფუჭა სიცოცხლეს სჯობია, სულიც რო გამძვრეს დღესამ.

ლა პორტ (ა.შ.შ.), 1985.

შემჩეული შეცდომის გასწორება. „გუშაგი“ №6-ში 57 გვ-
რდის პირველ სტრიქონში იკითხება: „საქართველო არ არის
თავისუფალი ერების თავისუფალი კავშირი...“ უნდა იყოს:
„საბჭოთა კავშირი არ არის...“

კულტურის საკითხები

***** *******

რაც ჟელა პართველმა უნდა იცოდეს

კულტურის რამდენი განძი დაკარგვია ქართველ ხალხს, რამდენი დამარხული უსახელოდ; ვინ მოსთვლის ქართველი ერის გონიერივი შემოქმედების რამდენი ნაწარმოები შეეწირა ჩრდილოეთის თუ სამხრეთის ხალხების შემოსევებს, მეშვიდე საუკუნეში არაების რბევას და მეცნიერები მონგოლების ბატონობას; ქართული ეროვნული კულტურის ჭარ-მოჩენას, მის საუკეთესო ქმნილებათა საკაცობრიო მნიშვნელობის აღიარებას, ქართველი ხალხის „მფარველად“ მოვლენილიც შეძლებისდაგვარად ხელს უშლილნენ და დღესაც ხელს უშლიან, მაგრამ ქართული გონიების და ხელის მიერ შექმნილ ზოგ მარგალიტ იმდენი ელგარება აღმოაჩნდათ, რომ არ შეიძლებოდა სამუდამოდ შეუმჩნეველნი დარჩენილიყვნენ.

იაკობ ცურტაველის 5-ე საუკუნის ჩვენამდე მოღწეული უძეველასი ქართული ორიგინალური ძეგლით „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ და უფრო აღრე ბიბლიის თარგმნით, საქართველო ლიტერატურის გზაზედ გამოდის. საუკუნეების განმავლობაში უმთავრესად სასულიერო ხასიათის, წმინდანთა ცხოვრების აღწერილობითი ლიტერატურა, რომელიც მოკლებული არ არის მოქლაქეობრივ მოტივებსაც, — აღგილს უთმობს საერო მწერლობას და ქრისტიანული მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში გამონაკლის მოვლენას ჭარმო-ადგენს. ამ საკითხზე, ჯერ კიდევ 1977 წელს მარტში პარარა სტატია უურნალ „კავკასიონისათვის“ გავამზადე, მაგრამ დღემდე ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო რედაქცია ამ მისი გამოქვეყნება არ ისურვა. მომყავს მისგან შემდეგი ამონაშერი : „იაკობ ცურტაველის „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ მიკუთვნებულია სასულიერო-საეკლესიო მწერლობის დარგს და ასედაც სწავლობენ მას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ის არაა მხოლოდ წმინდანის სასწავლების მოთხოვბა, ის არ არის ვნებების გარეშე, ემოციებს მოკლებული წიგნი, არამედ მძაფრი ღრამატიზმით, ისტორიული პროცესით, ეროვნული მოტივებით, სოციალური და ოჯახური კონფლიქტებით აღსავს რომანი და უფრო საერო ლიტერატურის ეანრისაა, ვიდრე საეკლე-



სიო, ჰაგიოგრაფიული ნაშრომი. ეს არა მარტო ცენტრალურის ნაწარმოებზე ითქმის, არამედ მთელი ქველი ქართული ტერატურის შესახებაც, მეცნიერებული საუკუნიდან მოჟაღებული მეთერომეტე საუკუნემდე.“

მთავარი გმირის საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწეობას და მის წმიდანად გამოცხადებას თუ საკმაო საბუთად მივიჩნევთ თვით ნაწარმოების ჰაგიოგრაფიულად გამოცხადებისათვის, მაშინ თემურაზ პირველის ლექსი „წამება ქეთევან დედოფლისა“ იმავე უანრის მწერლობას უნდა მივაკუთნოთ. საჭ. ისტორიის სიგრძეზედ ქრისტიანობის დაცვას ბევრი ქართველი შეეწირა და მათ შორის ქეთევან დედოფლიც, კახეთის მეფის თემურაზ პირველის დედაც, რომელიც შაჲ აბას პირველმა წამებით მოაკვლევინა, რაღანაც უარი თქვა ქრისტიანობის ღალატზე.

დღეს საქართველოში აღარ არიან ამ აზრის და ჯერ კი-დევ აკადემიკოსი კორნელი კეჩელიძე, შემდეგ ალექსანდრე ბარაშიძე და მათზე ადრე ჩევენი ღვაწლმოსილი ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად ხედავენ ქართულ სასულიერო მწერლობაში, კერძოდ კი ცურტაველის ნაწარმოებში, წმინდა ისტორიულ-ბელეტრისტულ ხასიათის ნაწარმოებს, რომელიც ბატონი ივანეს სიტუაციით: „მყითხველს თვლიშინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი სურათი ეშლება.“

ძველ საქართველოში ქრისტიანობის დაცვა გაიგივებული იყო სამშობლოს დაცვასთან, რჯულის ერთგულება ნიშნავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივობის ერთგულებას და შუშანიკი-იც ეროვნულ გმირად გვევლინება. მას, როგორც ჩანს, ღრმა პატრიოტული აღზრდა მიუღია ქართლის საიტიანშო კარზე, ის ამბობს: „არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედა კაცისაი, სადა მე და მან(ვარქესნმა) სწორი სიტუაცია ვთქვათ წინაშე უფლისა.“ როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ იაკობ ცურტაველი მიუთითებს თავისი გმირის შუშანიკის პირით დედაკაც-მამაკაცის სოციალურ თანასწორობაზე. ჩვენ გვე-ამაყება შოთას გენიალური აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყს, თუნდა ხვადია“ და ასეთივე სიცხალით უთ-ქვამს ეს ცურტაველს შვიდი საუკუნით ადრე.

ქართულ მწერლობას გრძელი გზა უნდა გაევლო, ვიდრე ცურტაველი ლიტერატურის ასეთ შედევრს შეჰქმნიდა და ცურტაველის დიდი დამსახურება ისიცაა, რომ მას თავის

ნაშრომში მოყვანილი აქვს ამონაწერები მისამდე არსებული ქართული წიგნებიდან: სახარება, დავითი, მოციქულთა კატაკლისტისტოლენი, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. თვით ო. ცურტაველს არ შეიძლება სხვა რამეც არ დაეწეროს, მაგრამ არც ერთი სხვა მისი ნაშრომი ქართ. ლიტერატურას არ შემორჩენია.

დღეს საქართველოში წინაქრისტიანული ქართული ლიტერატურის არსებობაში ორი აზრი აღიარ არსებობს და ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, „ქართული დამწერლობა ქრისტიანობის დამკვიდრებამდე 7 - 8 საუკუნით ადრე შეიქმნა.“ თუ ეს ასეა, მაშ, ქართველებს დამწერლობითი კულტურაც იმავე ხანაში უნდა შეექმნათ. მაგრამ, როგორც წარმართულს აღბათ მას ებრძოდა და ანადგურებდა ქრისტიანული ეკლესია.

მეოთხე საუკუნის დასაწყასში, როგორც რომი, ისე საქართველოც ეზიარენ ქრისტიანობას, ის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს. იმ დროიდან მოკიდებული, საქართველო დასაცლეთის განუყოფელ ნაწილად ითვლება და ეკრობის კულტურის ფერხულში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ქართველი ფილოსოფოსი ბაკური დიდი პატივით ჟავთ მოხსენებული ბერძნული პროზის წარმომადგენელ ლიბანოს და ბერძენ ისტორიკოსს კასარიელს (ორივე 4-ე საუკ.). ამასევ ადასტურებს ბერძენი ისტორიკოსი გიორგი ამორტოლი. ბაკური ნეოპლატონიკოსებთა ფილოსოფიურ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი ფილოსოფიური ეპისტოლე დიდი ნიჭით და ერუდიციით ჟაფილადაწერილი, რაზედაც თვით ბიზანტიური წყაროები იუწყებიან.

ბიბლიური წიგნები პლატონ იოსელიანის აზრით მეხუთე საუკუნეშე აღრე უნდა თარგმნილიყო ქართულად. ნეკრესის ტაძარი (კეთში), წყაროების დამოწმებით, გაქრისტიანების ხანას მიეკუთვნება. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ბოლნისის ტაძარი მეხუთე საუკ. დასაწყასში აუშენებიათ ფარსმან მეოთხეს და ვახტანგ გორგასლანს და იმავე საუკუნის მეორე ნახევარში საეპისკოპოსოდ განუწესებიათ. ქრისტიანობის გამრჯვებას წარმართობასთან ბრძოლაში დაუყვანებლივ მოჟალია ეკლესია-მონასტრების და მწიგნობლობის გავრცელება. მეშვიდე საუკუნის ქართ. ფილოსოფოსი იოანე საბაწმინდელი მისი ტრაქტატით „სიბრძნე ბალვარი-

სა“, მე-11-ე საუკუნეში ბერძნულად გადათარგმნილი, საერთო აღფრთვოვანებას იწვევს მაშინდელ მსოფლიოში. ქრისტიანული და ბუდიზმის გარდა ის წარმოადგენს ნეოპლატონულ და არისტოტელური სწავლების გასაოცარ განხილვას.

ისტორიული ცნობების თანახმად, ჯერ კიდევ მეოთხე სა- უკუნეში კოლხიდაში არსებობდა ცნობილი აკადემია „რეტო- რიკის უმაღლესი სკოლა“, საღაც ქართველი და ბერძენი ახ- ალგაზრდობა ერთად სწავლობდნენ ფილოსოფიას, სამართლის მეცნიერებას, მათემატიკას, ფიზიკას და ეთიკას. აქ მიიღეს სწავლა ცნობილმა ნეოპლატონიკოსმა თემისტურმა და ზევით მოხსენებულმა იბერიის თავადმა ბაკურმა. ისტორიაში ისიც ცნობილია: სანამ თვით საქართველოში მონასტრების შენე- ბას დაიწყებდნენ თავიანთი სკოლებით და აკადემიებით, ქა- რთველები საზღვარგარეთ ეწეოდნენ კულტურულ მოღვაწეო- ბას. მარტო პალესტინაში ოცამდე ქართული მონასტერი ჭო- ფილა.

მეორე საუკუნიდან მეთერთმეტემდე სასულიერო მწერლობა ბატონობს საქართველოში, მაგრამ გვერდით მაინც არსებობს საერო მწერლობა საგმირო რომანების ხასიათისა. თარგმნის ინტერესიც დიდია. ამ დროს ეკუთვნის, მაგალითად, „ქილი- ლა და დამანა.“ ქვეყნას ნიჭიერი მწერლები ევლინებიან: მიქელ მოდრეკილი, ფილიპე ბოთლემელი, იოანე საბანიძე, დიდებული ავტორი „აბო ტფილელის მარტვილობისა“ და მე- ათე საუკუნეში გიორგი მერჩული, ავტორი „გრიგოლ ხანძ- თელის ცხოვრებისა“, რომელიც მხატვრული პროზის იშვიათი ნიმუშია. ამავე დროს გ. მერჩულის პედაგოგიურმა მოღვა- წეობამ ხანძთისა და შატბედის მონასტრებში ხომ აუარე- ბელი სწავლული ბერ-მონაზგნები აღვიზარდა. მერჩული ღრმად და დაბეჯითებით მოგვითხობს სამთავროებად დანა- წილებული საქართველოს გაერთიანების აუცილებლობაზე.

ათონის მონასტრის და აკადემიის დამაარსებლის იოანესი და მისი შვილის ექვთიმეს ცხოვრებას ვგებულობთ მეთერთ- მეტე საუკუნის მწერალ გიორგი მთაწმინდელისაგან. ამ უკ- ანასკნელის ღმისჲურებას კი მისივე მოწაფე გიორგი მცირე აგვიწერს ვრცლად. ის გიორგი მთაწმინდელს ქართული ენის დიდოსტატად და ნათელ სწავლულად გვისაჲავს, ხოლ მის წიგნზე ამბობს: „დაატკბო ენა ჩვენიო.“

მე-11-12-ე საუკუნეებში გვჟანან მთელი პლეადა დიდებული სასულიერო მოღვაწეებისა, ფილოსოფოსებისა, მწერლებისა,



რომელთა მარტო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია ამ ცალკეული ზომის წერილში, მაგრამ, სანჯ ჩვენი ერის უდიდეს მასში როგორც, მიუწდომელ შოთა რუსთაველს შევეხებოდეთ, მანამ საჭიროა ორ მის უახლოეს წინამორბედზე ცოტა შევჩერდეთ, რომლებიც არიან: გიორგი მთაწმინდელი და იოანე პეტრიშვილი.

გიორგი მთაწმინდელის გვარი დღესაც უცნობია. მთაწმინდელის და ათონელის სახელწოდებას ათონის მთის საეკლესიო მოღვაწეს მიანიჭებდნენ ხოლმე. გიორგი აქ მოღვაწეობდა **1009-1065** წწ. და მისი თხზულებათა და თარგმანებათა რიცხვი ასამდე აღწევს. მის პირველ დიდ ნაშრომად ითვლება იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება, რაც ათონის-მთაწმინდის „ივერიის“ მონასტრის ისტორიაა. აქ ის დიდ ხოტბას ასხამს ექვთიმეს „სიბრძნე ბალავარისას“. ახლა ისიც ცნობილია, რომ ექვთიმე ათონელის „სიბრძნე ბალავარის“ თარგმნით უსარგებლია იმ დროის გამოჩენილ ბერძენ მწერლას სფიმონ მეტაფრასტს. გიორგი მთაწმინდელის „იოანესი და ექვთიმეს ცხოვრების აღწერას“ და „დიდ სვინაქსარს“ არ შეიძლება რომელიმე სხვა ნაწარმოები შევაღიაროთ. მისი ბიოგრაფი, სახელვანი გიორგი მცირე ამბობს: „ყველნი განკვირვა, არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენიცა და ასურნი, ვითარცა ესოდენი წიგნი ერთმა კაცმან დაწერა-ო. მას 30 წლისას დაუწყა მწერლობა, უცოცხლია 50 წელი და მისთვის დიდი დრო წაურთმევია საქვეზო საქმე-ებზე ზრუნვას. გ. მთაწმინდელი დიდად მიღებული ყაფილა საბერძნეთში ბერძნების მიერ, ხოლო მეცე ბაგრატ მეოთხეს ის საქართველოში მოუწვევია „რათა თვით მე გავნათლდე თქვენი ხილვითაო“. გიორგიმ ხუთი წელი დაჰყო საქართველოში, სადაც ის მყავე შეუდგა საეკლესიო რეფორმების გატარებას. ის მოითხოვდა პირადი ლირსებით და არა გვარიშვილობის მიხედვით დაწინაურებას. მას 80 ლარიბი და ობოლი ბავშვი მოუკრებია და საბერძნეთში წაუყვანია აღსაზრდელად. ამის შესახებ მისი ბიოგრაფი ამბობს: „მონაბი-საგან გამოიყანა, ხოლო სხვანი მონაბისაგან უმწარესისა ცხოვრებისაგან იჩსნაო.“ ბატონი ივანე ჯავახიშვილიც გიორგი მთაწმინდელის მიერ წოდებრივი უპირატესობის უარყოფაზე, მის მიერ აღამიანის პირადი ლირსების და დემოკრატიული მიმართულების წინწამოწევაზე ლაპარაკობს. აკადე-



მიკოსი კორნელი კაველიძე კი მთაწმინდელს

აღრინდელი რენესანსული იდეოლოგიის მესახურული
ჰაბახავს, რომელმაც სამი საუკუნით აღრე, ვიდრე მეტად მარტინი
ში, საქ. სამეფო კარზე ჰუმანიზმის იდეები განახორციელა.
გ. მთაწმინდელის ლექსების ხელნაწერები დღესაც ინახება
გელათის მონასტერში. ის კარგ პოეტად კაფილა ცნობილი
და პროფ. ილია აბულაძე გვარზემუნებს, რომ იმ დროს მი-
სი ბერძნულად ნათარგმნი საგალობელი და სასიმღერო ლექ-
სების მსგავსი თვით ბერძნებს არ მოეპოებოდათო. გიორგი
დიდმა, როგორც მას ეძახდნენ, ბევრი რამ ახალი მოგვცა,
იგი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე, დაუფასებელი ღვა-
წლი დასწორ მეცნიერულ-ლიტერატურულ დარგის განვითარე-
ბას და მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მწერლობაში.

ქართ. კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებმა ფილო-
სოფიურ-თეოლოგიურ თარგმანების გარდა შუა საუკუნოების
ბიზანტიური ფილოსოფიიდან, ბევრი ორიგინალური ფილოსო-
ფიური ნაწარმოებებიც დაგვიტოვეს. მათ შორის ჯელაზე
უწინ მოსახსენებელია იოანე პეტრიში (პეტრიშონელი) და
არსენ იყალთოელი, რომელსაც ბევრი მეცნიერი დღესაც გი-
ორგი მთაწმინდელთან აიგვებს. ქართ. თეოლოგიურ-ეგზის-
ტიკური (ბიბლიის ახსნა) მწერლობის მამამთავრად არსენ
იყალთოელი ითვლება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართ.
თეოლოგიურ-ლოგმატურ სკოლას და იყალთოელითვე მთავრდე-
ბა ამ სკოლის ეპოქა საქართველოში.

თუ პეტრე იბერს ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა-
ში ვერავინ შეეცილებოდა, იოანე პეტრიშის გავლენა ხომ
მეტიც იქნებოდა, მისი ნაწარმოებები მაშინდელ გაბატონე-
ბულ ბერძნულ ენაზე რომ დაწერილიყვნენ. მისი ჯელა შრო-
მა ქართულადაა დადგენილი და მათი აღრინდელი სომხური
თარგმანები მხოლოდ ნაწილობრივ აფართოებენ მისი შესწა-
ვლის შესაძლებლობას, ხოლო დოდსის ინგლისური თარგმანი
მეოცე საუკუნეს ეკუთვნის. პეტრიში ღრმად განსწავლულია
კლასიკური ხანის ფილოსოფიაში, ის მთლიანად ფლობს მი-
თოლოგიასა და ბიბლიას, აქვს ახალი აღმოჩენები ასტრონო-
მიაში და მეცნიერების სხვა დარგებში, მასვე ეკუთვნის
ცნობილი ერთსტროფიანი ლექსით დავით აღმაშენებლის შე-
ქება, და ბოლოს, მანვე დაგვიტოვა ძალზე მდიდარი ფილო-
სოფიურ-თეოლოგიური მემკვიდრეობა, რომლითაც მან ფილო-
სოფისის დიდი სტელი მოიხვეჭა და გამოჩენილ საეკლესიო



მოღვაწეებთან ერთად გამოხატულია იერუსალიმის ჭავარის შემოწმების კედელზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დავით ვაშაძე

ცნობის სახით: გასული წლის შემოდგომიდან ჩვენი ერთგული და კარგი თანამშრომელი, ბატონი დავით ვაშაძე დამბლადა-ცემითაა დაავადებული: ამ საახალწლოდ განსაკუთრებით მი-ვესალმებით და ღმერთსა ვთხოვთ მის სწრაფ და სრულ გა-მოჯანსაღებას. „გუშაგი“

*** *** ***

კომენტარი „წყალის“ თაობაზე

ჭინა ნომერში დაიბეჭდა ქალ. როზა აბნერაშვილის სტა-ტია „ერის წყლუხვი საუნჯე“, რომელიც ეხმაურება ჩვენს სტატიას „წყლის“ ადგილი ქართულ მეტყველებაში“. („გუშა-გი“ №4) დიდი მადლიერი ვართ ქალბატონ როზასი და დიდი ინტერესით მოველით სხვა გამოხმაურებებსაც. „ერის წყლ-უხვი საუნჯე“ მხოლოდ ვეფხისტყოსნის ლექსში: „...ნეტა რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყლით“ „წყლის“ შინაარსს არკვევს, სადაც ნაწილობრივ გაბათილებულია ჩვენი მსჯელობა, მაგრამ ძირითადად ჩვენე-ბურ წყაითხვას უჭერს მხარს. რაში მდგომარეობს ქალ. რო-ზას უთანხმოება?

1. რუსული და ინგლისური ლექსიკონებიდან მოჟუანილი მა-გალითებით გვიხსნის, რომ პატიოსანი ქვების და კერძოდ ბრილიანტის შემთხვევაში არსებობს გამოთქმა „წმინდა წა-ლის ბრილიანტი. ბრილიანტი შეიძლება იყოს: თერი, შავი, წითელი, ყვითელი, ყავისფერი, მწვანე და სხვა და აქედან გამომდინარე, ის ფიქრობს: თუ ბრილიანტი შეიძლება იყოს ფერადი, მაშინ რატომ წყლიც არ შეიძლებაო და რუსთა-ველსაც შეეძლო წყლი ამ მნიშვნელობით ეხმარაო. აქ პი-რველ რიგში შევნიშნავთ, რომ ასეთი მსჯელობით ყველა ენაში და დღევანდელ ქართულშიც წყლი, უფერული სით-ხის გარდა, „ფერს, შნოსა და ლაზათსაც უნდა გამოხატავდეს, რადგანაც ყველა ენაში იტყვიან საუკეთესო ბრილიანტზე, წმინდა წყლის ბრილიანტიაო და ყველა ენაში ის შემოსულია არამარტინიდან. მაგრამ არცერთ თანამედროვე ენაში წყლი

ფერს არ გამოხატავს. საქმე იმაშია, რომ „წმინდა წყლის ბრილიანტში“ წმინდა წყლი ბრილიანტის ხარისხს, სტალურ სიწმინდეს მიკვეთიშვნებს. ძვირფასი ბრილიანტის ზედაპირი ისევე კამკამებს, ლივლივებს, როგორც წმინდა წყლისა და ეს, რა ფერისაც არ უნდა იყოს ბრილიანტი. ამიტომ ეს მაგალითი საეჭვოდ არ ხდის ჩვენს კრიტიკას ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიმართ.

მერე, ქალ. როზას არც ის მასაზრება გამოდგება, რომლის მიხედვით, წყლის ჭავლი, როცა ის სპერტაჟია, მზის სხივებისაგან ნაირფერებში აციმციმდება ეს ხომ ივივე ცისარტყლის ფერნმენია და დღეს ბავშვებისთვისაც კარგად ცნობილ მზის სხივების სპექტრული დაშლის შედეგია. მართალია, ეს ჩვენმა წინაპრებმა არ იცოდენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, წყლის ფერდოვნება მხოლოდ მზის სხივებთან კაგშირში უნდა ყაფილიყო აღნიშნული.

2. სინონიმების ხმარება. დიახ, სინონიმები იხმარება ლექსის ერთსა და იმავე წინადაღებაში იმ პირობით, რომ მეორე სიტყვა უნდა აძლიერებდეს პირველის შთაბეჭდილებას. წინა-აღმდეგ შემთხვევაში ის რითმისთვის ხელოვნურად იქნება „მოთრეული“ და ეს გენიოს პოეტს არ შეშვენის. ჩვენს მიერ განხილულ რუსთაველის ლექსში, თუ ქართ. ვან. ლექსიკონს დავუჯარებთ, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვიქნებოდა საქმე, მაშინ, როცა ჩვენი განმარტებით ეს წინადაღება ყაველმხრივ სრულყოფილია.

3. ძველ ქართულში შეიძლებოდა, გამსხვავებით სხვა ენებისა წყლს ფერიც აღენიშნა. დიახ, როგორ არა! და ეს ჩვენ კიდევაც გვაქვს აღნიშნული, მაგრამ ამის დასამტკიცებლად შოთას განხილული ლექსი საკმარისი არ არის.

გიორგი პერევისელი

ო რ ი ო დ ე ს ი ტ ყ ვ ა

გიორგი პერევისელის „სიყვარულის თაიგულზე“

გ. პერევისელის „სიყვარულის თაიგული“ პარიზიდან თბილისს ნასროლი თაიგულია, რომელსაც თან გაპულია სიყვარული გონება და იმედი. წიგნი 1983 წელს გამოიცა პარიზში. იგი საქართველოდან მოტეხილი გულის ღალადია, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით შექცეულა და სამშო-



ბლოსთან შეხვედრის მანძილს ამოკლებს დროის დაწყებულები სიმებზე დაკვრით. სიმები არ გაწყვება, რადგან, თუ გამუები ვერ ელირსებიან სამშობლოს ხილვას, შვილები მანქც მიეფერებიან კახეთის ვაზს, მოღინახეს, უშბას და ობილისის ხიდებს. ეს ხიდები ნუ ჩატყება, ესაა მთავარი.

წიგნში შეტანილი ყველა ლექსი, მათ შორის პროზაული ჩანაწერები, თვით ავტორის ჩავლით, ერთი უზარმაზარი ლექსია, რომელსაც ქვეყნად ყველაზე მწარე სახელი აქვს – უსამზობლო ბა. ეს სიმწარე მხოლოდ მაშინ განელდება, როცა შორეულ ბურუსში გახვეული სამშობლოს ტვირთის ზიდვისას დავიჯერებთ წიგნში მოთავსებული უკანასკნელი ნაწარმოების „ფიქრების“ უკანასკნელ გაელვებას: „შენ ამ ძვირფას და სათუთ ტვირთს არამც და არამც არ უნდა გამოეცალო, არ უნდა წაიფორხილო, არ უნდა ჩაიჩქო, არ უნდა წაიქცე!!!“

რა ბეჭრი რამ გვაძვს საოქმელი ამ დალოცვილ წუთი-სოფელში ... თუნდაც ის, რომ წუთი უკვე დამთავრდა ამ საუბარში, სოფელი კი ისევ დგას!

მორდეხაი კულაშელი

მოგონებათა განყოფილება

შეგვეძლო თავიდან აგვეშორებია დაპყრობა?

შეგვეძლო თავიდან აგვეცინა დაპყრობა, ან, უფრო სწორად, შეგვეძლო ისე მოვმზადებულიყვით ომისათვის, რომ ამ თავდასხმას ჩვენი სამხედრო ძალით გავმკლავებოდით? ძირითადი საკითხია: შეეძლო „პატარა საქართველოს“ წინააღმდეგობა გაეწია „დიდი რუსეთისათვის?“ განვიხილოთ ეს საკითხი. თუ საკითხს მიგუდგებით მხოლოდ ამ სიბრტყო, ესე იგი „პატარა“ და „დიდის“ მიხედვით, მაშინ, რა თქმა უნდა, რომ არ შეეძლო. მაგრამ, თუ არსებულ მდგომარეობას განვიხილავთ, არ შეიძლება იმ დროინდელი რუსეთი „დიდაღ“ ვაღიაროთ ისე, როგორც ეს სიტყვა ესმოდათ რევოლუციის წინ. დიდი რუსეთი დაიშალა. უშველებელმა მხარეებმა შეწჰიტეს ჭაფილიჭენ ის რესურსები, საზღანაც დიდი რუსეთი იკრებდა მის საომარ ძალებსა და საშუალებებს.



მთელი ციმბირი, თურქესტანი, კასპიის მიღმა მხარე, უკრაინა, პოლონეთი, ფინლანდია, ბალტიის ქვეყნები, შესულებული ბია, ამიერკავკასია არა მარტო არ წარმოადგენდნენ ის ქვეყნებს, საიდანაც საბჭოთა რუსეთს შეძლებოდა საომარი ძალები და საშუალებები გამოეწოვა, არამედ ზოგიერთი მათვანი საბოლოოდ ჩამოცილებული იყვნენ მისგან, ხოლო დანარჩენები საჭიროებდნენ მოსკოვის ჯარებს, მის თრიტში დასაკავებლად. ამას უნდა დაემატოს კაზაკები დონისა, კავკასიისა, ურალისა და სხვა, რომლებიც თუ მტრულად არ ილაშვრებდნენ მოსკოვის მთავრობისადმი იმ დროს, მასიურად მაინც პასურ მაყურებლებად იყვნენ მის მიმართ. ამრიგად, რჩებოდა მხოლოდ ნაწილი ევროპული რუსეთისა, ე. ი. ველიკოროსია მისი ცენტრალური ნაწილით და ნაწილი ვოლგისპირეთის. ომის დაწყებამდე ევროპული რუსეთი მთლიანად ითვლიდა 100 მილიონ მცხოვრებს. თუ ამას გამოვაკლებთ ჩამოცილებულ ნაწილებს და მხედველობაში მივიღებთ, რამდენი მეომარი ესაჭიროებოდა მოსკოვის მთავრობას ყალბდა იმ ქვეყნებში, სადაც მისი ძალაუფლება მხოლოდ ხიშტებზე იყო დამყარებული, როგორიც იყო, მაგალითად, უკრაინაში და სხვა მხარეშიც, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ „დიდი რუსეთის“ გავება უკვე აღარ პასუხობდა არსებულ მდგომარეობას არც ტერიტორიის სივრცით და არც მოსახლეობის რაოდენობით.

ამას უკვე ადასტურებს ის გარემოება, რომ გენ. ვრანგელისა და პოლონეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, 1920 წელში, ბოლშევიკებმა შეძლეს გამოეყვანათ დაახლოებით 300 ათასი ჯარისკაცი, მაშინ, როცა ნამდვილ დიდ რუსეთს გამოყვდა მილიონობით. მეურნეობის სრული მოშლა და სატრანსპორტო საშუალებების ძლიერი უკმარისობა კიდევ უფრო სისხლიდან ცლიდა ამ „დიდ რუსეთს“. მისი სისუსტე მთლად გამოჩნდა პოლონეთთან წარმოებულ ომში. საეჭვო არაა, რომ პოლონეთს არ შეეძლო გამკლავებოდა იმ დიდ რუსეთს, რომელსაც ჩეენ ვიცნობდით. პოლონეთმა არა თუ უკუაგდო ახლანდელი რუსეთი, არამედ ბრძოლა გადაიტანა მის შიგნით და ის აიძულა ხელი მოეწერა მისთვის სასურველ ხელშეკრულებაზე. ფულიც კი გადაუხადეს პოლონეთს! განა შეიძლება მაშინდელი პოლონეთი ჩათვლილიყო ძლიერ სახელმწიფოდ? რა თქმა უნდა, რომ არა. ის მხოლოდ შეიქმნა

იმ ნაწილებისგან, რომლებიც ასეული წლების განმავლისში შედგენ გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის ხელმწიფების ქვეშ უმცირესებული ფეხოდნენ. ის კიდევ არ იყო ერთიანი, შემციდროვებული. მან ეს-ეს არის დაიწყო ფორმირება და შორს იყო იმ ერთიან მექანიზმისაგან, რომელსაც სახელმწიფოს ვუწოდებთ. ჯარი მხოლოდ იქმნებოდა. დისციპლინის მომშლელი და მომსპობი ახ აღი დროის მონაბერი ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. დისციპლინის გარეშე კი სამხედრო ძლიერება არ არსებობს. პოლონეთის ჯარი არ იყო მზად და, რა თქმა უნდა, ის ძალიანაც შორს იყო იდიალურისაგან და თვით იმისაგანაც, რომ მას ვუწოდოთ საშუალო. პოლონეთმა მაინც მოიგო და ბრწყნავალედაც მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯარები იძულებული იყნენ ეწარმოებინათ 200 კილომეტრზე უკან დახევა. უკან დახევა კი ყველთვის ამცირებს ჯარის ბრძოლისუნარიანობას.

ცხადია, რომ მოსკოვის მთავრობის ჯარების სამხედრო ძლიერება შორს იყო რუსეთის იმპერიის სანხედრო ძლიერებისაგან და მისი გამარჯვება დენიკინზე, ვრანგელზე და ჩერნიზე მხოლოდ უჩვენებს იმას, თუ რა სუსტები იყნენ მართლაც დამარცხებულები.

პოლონეთის ჯარების გამარჯვება მე არ შემიძლია მივაწერო ფრანგ ინსტრუქტორებს და თვით საფრანგეთის სარდლობას. ერთმუქა ადამიანებს არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მთელი საომარი კამპანიის შედეგზე, არამც თუ მთელს ომზედ. ინსტრუქტორებს შეუძლიათ გაწროვნან ჯარი, მაგრამ ამისთვის საჭიროა წლები და თვით ათეული წლები და არა კვირეები. სარდლობა, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს, მაგრა მას არ შეუძლია არმიის შეცვლა. სარდლობას არ შეუძლია მიაღწიოს წარმატებას, თუ ჯარის შენართებს არ შესწევთ უნარი ტაქტიკური წარმატებების მიღწევისა. ხელმძღვანელობას არაფერი შეუძლია თუ ჯარი უარს ამბობს ომზე. მიუხედავად იმისა, რომ არ ვუარყოფთ ფრანგ სარდლებისა და ინსტრუქტორების სამხედრო უნარიანობას, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ პოლონეთმა მის გამარჯვებას მიაღწია უმთავრესად საკუთარი ჯარით, რომლის ბრძოლისუნარიანობა და სარდლობა უმჯობესი გამოდგა მოსკოვის მთავრობის ჯარებისაზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ ხარისხის თვალსაზრისით რუსულ-



ბოლშევკური მხედრობა სრულიადაც არ წარმოადგენს მიზან-
სხანე ძალას. კრიტიკულ-ობიექტური განხილვით, ჩვენი მიზანი
რის შეტაკებები მასთან 1920 და 1921 წლებში შეამლებით იყო
გამოდგეს ამის დასადასტურებლად.

უნდა ითქვას, რომ ჩევენ კიდევ ერთი მღვმარეობა გვა-
წყობდა ხელს: ბოლშევიკური რუსეთისათვის ომი ამიერკა-
ვკასიიში იყო ერთგვარად კოლონიალური ომი.

მე არ წამიკითხავს პეკერის მოხსენება, მაგრამ გადმოცე-
მით ვიცი, რომ ის საქართველოზე გამოსალაშქრებად ითხო-
ვდა დაახლოებით 35000 ხიშტს. მოსკოვის ხელისუფლებას, -
რომ შეძლებოდა ამ ძალების აზებეიჯანში თავმოყრა 1920-
წლის ოქტომბრისათვის, მაშინ ის თავს დაგვესხმოდა უფრო
ძლიერ, ვიდრე შემდეგი წლის თებერვალში; საქმე იმაშია,
რომ ტრანსპორტის საშუალებათა უკმარობა ისეთი იყო და
საერთოდ ჯარების მომარაგების საქმე ისე გაძნელებული
საბჭო. რუსეთში, რომ ომის დასაწყიბად მოსამზადებელი მუ-
შაობა მოითხოვდა ძალიან დიდ დროს. ომშა გვიჩვენა, რომ
პეკერის მიერ მოთხოვნილი ჯარის რაოდენობა ვერც კი მო-
ასწრეს მისთვის მიეწოდებიათ სრულად ომის დაწყიბის წინ.
ის ფაქტი, რომ ხაშურის წინ ბრძოლებში მონაწილეობდნენ
ბოლშევიკური ჯარის ნაწილები, რომლებიც შეუჩერებლივ
პირდაპირ მოდიოდნენ პეტროვკადან, ამ ჩემს მოსაზრებას
ადასტურებს.

მოსკვის ხელისუფლებისათვის ჩვენთან ომი იყო განაპირო, შორეული მისი სასიცოცხლო ცენტრებიდან და, როგორც ბეჭვზე, ისე ეკიდა ერთადერთ რკინიგზის ხაზზე: როსტოვი, ბალაჯარა, თბილისი. ცნობილია, რომ ომი, როცა ის დაშორებულია ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებიდან, როცა კავშირ-ურთიერთობა მის თეჭრთან გაძნელებულია, — ძალიან ძნელია. პატარა იაპონიამ რუსეთთან გადაწყვიტა ომი, რადგანაც მან კარგად გაითვალისწინა ეს მდგომარეობა. ციმბირის რკინიგზა რომ ჟოფილიყო ორხაზიანი **30-40** წლილი მატარებლის გამტარუნარიანობით, მაშინ იაპონია ვერასოდეს ვერ გამოილაშექრებდა რუსეთის წინააღმდეგ ერთი ერთზე, რადგანაც რუსეთს შეეძლო მაშინ ძალიან დავილად იაპონიის წინააღმდეგ თავი მოეყარა სამჯერ მეტი ძალებისათვის. ინგლისი ბურებთან, მთის ხალხთან ომს აწარმოებდა **2½** წლის განმავლობაში.

ამრიგად, უნდა ვალიაროთ, რომ „პატარა საქარ-



თველოსთან“ ომობდა არა „დიდი რუსეთი“ და, ამისუცურული და, მისთვის ომი წარმოებდა ანელ პირობებში ჭირისურთვების კოლონიალური ხასიათისა. თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ჯარისკაცთა რაოდენობას, რომელიც რუსეთის მხრით იღებდა მონაწილეობას, მაშინ პატარა სქართველოს თავი-სუფლად შეეძლო მასზე მეტი გამოეყანა ბრძოლის ველზე, ამისათვის მზადება ისეთი რომ ყაფილიყა, როგორც ეს მოითხოვება და, როგორც ეს ესაჭიროებოდა. მაშინ მოსკოვის ხელისუფლებას დასჭირდებოდა უფრო მეტი სამხედრო ძალების თავმოყრა და აქედან გამომდინარე, შემოტევა უნდა გადაედოთ მეტად თუ ნაკლებად ხაკგრძლივი დროით. თუ არა და ომი გაქიანულდებოდა და სათანადო მომზადების შემთხვევაში შეიძლებოდა გადაქცეულიყა დაუსრულებელ ომად. ხომ შეძლეს დაღესტნის მთიელებმა რუსეთთან ომი ეჭარმოებიათ 60 წლის განმავლობაში, იმ დროს, როცა ისინი ყაველმხრით გარემოცული იჯნენ. ბურებმა ხომ შეძლეს $\frac{1}{2}$ წელი გაეძლოთ ინგლისისათვის, რომელსაც ჰქონდა საზღვაო ურთიერთობა. ჩვენ ამ მხრითაც უკეთეს მდგომარეობაში ვიმუშფებოდით. შავი ზღვა არ ეკუთვნოდა მოსკოვის მთავრობას. პირიქით, შავი ზღვის გზით ჩვენ შეგვეძლო მიგვეღო საომარი საშუალებები.

მაგრამ, საჭირო იყო ომისთვის მზადება და: 1. არ დაგვნანებოდა ფული, რომელიც სულ ერთია შემდეგ გაფლანგეს საზღვარგარეთ ყოფნის დროს, 2. თავდაცვა არ აგებულიყა ისეთ საწყასებზე, რომელსაც ადგა ჩვენი მთავრობა, გვარდიის საწყასებზე ჯარის შექმნის ჩათვლით.

თავდაცვის საქმეს ჩვენში ეკიდებოდნენ არა სერიოზულად. ჯარის მობილიზაცია ითვლებოდა ერთადერთ საომარ მზადებად, მაშინ, როცა ესაა უკანასკნელი აქტი ქვეჭის თავდაცვის საქმეში. სახელმწიფოს არ ჰქონდა მომზადება არც საინჟინერო დარგში, არც საშუალებებისაში მისა, არც ომის გეგმაში, არც მეომართა ორგანიზაციაში, რომელსაც შეძლებოდა ბრძოლის ველისთვის სწრაფად მეტი ჯარისკაცების რაოდენობის მიწოდება, არც მობილიზაციის დაჩქარების ღონისძიებებში; არაფერი, არაფერი არ ყაფილა გაკეთებული. მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლობას, რომელიც თბილისში იმუშფებოდა, არ შეეძლო არ დაენახა ჩვენი მოუმზადებლობა ომისათვის და მხოლოდ ამის გამო ჩვენი

ნმა მოწინააღმდეგებ ჩათვალა, რომ საქ. დასაპყრობლად სა-
კმარისი იყო მხოლოდ რამდენიმე ათი ათასი ჯარის უცნობესობას

სინამდვილეში ჩვენი შეიარაღებული ძალების ორგანიზაცი-
ის მიხედვით ჩვენ გვავდა არმიის 12 ბატალიონი, რომელიც
მობილიზაციის დროს აღწევდა 36 ბატალიონს სამი ასეულის
შემადგენლობით, ე. ი. დაახლოებით 21-22 ათასი ხიშტი.

გვარდიაში იყო 20-24 ბატალიონი 10-12 ათასი ხიშტით.
ამრიგად, ჩვენ შეგვეძლო სულ გამოვეყვანა 32-34 ათასი
ხიშტი. ეს უბრალო არითმეტიკა და ჰქეერი, რომელმაც
სრულიად სწორად გთვალისწინა, რომ ჩვენს აღმოსავლეთ
საზღვარზე ჩვენ შეგვეძლო ყველაზე უკეთეს შემთხვევაში
გვყოლოდა მთელი ჩვენი ძალების ორი მესამედი, ე. ი. 22-
23 ათასი ჯარისკაცი, — მოითხოვდა თავისთვის 35 ათას ხი-
შტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ამით აღწევდა $1\frac{1}{2}$ ჯერ
საკუთარი ძალების გადაჭარბებას. ჩვენი ძალების მესამედი,
თუ მეტი არა, იქნებოდა დაკავებული ჩვენს ჩრდილოეთ სა-
ზღვარზე. ჯარის ჩვენი ორგანიზაცია არ იძლეოდა საშუა-
ლებას მოქმედებაში ჩაბმულიყა ჩვენი სათადარიგო რეზერ-
ვები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ, ჩვენი ორგანიზაციის
გამო, არ შეგვეძლო გვესარგებლა წინააღმდეგობის მთელი
იმ ძალებით, რისი მოცემის საშუალებაც ჰქონდა ჩვენ ხალ-
ხს. ამიტომ, უნდა ვაღიაროთ, რომ, ომის სათანადოდ მომ-
ზადების პირობებში, ძალთა თანაფარდობა „პატარა საქარ-
თველოსა“ და „დიდ რუსეთს“ შორის, სულაც არ შეესაბა-
მებოდა „პატარისა“ და „ბუმბერაზის“ გაგებას.

გენ. გორგი კვინიტაძე

(გენ. კვინიტაძის ეს ნაწყეტი ამოღებულია მისი წიგნიდან:
„მო ვოსპომინანია ვ გოდი ნეზავისიმოსტი გრუზი 1917-1921
იმკა-პრეს, პარიზი 1985.)

*** *** ***

ა გ ვ ი ს ტ ო ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ

1924 წლის აგვისტოს შედეგი დიდი უბედურება იყო საქა-
რთველოსთვის. დაიღუპა უამრავი პატიოსანი ქართველი და
ტანჯვა-წამებას ბოლო არ უჩანდა. ჩეკა უფრო და უფრო
ფარულად იჭერდა ხალხს და ეს ხერხები, გადასახლებისა ცი-
მბირში ან დახვრეტები, იყო ჩვეულებრივი, ხალხისთვის თა-

ვზარდამცემი. თუ უშუალო ახლობელი არ დაგეკარგებოდა, ისიც არ ვიცოდით თუ რამდენი იღუპებოდა და ეს განმავლობაში. სჯიდენ არა მარტო მოწინააღმდეგების, არამედ შესაძლებელ და მათვის საეჭვო პირებსაც. ახალი კიდევ ის ხდებოდა, რომ ნელ-ნელი ხელი მიჰყეს თვით კო-მუნისტების, მათვის არა საიმედო წევრების, თავიდან მო-ცილებას და დახვრეტებს. მტკიცდებოდა ახალი რუსული ბო-ლშევიკური ბიუროკრატიზმი.

შეიქმნა მთელი რიგი დაჩარული და დაბეჩავებული ადამი-ანებისა, სრულიად დაავადმყოფებული. ერთხელ, მახსოვს, ვერის აღმართზე მივდიოდი და ვხელავ ცნობილ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს, დაგას მარტო, ხელებს იქნევს პაერში და მარტო ლაპარაფობს. ვიფიქრე, ვაიმე, ესეც გაგიყდა მე-თქი.

ჯელა გარეჭარი ცდილობდა სარგებლობას. მახსოვს ერთ-ხელ სახლში შემომივარდა მაუზერამოღებული ჩეკისტი ჭი-ათურაში და მითხრა ბინა უნდა ჩამოგართვაო. — როგორ უნდა ჩამომართვა, ეს ოთახი ჩემია - თქო. — შენი დიდხანს იყა, ახლა ჩვენ გვეკუთვნისო.

უნივერსიტეტის კიბეზე შეგხვდი ერთ კომსომოლს, რომელ-მაც მითხრა: „შენ კიდევ ცოცხალი ხარ“-ო.?! მართლაც, ჩემი მოწმობით, სადაც ეწერა: „მიიღო შეიარაღებულ აჯა-ნყბაში მონაწილეობა“-ო, დიდი იმედი არ მქონდა, რომ დიდხანს თავს გავიტანდი და შეეინარჩუნებდი ნაძირალა ელემენტებისაგან, რომლებიც ცდილობდნენ ამღვრეულ წყლ-ში თევზის დაჭერას. მათ არამზადობას საზღვარი არ ჰქო-ნდა!

ჯერ კიდევ ორი კვირა არ გასულიყა აჯანყბიდან, რომ ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა გოგონა, თფილისიდან ჩამოსული და მითხრა: „დაარსდა ახალი კომიტეტი ბ.-ს თავმჯდომარეობით და გვინდა ვიცოდეთ, თუ რამდენი კაცი დახვრიტა ან დაიღუპა ჭიათურაში“-ო. ამ მათმა გამბედა-ობამ და გადაწყვეტილებამ გამაკვირვა. არ მეგონა თუ კი-დევ შესაძლებელი იყა ფარულად მოქმედება. მაშინ მატარე-ბელში მოგზაურობა თფილისიდან ჭიათურაში საშიში იყა. ამიტომაც გამოგზავნეს ახალგაზრდა გოგონა, მაგრამ მეტად კოჩალი.

გადავწყიტე თფილისში წასვლა, თუმცა უნივერსიტეტი

უკვე დაწყებული იყო და მე გამოცდებზე ვეღარ მივეღოთ არ ვიცოდი რა მექნა. თუ ერთი მხრივ, სისასტიკში მომუნდა არ ჰქონდა, მეორე მხრივ, თვით კომუნისტებში, ზოგიერთ მათგანში, გავრცელდა დანაშაულობის გრძნობა და ცდილობდნენ, რაც შეიძლება შეღავათი მიეცათ დაჩაგრულთაოვის. ჩემმა ნათესავმა ჯ.-მ სოხოვა ამირავოვს, რომელიც იყო „საქ. სახელმწიფო ვაჭრობის გამგე“, რომელიც მიდიოდა მოსკოვში, რამე გაეკათობინა ჩემთვის. თურმე ის, ჯ. და ლუნაჩარსკი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს ლიეუიდან (ბელგიიდან), სადაც ისინი იყნენ სტუდენტები. და თი საკვირველებავ! დიდ სახალხო კომისარ ლუნაჩარსკისგან მივიღეთ დეპეშა: „თქვენ მიღებული ხართ რუსეთის უნივერსიტეტში, სადაც გინდათ“-ო. ეს დეპეშა მივიტანე თფილისის უნივერსიტეტში და მაშინვე ჩამწერეს უსიტყოდ და უგამოცდოდ.

თფილისში კამოს ქუჩაზე ვცხოვრობდი. ჩვენ დიდ ბინაში ცხოვრობდა აგრეთვე ანშილევიჩი, რომელიც იყო ქართველი ებრაელი კომუნისტი, მეტად წერარი კაცი და ისედაც სასიამოვნო. მიკვირდა ასეთმა კაცმა როგორ გადაწყვიტა ჩეკაში მუშაობა, თუმცა ის უკვე იქნებან გადაიჭვანეს და მუშაობდა წარმოკავშირში. მე ის სიმპატიურად მექცეოდა, ჟელაცერი იცოდა ჩემზე, მითხრა: „მე პატივს ვცემ ჩვენს გულწრფელ მოწინააღმდეგებს“-ო. ერთ დღეს მომიტანა ერთი შეკვრა წიგნების და მითხრა: „წაიკითხე და არავის აჩვენოო.“ ეს იყო ტროციკის საბჭ. კაგშირში უკვე აკრძალული წიგნი. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ კომუნისტურ პარტიაში შეიქმნა დიდი ნაპრალი.

თვით ქართულ საზოგადოებაში იყო დიდი დაბნეულობა, ორჭოფობა და მერყობა. ამ დროს გამოჩნდა სეით დევდარიანი. ის იყო ყაფილი ერთი მთავარი სოციალდემოკრატთა-განი, განათლებული კაცი, განსაკუთრებით მცოდნე მარქსიზმისა და სოციალისტური მოძრაობისა. მან რუსთველის გამზირზე თეატრში მოაწყო რამდენჯერმე დიდი საჯარო მოხსენება და შეხვედრა. დიდალი ხალხი ესწრებოდა, მეც არცერთ გამოსვლას არ ვაკლდებოდი, მაინტერესებდა ქართ. საზოგადოებრივი ცხოვრების ბეჭილბალი.

სეით დევდარიანს მისი მოწინააღმდეგენი სასტიკად აკრიტიკებდენ, არ სჯეროდათ მისი გულწრფელობა. მისი თემა

იყო: „შევდგეთ საბჭოთა პრატმორმაზეო“, სხვა გამოსავალი არ არის ჩვენი ხალხისთვის. სხვათა შორის სთქვა: „**შემომითვალია: უკავშირობების უძრავისას მივწერე, რას მირჩევ და მან შემომითვალია:** „**სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი**“-ო. მხრები ასწია და არავითარი შემჩნევა არ გააკეთა.

მახსოვს დამიბარა პროფესორმა ერქომაიშვილმა. ის იყო ძეველი კომუნისტი, ახლად დანიშნული პროფესორად თყილი-სში. გამაკვირვა მისმა კეთილსინდისიერებამ. ვილაპარაკეთ გულწრფელად. გაიცინა და მითხრა: „**მე ახლა გეტჟი შენ იმ სიტჟებს, რომელიც მითხრა რუსის ოფიცერმა გურიაში, როცა შენი ხნის ვიუვი, „გადაგასახლებთ და ამით კარიერას გაგიკეთებთო.**“ თანაც დასძინა: „**მე რა სტროფესორო კაცი ვარ, ახლმა ღრმო მოიტანაო.**“

ვატყობილი, რომ ჩემი დარჩენა თყილისში მოულოდნელობებით იყო ჭავსე. თანაც რუსეთში არ მინდოდა წასვლა და სწავლისათვის ყოველთვის ეგროპისკენ მიწევდა გული.

ერთ დღეს, 1925 წლის ივნისის დღეებში, ერთ ამხანაგ-თან ერთად გადავწვიტეთ და ფარულად გამოვედით ოსმალეთში, იმ გზით, რაც დაახლოებით ერთი წლის წინად გამოიარეს ბიძახემმა სიმონმა და გიორგი წერეთელმა.

საზღვარზე ოსმალოებმა დაგვიჭირეს და აგვიჭანეს ართვინში, საღაც სასტუმროში ენახეთ წარწერები იმ ქართველთა, რომლებმაც იქ გამოიარეს. იქ იყო ქაქულა ჩოლოგუშვილი და ბიძახემიც მოხსენებული, სხვა მრავალ ქართველთა შორის, რომლებმაც სამშობლო დატოვეს და უცხოეთში გადმოიხვეწნენ.

ირაკლი ოთხმეზური

*** *** ***

ბავშვობისა და ყრმობის მოგონება

„ვინც რუსის ბეგარაზე მიდის, ის არ იზრდება“—ხლხური

პაპა გიორგი მეუბნებოდა: „**ვინც სამშობლოს ულალატებს, მას სიკვდილის შემდეგ მოსვენება არ ექნება, მის ნაშთს საფლავიდან ამოაგდებენ.**“

1914 წლის აგვისტოში მამიდასთან ვიუვი სოფელ თუშურ-მიშაში, უკვე ერთ თვეზე მეტია. სოფელი სიღნაღიდან 25

კილომეტრზეა. ის აშენებულია ველზე, განიერი ჭუჩებით და მისი სამი მეოთხედი მცხოვრებლები იყვნენ რუსები და ქართველები ბი იყვნენ რუსული „იზბები“, ჩალით დახურული, პელები თეთრი კირით გალესილი. ისინი აქ ჩაასახლეს 1850 წელს. მათ საუკეთესო მიწები ჰქონდათ, სახლის წინ დიდი ეზო-ები ჰქონდათ, მისდევდნენ ხვნა-თესვას. თესლნენ: ხორბალს, სიმინდს და მზესუმზირას, რომელსაც შეექცეოდნენ, როგორც ჯელა რუსები და ხდილნენ საჭმელ ზეთს, რომელიც იყო ძალიან კარგი ხარისხის. სრული იყო სუფთა.

ჩემი მამიდა იქნებოდა 35 წლისა. ლამაზი ქალი იყო, მაღალი, შავგვრემანი, შავი თვალებით და გრძელი შავი თმებით. ის იყო ჩაცმული ძველებურად, ჩიხტა-კოპით თავდახული, რაც ძალიან უხდებოდა. იყო უშვილო. მისი ქმარი ვანო (პრაუნა) გომელაური ლამაზი კაცი იყო, შავ წვერ-ულ-ვაშით და ხუჭუჭი შავი თმებით. ეცვა შავი ჩოხა ხანჯლით. იყო მომღერალი, მოცეკვავე, პოეტი, დიდი მოქეიფე და ზეპირად იცოდა ვეფხისტეოსანი. იყო კარგი მოლაპარაკე. გომელაურები იყვნენ აზნაურები, მირზაანიდან. თუქურმიშაში ჰქონდათ მიწები და ხვნა-თესვას მისდევდნენ. ჩემი ბიძა შეძლებული იყო, მასაც ჰქონდა მიწები, რომელსაც მისი ძმა უვლიდა. ის კი მწერლად იყო თუქურმიშის მამასახლისთან. ყელა ქალლდები და საბუთები რუსულად იყო. პრაუნა გომელაური ძალიან ცნობილი იყო. თუქურმიშის მცხოვრებნი დიდ პატივს სცემდნენ, როგორც ქართველები, ისე რუსები, რაღანაც ის ჯელას ეხმარებოდა ზაველგვარ ოფიციალურ საქმეებში. მოდიოდნენ მასთან თხოვნის დასაწერად თუ სხვა და საჩუქრათ მოჰქონდათ: ქათამი, ჯელი, ხილი და სხვა.

აგვისტოს შუა რიცხვებში ომი გამოცხადდა გერმანიასა და რუსეთს შორის. თუქურმიშაში იყო ერთი რუსული ჯარის გარნიზონი. მანამ ფრონტზე წავიდოდნენ, გამოვიდნენ სოფლის მოედნზე მუსიკით. წარიოთქვა სიტყვები და ხალხმა „ურათი“ გაისტუმრეს. შემდეგ გავიგეთ, რომ მთელი გარნიზონი ფრონტზე მისვლის პირველ დღესვე გერმანელთა ტყიისმფრქვევლისაგან იყვნენ დახოცილნი.

მე დავიბადე სოფ. გურჯაანში 1905 წლის თებერვალში, რუსეთის პირველი რევოლუციის წელს და ალბათ ამიტომ დამეკვება: ომები, დამატება, განთავისუფლება...



პაპაჩემი—მიხა თარაშვილი იყო მევენახე და ვაჭალის უკუცულებელი რჯაანში. მას ჰყავდა ერთი ვაჟი და ქალი. მამაჩემი მამა ნომ დაამთავრა სიღნაღის სემინარია. მას უნდოდა თბილი—სში წასვლა, იქ ემუშავნა რკინისგზაზე, საღაც მისი ბიძა—შვილი მუშაობდა. მამამ ნება დართო, მაგრამ დედქ უარი უთხრა, ისე რომ გურჯაანში დარჩა საბოლოოდ. და გაითხოვა მისი სკოლის ამხანაგზე ვანო გომელაურზე, რომელიც მწერლად იყო გურჯაანში მამასახლისთან, თვითონ კი დე—დასთან ერთად გააგრძელა მევენახეობა და ცოლად შეირთო ნინა ჯილაური სოფ. პატარძეულიდან. ჩემი დედის მამიდა იყო გურჯაანის მღვდლის ახლუშენიშვილის ცოლი და მისი საშუალებით დედამ გაიცნო მამაჩემი.

ოჯახში საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ მამა გარდაიცვალა ფილტვების ანთებით. მე მაშინ ხუთი წლის ვიზ ავი, მამის სახე არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ მითხრა: „მიშა, იყავ დედაშენის მორჩილი და მას მოუარე, მპირდები?“ — ხო, უპასუხე მე. მე მაშინ ვერ გავიგე თუ რა ხდებოდა. საწყლი მამა მეორე დღეს გარდაიცვალა **30** წლისა. დედამ, რომელიც სულ ახალგაზრდა და გამოუცდელი დაქვრიცდა, ჩვენ, შვილებს (მე და ჩემი და, რომელიც **4** წლით უმცროსი იყო ჩემზე) შეგვწირა თავისი ახალგაზრდობა. ის ენერგიულად გაუძღვა ოჯახს. გვყავდა ერთი მოჯა—მაგირე წლიურად და ერთი მოსამსახურე ქალი.

სამი ვენახი გვქონდა: ერთი, ნახევარი დესეტინა, რომელსაც შინა ვენახს ვეძახდით, სახლიდან **300** მეტრზე იყო, მეორე ნახევარი დესეტინა,—ერთ კილომეტრზე იყო და მესამე, ორი დესეტინა ნახევარი, სახლიდან ორ კილომეტრზე მდებარე. გარდა ამისა გვქონდა მიწები და ტყ ერთი დესეტინა ალაზნის ნაპირად.

მე ზამთარში დეიდებთან ვცხოვრობდი, რაღანაც თბილი—სში ვსწავლობდი, სათავადაზნაურო გიმნაზიაში ვერაზე, საღაც ეხლა უნივერსიტეტია. მოწაფეები ვიჟავით ქალები და ვაჟები. ქალები იჯნენ პირველ სართულზე და ვაჟები—მეორე და მესამეზე. პირველი კლასიდან მერვემდე ორ—ორი კლასი იყო, ე. ი. სულ **16** კლასი. ჩემთან სწავლობდა ჩემი ბიძა საშა ჯილაური, რომელიც ჩემზე უფროსი იყო და ერთი კლასით ჩემზე წინ. ორივეს ერთნაირად გვეცვა და ძმებს გვეძახდნენ ამხანაგები.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ყ მ ფ ი ლ ე ბ ა



ს ა ნ დ რ ო ბ ა რ ა თ ე ლ ი

პარასკევის 29 ნოემბერს ნიუ-იორკში, მძიმე და ხანგრძლივი ავაღმ-ჭაფობის შემდეგ, გარდაიცვალა შე-ერთებულ შტატებში დასახლებული და დასავლეთში კეთილი ქართველი მამულიშვილის სახელის მომზვევი, ბატონი სანდრო ბარათელი, იგივე კოკი პიტაგა.

საღი გონების, თბილი გულისა და შესანიშნავი გუნების ვაჟკაცი, ბატონი სანდრო დიდი ხნის მანძილზე გახლდათ შ. შტატების ქართ. სათვისტომოს თავმჯდომარე, იმ ოგანიზაციისა, რომელიც უწევდა მეურვეობას ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა ორ კეთილშობილ საქმეს: სპერაკად იქნეს შენახული ქართული სულისა და ქართული კულტურის საუკეთესო მემკვიდრეობითი ტრადიციები, და ყაველგვარი დახმარება პქნონდეთ გაწეული ჩევნს ახლადმოსულ თუ გაჭირვებულ თანამემამულებს. სწორედ ამ პატიოსანი და კეთილი ზრახვების შუქით ბრწყნავდა სანდროს თვალები მისი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე.

ვინ არ იცნობდა მას! ვის არ იცნობდა იგი თვითონ! რა არ უნახავს მას ცხოვრებაში!..

თუმცა ერთი სანუკვარი ოცნება კი გაუვა მას სამარეში: საკუთარი შვილების ნახვა, საკუთარი შთამომავლობის სახლის ჭირის ქვეშ მიპატიუება. ვაი, რომ არ აუხდა იმ მიზეზების გამო, რომელთაც არც კი გინდა სახელი უწოდო.

ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა დაკარგეს დიდი მეურვე, მეგობარი და საამაყო ქართ. მამულიშვილი, ჩევნ დავდარგეთ უფროსი ძმა და ერთგული მეგობარი და ეს მცირე გამოსახოვარი მინდა დავამთავრო ლექსით, რომელიც მას ხუთი წლის წინად მივუძღვენ და, რომელიც მას განსაკუთრებით მოსწონდა:

მე შენ ბიძია უნდა გიძახო,



რადგანაც ჩემი ბიძის ხნისა ხარ.
 მაგრამ შენ ჩემთვის უფროსი ძმა ხარ,
 ძმა ისეთი რომ მე ვიტრაბახო.

ვიტრაბახო რით, ან რისთვის, რატომ?
 შენ სამსონი ხარ ან ჰერკულესი?
 რუსთაველი ხარ, ანდა სოკრატე,
 თუ შენ დაიხსენ ევროპა მარტო?

არა, შენ არ ხარ არცერთმათგანი
 ლეგენდარული საქმეთა მქნელი
 და არც უდიდეს ეპოსთ დამწერი,
 შენ ხარ უბრალო ადამიანი.

დიზე, უბრალო, ღვთისნიერი ადამიანი;
 საამხანავო, საძმო, საბიძო;
 სულ მუდამ სანდო, თანაც ერთგული,
 მუდამ გულუხვი, პატიოსანი, ბარაქიანი.

ამიტომ მინდა დაცლა ამ ყანწის,
 შესმა ღვინისა სადღეგრძელოთი,
 ქართველი დედის მიერ შობილი
 უბრალო, მაგრამ კაცური კაცის.

ლადო ბაბიშვილი

გამოსათხოვარი სიტყვა
 (შემოკლებით)

ძვირფასო თანამემამულენო, პატივცემულო საზოგადოებავ!
 დღეს სამუდამოდ ვემშვიდობებით ჩვენს თანამემამულეს,
 ჩვენი სამშობლოს თავდადებულ პატრიოტს, ჩვენს ძვირფასს
 სანდროს (გიორგი მიხეილის ძე პიტაგოს).

დაუგიშურ სანდროს მე კაგად ვიცნობდი. მასთან მე და
 გრევი ფორაქიშვილმა დავჭავით 23 წელი და ჩვენი საერთო
 შრომით გამომუშავებულ ღუკმას ერთნაირად ვინაშილებდით.
 სანდრო იყო უაღრესად პატიოსანი, კულტურული, პურმარი-
 ლიანი, შემწე და დამხმარე ადამიანი.

სანდროს საქართველოში დარჩა ორი შვილი: ქალი და ვა-

უი, ძმა, დები და შვილიშვილები, რომლებსაც სანდრო უნ-
ვიდ ეხმარებოდა. რამდენჯერ ჩვენთვის უთქვამს: უნდა გადა-
ავტომანქანის ჭადვის უფლება არა მაქვს, რადგან უნდა გად-
ლებს და ნათესავებს ესაჭიროება ჩემი დახმარება.“

სანდრო მამით ადრე დაობლებულა და მცირებულოვანს და-
სწოლია ოჯახის მოვლა-პატრონობა. მეორე მსოფლიო ომის
ტჲლამ, როგორც ჩვენ, ისე გიორგი (კოკი) პიტავაც უცხო-
ეთს გადმოისროლა და უსამართლობამ ის აიძულა, რომ სან-
დრო ბარათელად გადანათლულიყა და აქ, ემიგრაციაში მას
იცნობდნენ როგორც სანდრო ბარათელს.

ამ უკანასკნელ 7½ წლის განმავლობაში ჩვენი ძვირფასი
სანდრო ხელმძღვანელობდა ჩვენ ქართულ კოლონიას. ამ ბო-
ლო დროს უმკურნალო სენმა ის აიძულა, რომ დაეტოვებია
სათვისტომოს ხელმძღვანელობა და, როგორც ვხედავთ, დღეს
ის ამ სენმა სამუდამოდ გამოგვაცალა: „ამბობდენ: ღამის წუ-
კიდიადში გლოვის სანთელი დნებათ, არსება ასე ქმნილია,
შობილი ზელა კვდებათ“ და ამ ღმერთის თუ ბუნების კა-
ნონს ჟელანი ვემორჩილებით და ასე დაემორჩილა ჩვენი
ძმა-მეგობარი კოკი პიტავაც. და დღეს კი ძვირფასო სანდრო,
როგორც შენი მეუღლე ილზე, ისე შენი მეგობრები და ნაც-
ნობები გემშვიდობებით სამუდამოდ და შენი ხსოვნა მუდამ
დარჩება ჩვენში. „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი და-
გიდგეს“-ო.

მშვიდობით :

გიორგი მორალიშვილი

ს ე რ გ ო დ ო ნ დ უ ა

1985 წლის 31 დეკემბერს, პარი-
ზში, უეპრად გარდაიცვალა სერ-
გო ღონდეთა, რომელიც დაიკრძა-
ლა ლევილის ქართ. სასაფლაოზე.
სერგოს მეგობრებმა კარგად ვი-
ცით ამ თავმდაბალი და, უთუოდ,
კეთილშობილი ადამიანის ვინაობა
და ვფიქრობთ: მისი ცხოვრება
და საზოგადოებრივი საქმიანობა
ყოველი ქართველისათვის, განსა-
კუთრებით ემიგრაციული მძიმე



ცხოვრების პირობებში, მაგალითის მომცემია.

სერგო დონდუა იყო საფრანგეთის ქართული საფრანგეთის თავმჯდომარის მოადგილე და მის საზოგადოებრივ როვალეობას ის ასრულებდა ისეთივე საქმისადმი სიყვარულით და ეროვნული შეგნებით, როგორც მის პარტიულ მოვალეობას. სერგო დონდუა იყო საქ. სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი და საფრანგელი მეცნარი, რომელიც საქმეში იჩენდა პრინციპულობას, მაგრამ ისეთივე ჰუმანიური იერით, რომ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეც აღიარებდა მის გულწრფელობასა და საქმისადმი ერთგულებას.

1953 წელში, მაგალითად, პარიზში დაარსებული იქნა „ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია“, რომლის ერთერთი ინიციატორი სერგო დონდუაც იყო. გასაგებია, რომ მასში თავი მოიყრა სხვადასხვა მსოფლედვისა და რწმენის ახალგაზრდებმა, რომლებიც იდგნენ 26 მაისის იდეაზე, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენის პოზიციაზე. და, ახლა შეიძლება ითქვას, რომ ს. დონდუამ მეტად შეუწყო ხელი ამ ორგანიზაციის არსებობას თავისი ბუნებრივი მონაცემებით, რადგანაც ის ეძებდა შემაყვანილებელ ელემენტებს და არა გამოიშველს.

ანალოგიური იყო ს. დონდუას საქმიანობა „ნოე უორდანიას სახელობის წრეშიც“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ნოე უორდანიას და საერთოდ საქ. დამოუკიდებლობის ფუძემდებელი თაობის ცხოვრებისა და მოლგაწეობის შესწავლა, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის შესწავლა და მით ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა საქ. განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ სერგო დონდუა წარმატებით მოქმედებდა არა მარტო საზოგადოებრივ, არამედ მის ოჯახურ სფეროშიც. ის ადრე დაობლდა მამით და დონდუების ოჯახის, რომელიც დედისა და ოთხი ძმისაგან შედგებოდა, წინამძღვრობა მას ერგო, როგორც უფროსს და ეს წინამძღვრობა მან ბოლომდე ერთგულად და სიყვარულით შეასრულა. ოთხი ძმა დონდუა სიამავე იყო ჩვენი საზოგადოების. ოთხივე სპორტსმენები განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ ფეხბურთს და ერთ ხანს დონდუას გვარი ამ მხრით შორს გაცდა ქართულ საზოგადოებას და ფრანგებისთვისაც ახლობელი გახდა. ჩვენს დღეობებსა და დღესასწაულების დროს დაცოლშვილე-

ბული ძმები დონდუები, რომ მავიდას გაშლიდნენ და ბეჭინ-ერ დედას შუაში ჩაიჯენდნენ, ერთ სანახავად მასტურაციები ღირდა... რამდენიმე წლის წინად ერთი ძმა ლევანი ულიანი ღდ გარდაიცვალა. 5 წლის თავზე, 1979 წლის აგვისტოში ლევილის მიწას მივაბარეთ უაღრესად სათნო დონდუების დედა ქალბატონი ლიდია. ახლა კი სამუდამოდ ვეთხოვებით ჩვენს მეგობარ სერგოს, რომელმაც პირნათლად მოიხადა ოჯახისა და საზოგადოების წინაშე, და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მონაწილეობა მივიღოთ სერგოს მეუღლისა და ოჯახის მწუხარებაში.

საუკუნო იყოს ხსენება მჰაი!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 8.12.85.

*** *** ***

ა ნ ტ ო ნ ი დ ა ი ა ს თ ნ ი,
როგორც მე მათ ვიცნობდი

ანტონ ბაინდურაშვილი გავიცანი 1945 წლის მაისში ქ. სალტიურგში (აგსტრიი). ის თვითონ მოვიდა ჩემთან, გამაცნო თავისი თავი და მეგობრობა შემომთავაზა. ერთი თვე ვიცხოვრეთ ერთ ოთახში, ბომბებისგან დაზიანებულ შენობაში, მერე კი იმავე შენობაში ორი ოთახი გაემართეთ და შიგ ვცხოვრობდით: ანტონი პირველ და მე მეორე სართულზედ.

ანტონი იყო მომცრო ტანის, გამხდარი, მაგრამ მეტად ენერგიული, გამრჯე და ბეჯითი ადამიანი, ბუნებრივი ხუჭუჭი თმით.

მერე გავიცანით იასონ იორდანიშვილიც და ჩვენ სამნი ჩქარა დაგმეგობდით. ვინაიდან ჩვენ ეს სახლი უნდა გაგვინთავისუფლებია, ანტონმა აღმოაჩინა ქალაქის განაპირა ნაწილში ბომბებისგან დაზიანებული და სახურავმოგლეჯილი სამსართულიანი შენობა. სახლის პატრონისგან ნებართვა აიღო, რომ შეგვეკეთებინა და შიგ გვეცხოვრა. ანტონმა იშოვა სახურავი თუნუქი, მოატანია კიდეც და ჩვენ ორმა დაგხურეთ მთელი სახლი, ექვსი ორ ოთახიანი ბინებით. ანტონმა აიღო ბინა პირველ სართულზე, მე კი მეორე სართულზედ. ჩვენ უკვე შიგ ვცხოვრობდით, როდესაც მოვიდა იასონი და ერთი ოთახი მოხვა. მეც უფლებანოდ დავუთმე, ცხადია. ჩქარა მთელი სტანი გაივსო ჩვენისთანებით.



მას შემდეგ ჩვენ ხშირად ვმუშაობდით ერთად: ბარატეშვილები შეკეთება, ახალი ბარაკის დაზღმა, სტადიონის სკამის მოშორება და სხვა. ყველაფერი ეს ხდებოდა ანტონის ხელმძღვანელობით, მას ხის სამუშაო და საკალატოზოც კარგად ემარჯვებოდა. იასონს უძნელდებოდა ფიზიკურად მუშაობა, მაგრამ ჩვენ იოლად გაგვავდა. იასონი როგორლაც ქართველებს ნაკლებად ეკარებოდა. ჩემს შენიშვნაზე მითხრა: „რათ მინდა, თუ ახაფერი ჩამახიეს, არაფერს ჩამაკერებენო.“

ერთხელ მე თვითონ დავისწარი ასეთ ამბავს: რაღაცისთვის საჭირო იყო ფულის შეგროვება. იასონმა მაშინვე ჯოილო ჯიბიდან. ერთმა უთხრა: „ბიჭო იასონ, დადე ჩემთვისაც და მერე მოგცემო.“ მეორემაც ასე უთხრა. არც იმას უთხრა იასონმა უარი. მერე მე ვკითხე ბისონს: „ნუთუ ისე არიან, რომ ჯიბეში ფული სულ არა აქვთ?“ იასონმა მიპასუხა: „ფული კი აქთ, მაგრამ ერთმანეთისა ეშინიათ, რომ გამოაჩინონ.“ ეს იყო ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. თვით იასონი მეტად სულგრძელი იყო: თუ კი რამე გააჩნდა, უარს ვერ ეტყოდა. საჭმელს იკლებდა, მაგრამ უპაპიროსოდ ვერა ძლებდა, „სოროკს“ კი სულ სხვები სთხოვდნენ. თუ ბოლომდე არ მოვწიე პაპიროსი, თითქოს სულ აარ მომიწევნიაო, იტყოდა ხოლმე ნაღვლიანად.

ამას მე ვწერ ჟოველგვარი პოლიტიკის გარეშე. ემიგრაციაში ყოფნა განსაკუთრებით ძნელი იყო და არის კიდეც მათ-თვის, ვინც სახლში ცოლ-შვილი დატოვა. იასონიც და ანტონიც ამ კატეგორიას ეკუთვნონდნენ.

იასონი ჩქარა საფრანგეთში წავიდა, მაგრამ მასთან მიმოწერა უკანასკნელ წლიდე არ შემიწყვეტია. ძალიან უხაროდა რამოდენიმე წლის წინ ვაჟიშვილი რომ ეწვია, მაგრამ მერე ნაღვლიანათ მწერდა: „შვილმა მითხრა: „მშა მიუდე მანქანა და ნელ-ნელა გადაიხადე პენსიიდან.“ მე კი ვუთხარ: „პენსია მეც ძლივსა მყოფნის, როგორ შემიძლია მანქანის საფასური გადავიხადო.“ ალბათ ეს ეწყნა და წერილს აღარ მწერს.“ 1984 წლის თებერვალში გახარებული მწერდა, თავს კარგად ვვრძნობ, სახლების მშენებლობის მოწმობა ავიღე, ხალხს ვამუშავებ, მე კი ორგანიზაციის გავუკეთებო, და სხვა... ეს იყო და ეს, მერე იასონისა აღარაფერი ვიცოდი. ანტონს ყველაფერი საჭმე ეხერხებოდა. სალცბურგში ქართველებს ჩინგურიც კი გამოუთალა. მერე ის თავისთვის კარგად ვვრძნობ, სახლების მშენებლობის მოწმობა ავიღე, ხალხს ვამუშავებ, მე კი ორგანიზაციის გავუკეთებო, და სხვა... ეს იყო და ეს, მერე იასონისა აღარაფერი ვიცოდი. ანტონს ყველაფერი საჭმე ეხერხებოდა. სალცბურგში ქართველებს ჩინგურიც კი გამოუთალა. მერე ის თავისთვის



ვის მუშაობდა. თუ ვინმეს რამეს გაუკეთებდა და ფულები არ ჰქონდა, არც არაფერს ართმევდა. თავიდანვე ვამწრუტყდა მისწრაფებას რელიგიისადმი: სამუშაოზე რომ მივლიდან მიაჟუდებდა ველოსიპედს, შევიღოდა ეკლესიაში და ორიოდე წუთის შემდეგ ისევ გამოვიდოდა. ერთხელ ანტონი და მე სოფლად წავედით მატარებლით. უკან დაბრუნებისას გადავ-წყვიტეთ მოკლედ მოგვერა, ნაძვის ტუთ დაფარული გორე-ბზე გადმოვლით. ანტონი უკან ჩამორჩა, ავდიგარ მეორე ვორის აღმართზედ, მზე უკვე კარგად გადახრილი იყა, მწ-ვერადს მივაღწია, უცბად შემომესმა ქართული სიმღერა: „მთამ ეგ არა სთქვა ბაჩანავ, როგორაც შენა გვონია, მისი ნათქვამი, ნაგრძნობი მე სულ სხვა გამიგონია...“ ანტონის ეს სიმღერა ისეთი ტკბილი იყა, ისეთი სასიამოვნო, რომ საქართველოს გარეშე მე ასეთი მშობლიური და სასი-ამოვნო არა არ გამიგია. თითქოს ბუნებაც სულგანაბული უსმენდა მის სიმღერას. არავითარი სხვა ხმა არ მოისმოდა. ანტონი უფრო და უფრო სერიოზულად ცდილობდა თავისი რელიგიური მე ეპოვნა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიეკვლია, რასაც ის ეძებდა. ამასობაში ის სახლიც უნდა გაგვენთავი-სუფლებინა და ქალაქის ცენტრში გადავედით, ამჟამად სხვა-დასხვა ადგილზედ.

ერთ კვირა დღეს ვეწვიე ანტონს, ეზოში მომეგება, მთე-ლი სახე უბრწყნავს. რაღაცა განსაკუთრებული რამე უნდა იყას, გავიფიქრე მე. მოკლე საუბრის მეტე შეუბნება, რომ „მან უკვე იპოვნა ის, რასაც ეძებდა.“ ე. ი. იპოვნა ის რე-ლიგიური ორგანიზაცია, რომელიც მის ოცნებას და მისწრა-ფებას შეესაბამებოდა. ამის შემდეგ ანტონი **100%-ით** რელი-გიურ საქმიანობას მიეცა....

მე **1951** წელს წამოვედი აშერიკაში, ანტონი კი სალცბუ-რგში დარჩა. **1964** წელს მეწვია ნიუ-იორკის შტატში და მერე კი იგი აღარ მინახია, საფოსტო კავშირი კი ბოლომ-დე არ გაგვიწვერია.

რჩდენადაც ვიცი, იასონი გარდაიცვალა **75** წლისა, ანტო-ნი კი-**79** წლისა. მშვიდობით ანტონ! მშვიდობით იასონ! მე თქვენი დაღუპვის ამბავი თითქმის ერთდროულად გავიგე. თქვენი მეგობრული სიობო მე ბოლომდე გამჟვება....

ვახტანგ საჭარელიძე

მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ ი თ :

1985 წ. ზაფხულში არგენტინის დედაქალაქში გარდაიცვალა გრიგოლ ბუაძე.

1985 წ. ზაფხულში საფრანგეთის ქ. ლეონიანში (უირონდის დეპარტმენტი) გარდაიცვალა ნიკოლოზ მილორავა.

1985 წ. 29 ნოემბერს ნიუ-იორკში გარდაიცვალა შეერთებული შტატების ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე სანდო ბარათელი (გიორგი[კოკი] პიტავა)

1985 წ. 27 დეკემბერს ქ. ისი-ლე-მულინოში (პარიზის გარეუბანი) გარდაიცვალა ლონგინოზ ბესელია და დაიკრძალა ქ. კლამარის სასაფლაოზე.

1986 წ. 2 იანვარს პარიზში გარდაიცვალა ქალბატონი ნინო მდივანი და დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

1986 წ. 12 იანვარს ქ. ბანიოში (პარიზის გარეუბანი) გარდაიცვალა ქალ. ელისაბედ გუნიასი, დაბადებული კოლინი და დაიკრძალა ბანიოს კომუნალურ სასაფლაოზე.

1986 წ. 13 იანვარს პარიზში გარდაიცვალა ქალ. მანია ბოლევაძისა და დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

1986 წ. 14 იანვარს პარიზში გარდაიცვალა გრიგოლ (გრიშა) ბარამიძე და დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

1985 წლის 14 იანვარს პარიზში გარდაიცვალა კონსტანტინე (კაკო) ალშიბაია და დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

და სამძიმარს ვუცხადებთ მა დამწუხრებულ ჭირისუფალთ.

ა რ ნ თ ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა
 უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ნ ა მ დ გ ი ლ ი
 პ რ ო ფ უ ბ რ ი ს მ ი ს ი დ ა ა რ ს ე -
 ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ შ ე ლ ს შ ე ვ ი დ ა ი ქ
 ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ დ ა დ ა მ ა მ თ ა ვ რ ა

1985 წ ლ ი ს 9 ნ ი ე მ ბ ე რ ს ს ა მ -
 შ მ ბ ლ ი შ ი გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა დ ი დ ი
 ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ი , ა კ ა დ ე მ ი კ ა ს ი ,
 პ რ ო ფ ე ს ო რ ი ა რ ნ თ ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა -
3 ა .

გ ა ნ ს ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ი ყ ა თ ბ ი ლ ი ს -
 ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ნ ა მ დ გ ი ლ ი
 პ რ ო ფ უ ბ რ ი . ი ს მ ი ს ი დ ა ა რ ს ე -
 ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ შ ე ლ ს შ ე ვ ი დ ა ი ქ
 ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ დ ა დ ა მ ა მ თ ა ვ რ ა
1922 წ ე ლ ს . ი ქ ვ ე ი ქ ნ ა დ ა ტ რ -
 ვ ე ბ უ ლ ი ს ა პ რ ო ფ ე ს ო რ ი დ მ ი ს ა მ -
 ზ ა დ ე ბ ლ ა დ დ ა ჩ ვ ე ნ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი -
 ტ ე ტ ი ს კ უ რ ს დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ თ ა
 შ მ რ ი ს მ ა ს პ ი რ ვ ე ლ ს მ ი ე ნ ი ჭ ა
 დ ო ქ ტ რ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი დ ა 6 ა თ ე -
 უ ლ ი წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ი ბ ა შ ი ნ ი ჭ ი -
 ე რ ა დ დ ა ბ ე ჯ ი თ ა დ მ უ შ ა კ ი ბ დ ა შ მ ო ბ ლ ი უ რ ი ე ნ ი ს ყ ა ნ ა შ ი .

ა რ . ჩ ი ქ მ ბ ა ვ ა ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ი ს ს ფ ე რ ი ს შ ე ა ღ გ ე ნ დ ა
 ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი დ ა მ თ ი ს ი ბ ე რ ი უ ლ - კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ე ნ ე ბ ი , მ ა თ ი
 ნ ა თ ე ს ა უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ი ე ბ ა , ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ე ნ ი ს
 კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი , მ ი ს ი ს ტ ი რ ი ა , „ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ს ნ ი ს ე ნ ა
 დ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა . ი ს ა ვ ტ ი რ ი ა 400-მ დ ე დ ა ბ ე ჭ ი ლ ი მ ე ც ნ ი ე -
 რ უ ლ ი შ რ მ ი ს , რ მ ე ლ თ ა გ ა ნ 15 ც ა ლ კ ე შ ი გ ნ ა დ გ ა მ რ ც ე მ უ -
 ლ ი დ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ე ნ ე ბ შ ე თ ა რ გ მ ნ ი ლ ი ს ა რ გ ე ბ ლ ი ბ ს დ ი დ ი
 ა ვ ტ ი რ ი ტ ე ტ ი თ .

ა რ . ჩ ი ქ მ ბ ა ვ ა ს ს ა ხ ე ლ ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ უ კ ვ დ ა ვ ჭ ა ფ ს : 1 .
 რ ე ა ტ რ მ ა დ გ ა მ რ ც ე მ უ ლ ი „ ქ ა რ თ უ ლ ი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ლ ე ქ ს ი კ ო -
 ნ ი , რ მ ლ ი ს მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ რ ი ც ი ს ბ რ ძ ა ნ დ ე ბ მ დ ა დ ა 2 .
 მ ი ს ი თ ა ი ს ნ ი ბ ი თ ს ა ქ . მ ე ც ნ ი ე რ ა ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა ს თ ა ნ ჩ ა მ ი ყ -
 ლ ი ბ ე ბ უ ლ ი ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ - კ ა ვ კ ა ს ი օ ლ ი გ თ ა ს ა კ ა ვ შ ი რ ი მ რ გ ა ნ ი
 „ ი ბ ე რ ი უ ლ - კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს „ შ ე ლ ი შ დ ე უ ლ ი “ , რ მ -
 ლ ი ს უ ც ვ ლ ე ლ ი მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ რ ი ც ი ს კ ვ დ ი ლ ა მ დ ე თ ვ ი თ
 გ ჭ ლ დ ა თ დ ა რ მ ე ლ მ ა ც გ ა მ ი ს ც ა თ რ მ ე ტ ი ტ რ მ ი .
87 წ ლ ი ს ა ს ა კ შ ი , დ ი დ ი შ რ მ ი თ დ ა ლ ი ლ - დ ა ქ ა ნ ც უ ლ ს , დ ი ა -
 ხ ა ც , მ ი ს ვ ე ნ ე ბ ა ე ს ა ჭ ი რ ე ბ მ დ ა . გ ვ ჯ ე რ ა , რ მ მ ი ს შ მ ი ბ ე -



1922
 უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს ნ ა მ დ გ ი ლ ი
 პ რ ო ფ ე ს ო რ ი ა რ ნ თ ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა



ლი ქართველი ხალხი მადლიერებით მოიგონებს არნულ ქართველ ქობავის სახელს. ამ ქვეყად, ხოლო მამაზეციერი პატარებულ ველს დაუმკვიდრებს მას იმ ქვეყად.

ბ ა ვ შ ვ ი ბ ი ს ა დ ა ყ რ მ თ ბ ი ს მ ო გ ო ნ ე ბ ა (გვგრძელება. დასაწყისი 61 გვერდზე)

ომი დაიწყო. ჩემი ორი ბიძა ჯარში გაიწვიეს. უფროსი გიორგი, რომელიც მასწავლებელი იყო პატარძეულში, ოფიცერი გახდა, ქ. ტუაპსეში იყო ახალშვეულთა მოსამზადებლად და მთელი ომის განმავლობაში იქ დარჩა. მეორე ბიძა ლუკა 18 წლისა, საბალო სასწავლებლიდან გამოიყარეს და ორი წლის განმავლობაში სამაღლეთის ფრონტზე იბრძოდა, როგორც ტჭიის მფრძვეველი.

1917 წელს დიდი ვაჟები მოხდა. ლაპარაკობდნენ რასპუტინზე, რევოლუციაზე, იმპერატორის დაჭირა-მოკვლა-რესპუბლიკის დაარსებაზე. რუსეთს კოალიციური მთავრობა პარტიი ებისა მართავდა. სოციალისტები მასში მონაწილეობდნენ, ბოლშევკიები იუვნენ იპოზიციაში. ოქტომბერში ბოლშევკებმა ლენინის მეთაურობით გადატრიალება მოახდინეს, კერენსკის მთავრობა გაიქცა, მთელი რუსეთის ჯარი დეზერტირებად გახდნენ.

1918 წლის მაისში საქართველოში სამეცნიერო შემოვიდნენ გერმანული ჯარები. მათ შემოყვა ქართული ლეგიონი, ლეონ კერესელიძის მეთაურობით, რომელიც ომის განმავლობაში სამაღლეთის მხრიდან იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ.

26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მოხდა არჩევნები. ქართული საზოგადოება არ იყო მზად, ასე უცებ რუსების დაცემაზე. არავითარი სხვა პარტიული ორგანიზაციები არ არსებობდა, გარდა სოციალისტურისა. არჩევნებიც სოციალისტებმა მოიგვეს და პრეზიდენტა-დაც-სოციალისტი ნოე უორდანია აირჩიეს.

გერმანელები დამარცხდნენ და მალე მათ საქართველოც დასტოვეს. ისინი შეცვალეს ინგლისელებმა. ინგლისელები მოვიდნენ როგორც დამპტონბელები: უხეშნი, ამპარტავნები. ერთი მათი ნაწილი რუსთაველის გამზირზე ცხოვრობდა თავიათ საცვლებს ჩვენი დედაქალაქის ამ მთავარ ქუჩაზე აშრობდნენ. ცუდად ექცეოდნენ მეტადრე ქალებს, რისთვი-



საც ზოგიერთმათგანს ქართველებმა სცემეს.

ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ დღესასწაულში უნგრეთის ვესტარ, რადგანაც ლოვინში ვიყავ, ისპანური გრივით, 40 გრადუსი სიცხით, მაგრამ 1920 წლის 26 მაისის დღესას-წაულზე დავესწარი, როგორც მოწაფე და მოვარდიშე. აქ იყნენ თბილისის ფელა გიმნაზიების წარმომადგენლები. მშენებელი დღე იყო, ძალიან ბევრი ხალხი დაესჭრო. ეს იყო ვერაზე, დღვენდელი უნივერსიტეტის იქით, ვერისაკენ. ვარჯიშობა, სიმღერები და სხვა, ჟველაფერი კარგად ჩატა-რდა, მაგრამ დაშლის დროს უცეფ დაიჭირა, რამდენიმე წუ-თში ცა შავი იყო, დაწყო კოკისპირული წვიმა, არეული სეტჭითა და ქარიშხალი. ეს იყო უკანასკნელი 26 მაისი.

ალბათ ინგლისელებთან კარგად არ იყო საქართველოს სოცი-ალისტური მთავრობა. მახსომს ხშირად დემონსტრაციებზე მივჰვდით მოწაფები. ხელში გვეჭირა დროშები და ლოზუ-ნგები: „შორს ხელები ბათუმიდან!“, „იმპერიალისტები!“ და სხვა. იმდენი ვიბლავლეთ ცხვრებივით, რომ ინგლისელებმა დატოვეს საქართველო და რუსებს უთხრეს: „ჩვენ საქართ-ველო არ გვაინტერესებსო.“ რამდენიმე თვის შემდეგ რუსე-ბი დაესხნენ თავზე საქართველოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მიხეილ თარაშვილი

*** *** ***

უნგრეთის „ნორმალიზაციის“ 29 წლისთავი

„თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრელების“ და „უნგრეთის რევოლუციის კაფილ მებრძოლთა“ საზოგადოებების თაო-სნობით, გასულ ოქტომბერს პარიზში ჩატარდა 1956 წლის უნგრეთის რევოლუციის მოსაგონარი დღეები: 23 ოქტომბერს ჟავილებით იქნა შემკობილი საფრანგეთის უცნობი ჯარის-კაცის საფლავი და შესრულებული იქნა ცეცხლის ანთების საპატიო ცერემონია, ხოლო 26 საღამოს პოლონელების სახ-ლში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის თანა-თავმჯ-დომარეთაც ორგანიზატორების მიერ მიწვეული იყო ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე თამაზ ნასყდაშვილი.

კრების თავმჯდომარემ, „თავისუფლებისათვის მებრძოლ უნ-გრეთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ და ბუდაპეშტის რე-ვულუციის გმირმა, ბატონმა ოუენ სუჟანსკიმ კრების გა-

ხსნისთანავე, ფეხზე დღომით მხურვალე დიდება შეასცეული საბჭოთა დამსჯელი ჯარების იმ ქართველ მხედრულ ლეგიონების უარი თქვეს ესროლათ 1956 წლის აჯანყბულ უნგრელებისათვის, რის გამოც ისინი სასტიკად დაისაჯნენ.

მიტინგმა დიდი პოლიტიკური პათოსით ჩაიარა, გამოსულ-მა ორატორებმა წუმლა-კრულვით მოიხსენიეს ხალხთა თავისუფლების მკვლელი საბჭოთა ხელისუფლება. კრებაზე განსაკუთრებით მგრძნობიერი სიტყვა წარმოოქვა ბ. თ. ნასყდა-შვილმა, რომლის მხოლოდ შესავალ ნაწილს ვთავაზობოთ ჩვენს მკითხველებს.

თამაზ ნასყდაშვილის სიტყვა

ნება მიბოძეთ სულ პირველად მოგახსენოთ ის, თუ რა დიდი პატივია ჩემთვის, რომ ვლებულობ მონაწილეობას უნგრეთის 1956 წ. აჯანყების ხსოვნის აღნიშვნაში და აგრეთვე ის, თუ როგორ მღელვარებას განვიცდი. ამ მღელვარების მიზეზი არაერთია: უპირველესად, რადგანაც—იმ დროს სტუდენტი— მე აღფრთვანებული ვიყავი ამაყ და მამაცი ხალხის იმ არაჩვეულებრივი აბობოქრებით, ხალხის, რომელიც დაჯერებული თავის დიდებულ წარსულში და თავისი მისწრაფებების სამართლიანობაში, ერთსულოვნად აღსდგა უცხო დამპყრობლებისა და შინაური სეიდების შინააღმდეგ. შემდგომ, მღელვარება მიპყრობს იმის გამო, რომ ვარ საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე და, როგორც ბატონმა სუჯანსკიმ რამდენიმე წუთის წინ გაგვახსენა,

საბჭოთა ჯარში, რომელსაც რეპრესია ევალებოდა, იუვნენ ქართველებიც. იმ ახალგაზრდა ქართველებმა კარგად იცოდნენ, რისთვისაც მათ აგზავნიდნენ ბუდაპეშტში (ისინი სუცის არხს არ ედებდნენ ბუდას სასახლის მისადგომებთან) და ბევრმა მათგანმა მაინც უარი თქვა იმ ბრძანების შესრულებაზე, რომელსაც ისინი თვლიდნენ სამარცხვინოდ და ისინი დახვრეტილი იქნენ პოლიტიკური კომისრების მიერ.

საამაყა იმის ცოდნა, რომ ამდენი წლების ბოლშევიკური მპყრობელობის შემდეგ, საქართველოს შვილები უარს ჰქობენ გახრმაწილობაზე და კიდევ შესწევთ უნარი დაინახონ თუ სადაა კეშმარიტი ლირსება. ისინი, ის ახალგაზრდა ქართველები არ ცდებოდნენ. ისინი მაშინვე მიხვდნენ თუ

რომელ მხარეზე იყვნენ სამართლიანობისა და ჰერმარიტების დამცველი მებრძოლები. ისინი იმაში ერკვეოდნენ მართლიანობის საებით და მათ კარგად გაიგეს, რომ მოძრაობა, არაუკანა ხალხის ამბოხებით დაიწყო და სწრაფად ეროვნულ აჯანყუბად გადაიქცა, - იყო სინამდვილეში ნამდვილი პატრიოტული ბრძოლა: ამაყო, რაინდი, თავდაუზოგავი და მამაცი ხალხისა, მისი არსებობისა და თავისუფლებისათვის. და, ხალხი, რომელმაც მის წიიღილან შვა: გიორგი დოზსაები, ფრანსუა რაკოშვები ან, უფრო გვიან, სანდორ პეტოფები ან ლაიოს კოსტები, ასეთმა ხალხმა იცის თავისუფლების ფასი.

უნგრეთის 1956 წ. რევოლუცია აღტაცებას იწვევს. მე ვიტყოდი, რომ ეს რევოლუცია, რომელმაც გამოამჟღავნა ისეთი მთლიანი აღამიანები, როგორიც იმრი ნაგი და სხივოსანი კარდინალი მინდზეტი იყვნენ, იყო სუფთა. იშვიათია, და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, უნგრელების რაინდული ბუნება: აჯანყების განმავლობაში ადგილი არ ჰქონებია არც ძარცვას და არც საბჭოთა მოხელეების ოჯახებზე აგრძესიას.

მაგრამ ჩეენს დროში ღირსება მარტო საკმარისი არაა გამარჯვებისათვის, და ისიც ჩეარა გამარჯვებისათვის. როგორც ცარისტული რუსეთის ჯარმა 1848 წელს, წითელმა არმიამაც „წესრიგი დაამყრა“, მისი „წესრიგი“- დაუსრულებელი უბედურებით და ათასობით მსხვერპლით...

*** *** ***

ჯ ა ნ რ ი კ ა შ ი ა ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

გასული წლის 15 დეკემბერს, პარიზში, ჩეენი ეკლესიის ბინაში, ბ. ჯ. კაშიამ წაკითხა საჯარო მოხსენება, თემაზე: ქართული ექსპერიმენტი. კრებას თავმჯდომარეობდა თ. ნასყდაშვილი, რომელმაც დასაწყისში წაიკითხა განცხადება, რომლიდანაც გავიგეთ, რომ ამ შეკრების ოგანიზატორი ყოფილა ბ. თამაზი და ამით მას ღომებია ბ. კაშიასთან, როგორც რადიო „თავისუფლების“ რედაქტორთან, შეეხვედებია კაშიას პოლიტიკით უკმაყოფილ პარტიული ჯგუფების წარმომადგენლები თუ კერძო პირები, რომ ფართო წრეში კითხვა-პასუხებით და აზრთა გაცვლა-გამოცვლით იქნება შესაძლებელი ყოფილიყა, თუ შერიგება-შეთანხმება არა, იმის გამორკვევა მაინც : ვინ რაში ცოდავს?



მაგრამ, როგორც თავმჯდომარის განცხადებიდან გამოიწვია გ. კაშიასთან უთანხმოებაში მყოფთა მნიშვნელოვანი კავშირების ე.ი. სოციალდემოკრატების ორგანიზაციას, უარი უთქვაში დღევანდელ საუბარში მონაწილეობაზე და მართლაც, არც- რთი მათი წარმომადგენელი კრებას არ ესწრებოდა. აქედ- ან გამომდინარე, კრების დაწყებამდე უკვე ცხადი იყო ის, რომ სათვისტომოს თავმჯდომარის გარჯამ შეთანხმების სა- ქმეში უქმად ჩაიარა, რის გამოც ის პირადად ძალიან გა- ნაწყვნებული დარჩა და საკმაოდ მკაცრი განცხადებაც გა- აკეთა. ამ საკითხზე ჩვენ ცოტა უფრო დაბლა გამოვთქმათ ჩვენს აზრს. აქ კი ორიოდე სიტყვით თვით მოხსენებას შე- ვეხებით.

მოხსენებელმა ისაუბრა აბაშის ცნობილ ექსპერიმენტზე და წაგვიკითხა ზოგიერთი აღგილები ნოემბრის თვის „მნათობში“ დასტამბული რუსი ჟურნალისტის სტატიიდან: „საქართველო- თხმოციანი წლები“. შესაძლებელია, რომ დარბაზში ვინმე იყო, რომლებსაც ეს საკითხები აინტერესებდა, მჯრამ არა გვერდია, ბევრი ჭაფილიყას. მერე და, აბაშის ექსპერიმენტი აღარც ახალი ხილია და არც საქართველოს ექსპერიმენტია. განა ბ. ჯანრიმ არ იცის, რომ სტანციურული დაწყებულება ეკონომიკური ხასიათის ექსპერიმენტები კრემლიდან მოდის და მას გულუბრყვილო ხალხში ასაღებენ ხან დომბასე- ლთა, კუიბიშეველთა, ხან აბაშელთა, ხან მოსკოველთა და ა. შ. ინიციატივა-ექსპერიმენტად. ბოლოს და ბოლოს მომ- ხსენებელმა ვერ გაგვიმარტა თუ არ გაგვიმარტა: რა შეღა- ვათი აქვს ქართველ ხალხს ამ „ქართული ექსპერიმენტით.“? ცხადია: ბ. კაშიას შეეძლო სხვა უფრო საინტერესო თემა აერჩია მის პირველ საჯარო მოხსენებისათვის, კერძოდ, ის- ტორიიდან, რაც მისი სპეციალობაა. მაგრამ ისიც ცხადია: მოხსენება მხოლოდ პრეტექსტი იყო, ხოლო მიზანი კი მდგო- მარეობდა, გაუგებრობის გაფანტვა თუ არა, მისი პასუხის- მგებლობის თავიდან მოხსნაში.

ჩვენ გვიქრობთ, რომ არჩეული გზა შეცდომა იყო, როგ- ორც ბ. კაშიას, ისე ბ. ნასყდაშვილის მხრით. ასეთ საჯა- რო კრებაზე დამსწრეთა დიდი უმრავლესობა სრულიადაც კურსში არ არის იმ პოლიტიკური საკითხების შესახებ, რომელთა გამოც უთანხმოება არსებობს რადიო „თავისუფ- ლების“ ქართული რედაქციის მთავარ რედაქტორსა და ემი-

გრაციის პარტიული. თუ სხვა სახის ზოგიერთი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, ბ. კაშიას შეხვედრაც მათთან უნდა მომხდარიყო, სადაც ბ. ნასყდაშვილსაც შეუძლია მომრიგებლის როლში გამოსულიყო. არჩეული გზა კი არ შევიტოვს აზრით, სწორი არ იყო. ბ. ჩუბინიძე, თავისი პარტიული პოზიციიდან, მართალი იყო, როცა უარი თქვა ასეთ კრებაში მონაწილეობაზე და ეს ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარებ პირად შეურაცხყოფად არ უნდა მიიღოს, როგორც ეს მან საჯაროდ განაცხადა. როცა ამას ვამბობთ, ეს არც მკითხველმა და არც თვით ბ. თამაზმა არ უნდა ჩათვალონ, როგორც კრიტიკა კრიტიკისათვის. არა, საქმის სიუვარული გვალაპარაკებს, თუარა, თ. ნასყდაშვილისთანა კეთილშობილი და ენერგიული პატრიოტი ღმერთმა ბევრი მისცეს საქართველოს და მისი ქებისათვის ჩვენ მოელი თაბახი ქაღალდიც არ გვეჭყოდა. მაგრამ ვინც საქმიანობს, შეცდომა ჟელას შეიძლება უნებურად მოუვიდეს. ამბობენ: შეცდომა ადამიანურია. მთავარია შეცდომა გამოირკვეს დროშე და დროშევე გამოსწორდეს.

ამერიკის კომიტეტან თანამშრომლობა საერთოდ და რადიო „თავისუფლებასთან კერძოდ არასოდეს არ შედიოდა ჩვენი სათვისტომოს გამგეობის მეურვეობაში. ამისთვის არსებობდა ემიგრაციის ორი პოლიტიკური გაერთიანება: „ქართული ეროვნული საბჭო“ და „ქართ. პოლიტიკის ცენტრი. ღლეს ფაქტიურად აღმაცერთი აღარ არსებობს, ყველ შემთხვევაში ისე, რომ ჩვენი ეროვნული ემიგრაციის ავტორიატული წარმომადგენელი იყოს. არადა, ასეთი ორგანოს არსებობა მიუცილებელი საჭიროებაა და ამას თვალნათლად უჩვენებს თუნდაც რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციასთან შექმნილი კრიზისული მდგომარეობა. აი, ასეთი ავტორიოტეტული ემიგრანტული ორგანოს დაუყოვნებლივ შექმნაზე უნდა იზრუნონ, როგორც პარტიულმა და სხვა პოლიტურ იგანიზაციათა გულშემატკიცებმა, ისევე ერთეულმა მამულიშვილებმა და მათ შორის ბატონმა თქმაზე ნასყდაშვილმაც.

რადიო „თავისუფლება“ იყო ემიგრაციის ხმა. როგორც ქართული საქმისათვის, ისე თვით რადიოში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეთა პირად ინტერესში შედის, რომ ის დარჩეს ემიგრაციის ხმად და არა ამერიკის ხმად, მაგრამ მაგარი იმაშია, რომ ღლეს ჩვენს ემიგრაციას ხმა აღარა აქვს. მაშ პირველ რიგში, ხმა ღავუბრუნოთ ემიგრაციას.



ჩვენი ფონდი და წლიური ანგარიში

შემოწირულებათა სია (ფრანგულ ფრანკებში შემოწირულებათა სია)

ლადო ბაბიშვილი	158	ოდეტ იაშვილი	100
შოთა გვასალია	400	ფონ სონი	192
მიხეილ თარაშვილი	300	მიხეილ თარაშვილი	300
ნიკო ბეჭელაძე	110	"გ. ა. კ."	198
მართა სტურუასი	100	მარინა ობოლაძე	176
ნიკოლა ანთაძე	100	შოთა ბერეჟიანი	100
დავით თოხაძე	500	ანონიმი გ. ფ. რ.-დან	400
გიორგი ტოგონიძე	100	ზეინაბ ზურაბიშვილი	1.000
ნამეტია გოგუაძისა	100	გიორგი ნაკაშიძე	696
ჩხარელი	341	არჩილ მჭედლიშვილი	200
აკაკი რამიშვილი	228	გრიგოლ ლომაძე	300
ლეო ბარაბიშვილი	237	ირინე ბაგრატიონი	100
შოთა გვასალია	237	მილი ზურაბიშვილი	250
შლვა ცინცაძე	154		
ფონ სონი . კ. ლუბა აბდუშელის სულის მოსახსე-ლი			192
ჩხარელი - კ. ლუბა აბდუშელის სულის მოსახ - ლი			174

ჯ ა მ ი

7.443

1985 წელში შემოწირულებათა ჯამი აღგენს: 45.302 ფრ. გასავალმა კი შეაღენა: №5 - 7.356, №6-7.403, №7-8.042 და №8 - 7.837, რომელთა ჯამი შეაღენს 30.638 ფრანკს. ამგვარად წლიურ შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა შეაღენს: 14.664 ფრ. ამას თუ გამოვყენებთ 1984 წლის ანგარიშში სალაროს დანაკლის თანხას: 924 ფრ, მაშინ სალაროში გვრჩება: 13.740 ფრანკი.

ამრიგად, წელს სალაროში რეზერვად გვრჩება ჩვენთვის მნიშვნელოვანი თანხა, რაც იშვიათი შემთხვევაა და, რასაც პირველ რიგში უნდა ვუმაღლოდეთ ბატონ პეტრე ხვედელიძეს, რომელიც ყოველთვის ხელგაშლილი იყო „გუშაგისადმი“, მაგრამ წელს განსაკუთრებულად და მის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო გუშაგისადმი. შემდეგ გამორჩეულად მოსახსენებელი არიან: ბბ. დავით ბებიაშვილი, გიორგი ნაკაშიძე, აშ განსვენებული ერმალოზ ყვრელიშვილი, დავით ვაშაძე, მიხეილ თარაშვილი, დავით თორაძე, ზეინაბ ზურაბიშვილი, გიორგი გორგიშველი, მიშა გოგორიშვილი და სხვები, რომლებიც „გუშაგს“ არსებობის სახსარს აძლევენ.

ნომრის შინაარსი

- | | | |
|-----|---|-----------------------|
| .2 | 1986 წლის საახალწლო | |
| .13 | არდავიწყბიან | |
| .15 | როგორ ხვდებიან საქ. მაღაზიები ახალ წელს | |
| .17 | ჩეგნს ებრაელებს | გუშაგი |
| .18 | პრივატურულთა სასურსათო მომა-
რაგება საბჭ. საქართველოში | გურამ გელოვანი |
| .21 | შრომის ანაზღაურება და „ბრი-
გადული ფორმა“ | გურამ გელოვანი |
| .24 | საბჭ. რეჟიმი მანკიერების წყაროა | გურამ გელოვანი |
| .27 | „მარადისობის კანონი“ და მ. ქავთარაძე – გ. პერეთელი | |
| .38 | პოეზიის განცოფილება | |
| | პირველი და უკანასკნელი | გიორგი ჭავიანი |
| .39 | მამა | გიორგი ტოგონიძე |
| .40 | წამებული მამა | გიორგი ტოგონიძე |
| .43 | საახალწლო სუფრინთან | როზა აბნერაშვილი |
| .44 | ძმა ნიკოს წერილი | დიმიტრი მახარაშვილი |
| | კულტურის საკითხები | |
| .45 | რაც ყელა ქართველმა უნდა იცოდეს – დავით ვაშაძე | |
| .51 | კომენტარი „წყლის“ თაობაზე | გ. პერევისელი |
| .52 | ორიოდე სიტყვა პერევისელის
„სიყვარულის თაიგულზე“ | მორდეხაი კულაშვილი |
| | მოგონებათა განცოფილება | |
| .53 | შეგვეძლო აგვეშორებია დაყრობა? – გენ. გ. კვინიტაძე | (მოგონებათა წიგნიდან) |
| .58 | აგვისტოს აჯანყბის შემდეგ | ირაკლი ოთხმეზური |
| .61 | ბავშვობისა და ყრიმბის მოგონ. მიხეილ თარაშვილი | |
| | სამგლოვიარო განცოფილება | |
| .64 | სანდრო ბართელი | ლადო ბაბიშვილი |
| .65 | ს. ბარათელის გამოსათხოვარი | გიორგი მორალიშვილი |
| .66 | სერგო ღონდუა | კარლო ინასარიძე |
| .68 | ანტონი და იასონი | ვახტანგ საჭარელიძე |
| .72 | არნოლდ ჩიქობავას გარდაცვალება | |
| .74 | უნგრეთის რევ-ციის წლისთავი – თამაზ ნასყდაშვილი | |
| .76 | ჯანრი კაშიას მოხსენება | „გუშაგი“ |



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE